საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

№106
(12 176)

8 მაისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

# როგორ უკირკიტებენ პრეზიდენტობას...






დავით თავართქილაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებამდე ხუთი დღე დარჩა. ცხადია, პრეზიდენტობის თითოეულ კანდიდატმა უკვე იცის, ვინ ვის უჭერს მხარს. წლევანდელი არჩევნები უწინდელებისგან მკვეთრად განსხვავებულია. შეიცვალა თამაშის წესები და ხმათა მოპოვების ტექნოლოგიები. შეიცვალა ფედერაციის არჩევნებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებაც, თუმცა ამა ქვეყნის ძლიერთა ინტერესი ისევ გაღვივებულია. ფეხბურთი მაინც საჯილდაო ქვად რჩება.

კარგია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები ხმების ყიდვას არ ცდილობენ. საამისოდ, ერთგვარი ჟურნალისტური გამოძიება ჩავატარეთ და გამოჩნდა, რომ ყიდვა-გაყიდვა თითქმის გამორიცხულია. ეს უკვე მოძველებული მეთოდია და, ალბათ, ნაკლებად ეფექტურიც.

მაშ, რა განაპირობებს ამა თუ იმ კანდიდატისთვის ხმის მიცემას? რამდენიმე რამ. შარშანწინ, როცა ფედერაციის ალმასკომს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად გაიოზ დარსაძე უნდა დაემტკიცებინა, მის კანდიდატურას ალმასკომის იმ წევრებმაც დაუჭირეს მხარი, ნაკრები დარსაძისთვის რომ არ ემეტებოდათ. თქმა არ უნდა, ასეთი გადაწყვეტილება მათ ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის ხათრით არ მიუღიათ. ალმასკომის ამ წევრებს თავიანთი კლუბები ჰყავთ ეროვნულ ჩემპიონატში და ფედერაციის პრეზიდენტთან უთანხმოებას მოერიდნენ. ასეთია ლოგიკა...

2

## ჩვენი ვარაუდი

### ვინ უჭერს მხარს ახალკაცს და ვინ მის ოპონენტებს

**ახალკაცის მხარე**

1. შოთა ბაქრაძე, ეზოს ფეხბურთი
2. მერაბ ბერიძიშვილი, ქალთა ფეხბურთი
3. ვახტანგ ბზიკაძე, ამერი
4. პაატა ბურჭალიანი, პროფლიგა
5. ვაჟა თოფურია, ლოკომოტივი
6. ილია კოკაია, ზესტაფონი
7. სერგო კოტრიკაძე, პროფკავშირი
8. ვაჟა ჟვანია, ვეტერანები
9. ბადრი ქაჯაია, აჭარა
10. თემურ გიგუაშვილი, შიდა ქართლი
11. კახა დევდარიანი, ფუტსალი
12. პაპუნა ხაჩიძე, სამცხე-ჯავახეთი
13. ამირან გოგიტიძე, ბათუმი

**ოპონენტები**

1. გიორგი არევაძე, სიონი
2. ოთარ გუნთაძე, მსაჯები და ინსპექტორები
3. გიორგი დევდარიანი, ბორჯომი
4. იაკობ ზაქარეიშვილი, გურია
5. მალხაზ კაკაურიძე, ვიტ ჯორჯია
6. პაატა კიკვაძე, რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი
7. მიხეილ ლურსმანაშვილი, დილა
8. გოჩა მამაცაშვილი, თელავის კახეთი
9. პაპუნა მელაძე, ტორპედო
10. გოჩა როსტომაშვილი, კახეთი
11. ამირან ლიბრაძე, დინამო
12. გოჩა ჯამარაული, მცხეთა-მთიანეთი
13. დიმიტრი ჭანტურია, აფხაზეთი
14. გიორგი გოგოლაძე, ქვემო ქართლი
15. ზურაბ ცერცვაძე, ჩიხურა
16. პაატა ჩხეიძე, მერანი
17. ოთარ კორღალიძე, თბილისის ფედერაცია
18. ტარიელ შავერდაშვილი, ოლიმპი
19. ლაშა დარასელია, სამეგრელო-ზემო სვანეთი
20. მერაბ მეგრელაძე, იმერეთი

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და
დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

## პორტუგალია-საქართველო გადაიდო

რაგბი. ივნისში გასამართი პორტუგალია-საქართველოს ერთა თასის მატჩი ნოემბრისთვის გადაიდო. ინიციატორად რაგბის საერთაშორისო საბჭო გამოვიდა: შემოდგომით, მსოფლიო თასისთვის უკეთ მომზადება გჭირდებათ და უმჯობესია, ამ საქმით დაკავდეთ, ერთმანეთში კი შემოდგომის მიწურულს ითამაშოთო.

IRB
INTERNATIONAL RUGBY BOARD





ლეგიონერი

# დაუჯერეთ მეუღლეს

## ხიზანეიშვილი ფრაიბურგში მარტო არ დარჩება

**თითქმის თვენახევრიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ფრაიბურგელმა ოთარ ხიზანეიშვილმა მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში ითამაშა - "პადერბორნთან" ის შეცვლაზე შევიდა. შეხვედრა "ფრაიბურგმა" 0:1 წააგო, მისი უშუალო კონკურენტები "ფიურტი" და "დუისბურგიც" დამარცხდნენ და ფოლკერ ფინკეს გუნდს კვლავაც შერჩა შანსი, მესამე ადგილზე გავიდეს, რაც ბუნდესლიგის საგზურს იძლევა. ამ სამივე გუნდს 54-54 ქულა აქვს, თუმცა "დუისბურგი" და "ფიურტი" ბურთების უკეთესი შეფარდებით უსწრებენ მეხუთე ადგილზე მყოფ "ფრაიბურგს".**

**ხიზანეიშვილი ტრავმის გამო უქმობდა და როცა მას შინ დავურეკეთ, ჯერ ჯანმრთელობაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.**

- უკვე კარგად ვარ, მუხლი აღარ მაწუხებს. ხუთი თვე მუხლი მტკიოდა და მეუბნებოდნენ, კუნთი გაქვს დაზიანებული, მუხლის ამბავი რომ იყოს, სახსარში წყალი ჩაგიდგებოდაო. მაგრამ ტკივილი არ მეშვებოდა. მეუღლემ მირჩია, ყოველი შემთხვევისთვის მუხლზე სურათი გადაიღეო და აღმოჩნდა, რომ მენისკი მქონდა დაზიანებული. ოპერაცია გავიკეთე და ახლა უკვე ყველაფერი რიგზეა.

**- "პადერბორნთან" შინ 0:1 რომ წააგეთ, რისი ბრალი იყო?**

- ჩვენმა მეკარემ უხეში შეცდომა დაუშვა და გოლი ასე გავუშვით. არადა მთელი მატჩი ჩვენი უპირატესობით წარიმართა, გოლის გატანა ალექსანდრე იაშვილსაც შეეძლო, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა.

**- რამდენად რეალურად გეჩვენება "ფრაიბურგის" დაბრუნება ბუნდესლიგაში?**

- ჩვენ, "დუისბურგსა" და "ფიურტს" თანაბარი ქულები კი გვაქვს, მაგრამ ბურთების შეფარდება მათ ჩვენზე მნიშვნელოვნად უკეთესი აქვთ. თანაც მეორე ბუნდესლიგის დასრულებას ორი ტურილა უკლია, რაც მცირე დროა, კონკურენტების უკან მოსატოვებლად, თუმცა "ფრაიბურგს" აღზევების რეალური შანსი აქვს, აქ ისეთი თამაშებია, არავინ იცის, რა მოხდება.

**- იაშვილს "ფრაიბურგთან" კონტრაქტი უმთავრდება და სხვა გუნდში სურს გადასვლა, მაგრამ გუნდში ალბათ ერთადერთი ქართველი მაინც არ იქნები...**

- გიორგი თარგამაძე "ფრაიბურგის" მეორე გუნდში ვარჯიშობდა, ახლა თბილისშია და ორ კვირაში ისევ აქ იქნება. მეორე გუნდის მწვრთნელს ველაპარაკე, თარგამაძით ყველა კმაყოფილია. როგორც კი დაბრუნდება, "ფრაიბურგის" მოყვარულთა გუნდის განაცხადში შეიყვანენ, ცოტა ხანში კი მას პროფესიულ კონტრაქტსაც გაუფორმებენ - საქმეს ასეთი პირი უჩანს.

**- ნაკრებზეც ვთქვათ. შარშან თურქეთთან მატჩის წინ კლაუს ტოპმიოლერმა შენზე თქვა, იმიტომ არ გამოვიძახე, რომ მანამდე ურუგვაისთან მატჩისთვის მოვიწვიე და არც კი გაგვაგებინა, რატომ არ ჩამოვიდაო. თუმცა წლეულს, შოტლანდიასთან მატჩისთვის ნაკრებში მაინც გამოგიძახეს, მაგრამ გლაზგოში ტრავმის გამო ვერ წახვედი. გამოდის, გაუგებრობა უკვე მოგვარებულია?**

- ნაკრებში თამაშზე უარი არასდროს მითქვამს. ურუგვაისთან მატჩის წინ სიცხე მქონდა და ამის შესახებ ნაკრებს ვაცნობე. გაუგებრობას რაც შეეხება, ტოპმიოლერს ტელეფონით რომ ვესაუბრე, მითხრა, ასეთი რამ არ მითქვამს, ეს ჟურნალისტების შეცდომა იყოო...

დავით თავართქილაძე

არჩევნებამდე

# როგორ უკირკიტებენ პრეზიდენტობას

პირველი გვერდიდან

...ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები 13 მაისს გაიმართება, რომლის შემდეგაც ჩემპიონატში გასამართი დარჩება ორი ტური და კიდევ თასის ფინალი. ყრილობის დელეგატები, ალბათ, ამასაც გაითვალისწინებენ, და გაითვალისწინებენ იმისდა მიუხედავად, რომ ხმის მიცემის პროცედურა ფარულია.

ხმების მოპოვების კიდევ ერთი გზაა ურთიერთობა, მეგობრობა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ბევრი ნაღდი მეგობარი არავის ჰყავს, ამ გზით ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობის მოპოვება გამორიცხულია.

შემდეგი მეთოდი: ვინ რა გააკეთა და ვინ რისი გამკეთებელია. სამწუხაროდ, ქართული საფეხბურთო საზოგადოება საკითხის ამ კუთხიდან არ უყურებს, საამისოდ მომწიფებული არ არის. ასე რომ გვქონდეს საქმე, ქართული ფეხბურთი, უეჭველად, ცოტა მაღალ საფეხურზე იქნებოდა.

არჩევნების მოგების კიდევ ერთი საშუალება **მიხეილ სააკაშვილისგან** მხარდაჭერაა. მაგრამ რაც შარშანწინ მოხდა, ის აღარ განმეორდება. ასე რომ იყოს, მაშინ ფედერაციის პრეზიდენტობას კვლავ ერთი კანდიდატი შემორჩებოდა. ასეთი უმოკლესი გზით გაპრეზიდენტების პრეცედენტი (თითქმის) უნდა გამოვრიცხოთ და ამას სამივე კანდიდატი შეგუებულია. მისი უმაღლესობა ჯერაც კარგი თვალით უყურებს **კლაუს ტოპმიოლერს**. აკი სახელმწიფო კანცელარიაშიც მიიწვია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ჰერ კლაუსი. აცალეთ ამ კაცს მუშაობაო, - ქვეყნის პრეზიდენტი ასე რომ არ ფიქრობდეს, ტოპმიოლერთან შეხვედრას, ალბათ, მოერიდებოდა.

რჩება კიდევ ერთი საშუალება - ზოგადად ხელისუფლების მხარდაჭერა. როცა ტოტალური კონტროლი ისევ აქტუალურია, განზე ვერც ფეხბურთი დარჩება. თუმცა აქ უკვე ჩახლართულადაა საქმე. Posh (პოშ) - ინგლისური სიტყვაა და გარდა იმისა, რომ ვიქტორია ბექჰემის თიკუნია, სხვაგვარადაც გამოიყენება. ის ნიშნავს "მარიაჟს", "ნატიფს", კიდევ უფრო გასაგებად - "სვეტურს". ამ სიტყვას ხანდახან პოლიტიკაშიც იყენებენ. ალბათ, ჩვენს ხელისუფლებაშიც არის "პოშ-დაჯგუფება", მმართველ პარტიაში იდეოლოგიასა და მიმართულებებს რომ განაგებს, თან უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობაც რომ ევალება. არის მეორე დაჯგუფებაც, არც თუ უმნიშვნელო, თუმცა "პოშამდე" ვერ ქაჩავს, მაგრამ არანაკლები ამბიცია აქვს და ფეხბურთი მისთვის ერთ-ერთი საშუალებაა, რათა "პოშ-სტატუსს" მიაღწიოს. ამისთვის, მათ თავიანთი კაცი სჭირდებათ ფეხბურთის ფედერაციაში.

აი, ასეა საქმე, ასე უტევენ ახალკაცს, ამის გამო უკირკიტებენ მავანნი მის უმთავრეს კონკურენტს... არ მგონია, ეს მხოლოდ ჟურნალისტური ვარაუდი იყოს, ეს ჩემთვის უთქვამთ "პოშ-დაჯგუფების" წევრებსაც, ახალკაცის მხარდამჭერებსაც და მის ოპონენტებსაც.

ახალკაცს ძალიან უჭირს ხმების მოგროვება იმ პერიფერიებში, სადაც უმაღლეს ლიგაში მოთამაშე კლუბები ჰყავთ. ამ კლუბების მესვეურთ რესპექტაბელობა აკლიათ, თორემ სხვა რამეს არ უნდა უჩიოდნენ და ვინძლო, ამის გამოც მისცენ ხმა სხვა კანდიდატს, თუნდაც ფედერაციის ალმასკომის წევრობისთვის. როგორც ჩანს, ახალკაცს თითქოს ბუმერანგივით უბრუნდება ის, რომ შარშანწინ ხელისუფლების ჯილა იყო...

# ტელედებატები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატები გუშინ საზოგადოების წინაშე ერთად პირველად წარდგნენ. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირი ეთერი მოქმედ პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცს** და მის კონკურენტებს, **გიორგი ნემსაძესა** და **მამუკა კვარაცხელიას** დაეთმოთ.

**ლაშა დვალიშვილის** გადაცემა "არენა" ერთ საათს გაგრძელდა, დებატებამდე საქმე, ფაქტობრივად, საქმე არ მისულა, სტუმრებმა მხოლოდ სამოქმედო პროგრამის თეზისების წარმოდგენა მოასწრეს. ისე კი, ახალი და ნიშანდობლივი ბევრი არაფერი თქმულა, კანდიდატთა საარჩევნო პროგრამას მკითხველი კარგად იცნობს.

ახალკაცმა განვლილი ორი წელიწადი დადებითად შეაფასა, მისი თქმით, ეროვნულ ნაკრებს მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს, პრეზიდენტის აზრით, საქართველოს ჩემპიონატის დონეც გაიზარდა. ახალკაცმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ასაკობრივი ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩების, შეკრებებისა და ტურნირების რაოდენობა. ქართული ფეხბურთის თავკაცმა ლიცენზირების პროცესის დაწყების მნიშვნელობაზეც ისაუბრა. წინ კომპლექსური სამუშაო გველის, ყველა სფეროს თანაბარი ყურადღება უნდა მიექცესო, დასძინა ახალკაცმა.

ნემსაძის პრიორიტეტებიც ფართო მოცულობისაა. ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ბავშვთა ფეხბურთში სერიოზულ სასიკეთო ცვლილებებს გეგმავს, მწვრთნელთა განათლების დონის ამაღლებაზე ზრუნვას აპირებს და შესაძლებლობათა ფარგლებში, კლუბებს ფედერაციის მხრიდან დაფინანსების გაზრდას ჰპირდება. ნემსაძის კიდევ ერთი პრიორიტეტი რეგიონული საფეხბურთო მეურნეობების ფეხზე წამოყენებაა. იგი მსხვილი ინვესტორების მოზიდვასაც აპირებს.

კვარაცხელიამ ფედერაციის მოქმედი ხელმძღვანელობა ფიფა-უეფას გრანტების არამიზნობრივი გამოყენებისთვის გააკრიტიკა. მისი თქმით, ამ თანხების ათვისება გაცილებით ეფექტურად შეიძლებოდა. კვარაცხელია პირობას დებს, რომ მისი არჩევის შემთხვევაში, ყველა რეგიონული ფედერაციის ოფისი დროულად აშენდება. ბავშვთა ფეხბურთის განვითარებასა და მწვრთნელთა განათლებას კვარაცხლიაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ლევან ჯანეზაშვილი

საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშების
ფინალი
26 მაისი ეროვნული სტადიონი
ამერი
VS
ზესტაფონი
www.pfl.ge
დასაწყისი 20:00 საათზე - ბილეთის ფასი 2. 3. 5 ლარი
მთავარი სპონსორი
ჯეოსელი GEOCELL
ოფიციალური სპონსორი
ფოლკსვაგენი VOLKSWAGEN
პარტნიორი
აქსისი
ბაბაჯანიანი 1882
სპონსორები
საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA
I'm lovin' it
საინფორმაციო მხარდაჭერა
სარბიელი
ოლიმპი
106.9 FM FORTUNA ფორტუნა
24 Hours

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები

# ლუქსემბურგი 90 პროცენტით

## ბრაზილიას ველით, არგენტინა გველის

13 მაისს დანიშნული ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებმა სანაკრებო თემა ცოტა არ იყოს დაჩრდილა კიდეც. თუმცა დროებითია, რადგან ეს კვირაც მიილევა და თუ მანამდე არა, მერე წამყვანი თემა ისევ ეროვნული ნაკრები იქნება. შესარჩევ ტურნირზე ლიტვასა და საფრანგეთთან გველის უახლოესი მატჩები. აი, უახლოესი ამხანაგური მატჩი კი 22 აგვისტოს უნდა გაიმართოს - ეს დღე გამოყო ფიფამ. განიხილებოდა უელსთან, ხორვატიასთან, ლუქსემბურგთან, ირანთან თამაშის ვარიანტები. თუმცა, როგორც ირკვევა საკითხი თითქმის გადაწყვეტილა.

"რამდენიმე ვარიანტი განიხილებოდა, მაგრამ მათგან ყველაზე უკეთესი ლუქსემბურგის ვარიანტია. ისინი მისაღებ პირობებს გვთავაზობენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 22 აგვისტოს შემდეგ, 8 სექტემბერს უკრაინასთან საშინაო მატჩი გველის. ერთი სიტყვით, 90 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ 22 აგვისტოს ლუქსემბურგთან გასვლით ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ", - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ.**

რაც შეეხება ბრაზილიასა და არგენტინასთან მატჩებს...

"17 ნოემბერს თბილისში თამაშზე, ბრაზილიიდან თანხმობა მიღებული გვაქვს და ახლა რამდენიმე დეტალის გარკვევაზე მიდის მოლაპარაკებები. როგორც ადრე აღვნიშნე, ჩვენი მოთხოვნაა მათ თბილისში ვარსკვლავები სრული შემადგენლობით თუ არა, რამდენიმე მათგანი მაინც იახლონ. მჯერა, რომ ამ საკითხში შეთანხმების მიღწევა არ გაგვიჭირდება.

რაც შეეხება არგენტინის ნაკრებს. მათთან 12 სექტემბერს თბილისში გვინდა ამხანაგური მატჩის გამართვა. ჩვენს მიერ შეთავაზებულ პირობებზე ცოტათი მეტი მოითხოვეს. ჯერჯერობით, ბრაზილიასთან საბოლოო შეთანხმებას ველით. ამაზე ვართ გადართულნი და არგენტინასთან, ასე ვთქვათ ტაიმაუტი გვაქვს აღებული", - გვითხრა საუბრის ბოლოს უგულავამ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# ტოპმიოლერი ამ საქმეში უბრალოა

## გიგიაძემ კლაუსთან გარიგება გამორიცხა



ვასილ გიგიაძე

ბოლო სამი ტურია უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირ **ვასილ გიგიაძეს** თავი არ გამოუჩენია. **ოლეგ ტარანმა** წინა ტურში საერთოდ არ ათამაშა ქართველი. ბუნებრივია დავინტერესდით, რა ხდება ქართველი ფორვარდის თავს.

"განსაკუთრებული არაფერია. სეზონისწინა მოსამზადებელი ეტაპი არ გამივლია, რაც ფიზიკურ კონდიციებზე აისახა. ამას გარდა, სამი ტურის წინ ფეხი მეტკინა და წინა ტურში მწვრთნელმა ამიტომ დამასვენა. ეს არ ნიშნავს, თითქოს, აღარ მენდობა. არც იმას შეუცვლია დამოკიდებულება, იმის გამო, რომ სამი ტურია ბურთი არ გამიტანია. ფიზიკურად მოუმზადებელი და მცირე ტრავმის მქონე ფეხბურთელისთვის დასვენება საჭიროც არის. მართალია, ხარკოველი გლადკი ბომბარდირობისთვის ბრძოლაში დამეწია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს მე შანსი არ მაქვს. ბოლოს და ბოლოს, ჩემთვის არც გაუსწრია. "კრივბასს" მშვენიერი კალენდარი აქვს, ორ თამაშს სახლში ვატარებთ, სამს გასვლაზე და რაც მთავარია, ლიდერებს აღარ ვეთამაშებით. ეს კი ჩემთვის სასურველი გრაფიკია. ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ ბომბარდირი წელს მაინც გავხდები".

გიგიაძე **ლადო ბურდულის** უთამაშებლობის მიზეზებზეც გვესაუბრა - საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ტრავმირებულია და მოედანს მცირე ხანში დაუბრუნდება. იგივე ამბავია ზაპოროჟიეს "მეტალურგის" თავდამსხმელ **ირაკლი მოდებაძის** შემთხვევაშიც.

რაც შეეხება სანაკრებო-საარჩევნო პერიპეტიებში ვასილ გიაძის ხსენებას, "კრივბასის" კაპიტანი ამბობს, რომ სანაკრებო თემა მისთვის დახურულია და საუბარი არ სურს.

"აღარ მიწვევენ? იყოს ასე. გული მწყდება, მაგრამ მწვრთნელს რადგან არ ვჭირდები, ნაკრებზე აღარც ვფიქრობ. მთლიანად საკლუბო კარიერასა და ოჯახზე ვარ გადართული. თუმცა ცოდვასაც ვერ დავიდებ და იმას ვერ დავადასტურებ, თითქოს, ნაკრებში მოწვევისთვის ტოპმიოლერი მენეჯერობას მთხოვდა" - გვითხრა გიგიაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ილია კანდელაკთან

# ალბათ, ოდესიდან წავალ

შარშან **ილია კანდელაკი** ოდესის "ჩერნომორეცის" საუკეთესო ლეგიონერად დაასახელეს. საქართველოს ნაკრების მცველს უკრაინული მედიაც სწყალობდა და მის მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებდა.

წლეულს კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა. "ჩერნომორეცის" მთავარმა მწვრთნელმა **სემიონ ალტმანმა,** ჯერ **გიორგი შაშიაშვილი** და **კახა მჟავანაძე** აითვალწუნა, ახლა კი ილია კანდელაკისთვის მოიცალა და ბოლო დროს ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო.

ამან კი შედეგად მოიტანა მისი ნაკრების შემადგენლობიდან გაქრობაც. რა ხდება, "ყველაზე სტაბილურ ქართველად", "უნივერსალად" და "შეუცვლელად" მონათლული ილია კანდელაკის თავს, ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ.

- რაღაც გაუგებარი ამბებია. ალტმანი მენდობოდა და თითქოს ჩვენს ურთიერთობაში არც არაფერი შეცვლილა, მაგრამ აღარ მათამაშებს და რაც მთავარია, მწვრთნელის უნდობლობის მიზეზი არ ვიცი.

არც დავშავებულვარ, ყველანაირად კარგად ვგრძნობ თავს. სასიამოვნო ვითარება ნამდვილად არაა. არ გამოვრიცხავ, რომ ყველაფერი "კრივბასთან" შეხვედრის შემდეგ დაწყებულიყო. რიცხობრივი უპირატესობა გვქონდა, კრივოი როგელებს კაცი გაუგდეს და მაინც წავაგეთ. ეს დაახლოებით სამი კვირის წინათ მოხდა. მერე გავიგე, რომ პრესკონფერენციაზე ალტმანმა მცველები გაგვაკრიტიკა, მაგრამ პირადად მე შეხვედრა არ ჩამიგდია. თუმცა მომხდარიდან ვხვდები, რომ ჩემით უკმაყოფილო იყო.

არაა გამორიცხული, სხვა რამეც იყოს მიზეზი. ზამთარში ალტმანმა ხალხი მოიყვანა და შეიძლება, სკამზე ამიტომ დამსვა.

**- მართალია, თითქოს შაშიაშვილისა და მჟავანაძის შემდეგ, ზამთარში შენი გაშვების საკითხიც დაისვა და ალტმანმა კატეგორიულად მოითხოვა - კანდელაკზე სიტყვა აღარ დაძრათო?**

- ასეთი საუბარი "ჩერნომორეცში" მართლა ყოფილა და სწორედ ესაა, დღევანდელი უთამაშებლობა რომ მიკვირს. რეჟიმის დამრღვევი და უდისციპლინო არ ვარ. მინიმუმ ისეთივე ფორმაში ვარ, როგორც შარშან.

**- საქართველოში გავრცელებული ვერსიაა, თითქოს უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი კონკურენტი ნაკრების მოთამაშეთა გამოყენებას ეწინააღმდეგება.**

- პირადად ასეთი მოტივაცია არ შემინიშნავს და ამაზე უკრაინაშიც არაფერი დაუწერიათ.

**- ბლოხინმა ამაზე საკმაოდ გასაგებად მიანიშნა. თუმცა გვსურს ჩვენ სიმართლის გაგება, რა ხდება - ყველას ერთდროულად უსაფუძვლოდ ხომ არ დაჩაგრავდნენ?**



ილია კანდელაკი (35) საფრანგეთთან მატჩში

- დაჩაგვრაზე საუბარი არ მიყვარს. არ მჩვევია სხვებზე რაიმეს დაბრალება. შესაძლოა, ჩავარდნა მართლა მაქვს და ამაში გასაკვირი არაფერია. ეს ყველა მოთამაშეს მოსდის. თუმცა წინასწარ რომ მცოდნოდა, რა მოხდებოდა მეორე წრეში, "ჩერნომორეცში" არაფრით არ გავჩერდებოდი. გადასვლის შანსიც მქონდა, მაგრამ არ გავრისკე. აზრი აღარ აქვს იმ გუნდების დასახელებას, რომლებიც მიწვევდნენ. თუმცა სეზონის დამთავრებისთანავე "ჩერნომორეცის" ხელმძღვანელობას დაველაპარაკები და გავარკვევ, დარჩენა მილირს თუ არა.

**- წასასვლელი უკვე გექნება, ასე ტყუილად არ ისაუბრებ. მთავარია, ასეთ შემთხვევაში, უკრაინაში აპირებ დარჩენას თუ სხვა ქვეყანაში გიწვევენ?**

- სადაც უკეთეს პირობებს და მეტ სათამაშო პრაქტიკას შემომთავაზებენ, იქ წავალ. ქვეყნის შეცვლასაც არ გამოვრიცხავ. თუმცა სანამ ოდესელებთან ურთიერთობას არ გავარკვევ, მანამდე დაკონკრეტებას მოვერიდები.

**- ტოპმიოლერის შენდამი დამოკიდებულება "ჩერნომორეცში" უთამაშებლობამდე შეიცვალა და შემოდგომის შემდეგ ნაკრებში აღარ გითამაშია.**

- გული კი მწყდება, მაგრამ ასეთია ფეხბურთელის ცხოვრება. თუმცა ხელის ჩაქნევას არ ვაპირებ. უიმედობას კარიერის დამთავრება მირჩევნია. ფეხბურთიდან წასვლას კი ჯერ ნაღდად არ ვაპირებ. ტოპმიოლერისაც მესმის, უთამაშებელ კაცს ვერ მიმიწვევს. დამიჯერეთ, ნაღდად არ ვარ მასზე ნაწყენი.

**- რა შეიცვალა მას შემდეგ უკრაინაში, რაც ამ ქვეყანამ ევროპის ჩემპიონატის ჩატარების უფლება მიიღო?**

- ჯერ მარტო ამ უფლების მოპოვება ბევრს ნიშნავს და ძალიან უხარიათ. თუმცა სასტუმროებს თუ არ მიხედეს, ნორმალური მასპინძლობა გაუჭირდებათ. სხვათა შორის, გზებიც არ უვარგათ, მე თბილისური მირჩევნია. ევროპის ჩემპიონატამდე უკრაინას ლამის თავიდან რომ ააშენებენ, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ოდესაში და ყველა იმ ქალაქში, სადაც ევროპის ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება, ახალი სტადიონებს აშენებენ. დიდ ფულს აბანდებენ და მთლიანად ქვეყანას უჩნდება განვითარების პერსპექტივა.

**მერაბ მამულაშვილი**

ფანკლუბის ტურნირი. დაჯილდოვება

# გამარჯვებულს ლიტვის საგზური

ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფანკლუბის პირველი ტურნირი მინიფეხბურთში, ამ ორიოდე კვირის წინათ დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ტურნირის გამარჯვებული კომპანია "თელიანი ველის" გუნდი გახდა. თავიდანვე გამოცხებული იყო, რომ ფანკლუბის დაფინანსებით ტურნირის გამარჯვებულს საშუალება მიეცემოდა ლიტვაში გაჰყოლოდა ჩვენს დელეგაციას და 2 ივნისის მატჩში ეროვნული ნაკრებისთვის ექომაგა.

გუშინ, კომპანია "ყაზბეგის" ოფისში, ტურნირის გამარჯვებული "თელიანი ველის" 8 მოთამაშე ლიტვის საგზურით დააჯილდოვეს. ამასთან, გაცხდდა ისიც, რომ ისინი კაუნასში, ლიტვის ნაკრების გულშემატკივართა გუნდთან ამხანაგურ მატჩსაც გამართავენ.

"თელიანი ველის" მოთამაშეები ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა,** ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ,** "ყაზბეგის" წარმომადგენელმა **ლექსო გუგავამ,** ფანკლუბის ხელმძღვანელმა **გიორგი ხაჩიძემ** და "ტექს ჯგუფის" წარმომადგენელმა **მიხეილ ძაძამიამ** დააჯილდოეს. ლიტვის საგზურის გარდა, სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ გამორჩეული მოთამაშეები. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი **გიორგი რევაზიშვილი** (თელიანი ველი), საუკეთესო მეკარე **გაგი ცოტაძე** (თელიანი ველი) და ბომბარდირები: **პეტრე ცაავა** (ირაო) და **გიორგი ყურაშვილი** (ირაო).

**დავით ცაბაძე**

## მინგე რუმინეთშია

ხვალ, 9 მაისს, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, აღმოსავლეთ ევროპელ მწვრთნელთა სემინარი დაიწყება, რომელიც 3 დღეს გასტანს. სემინარში აღმოსავლეთი ევროპის 19 ქვეყნიდან 23 მწვრთნელი მიიღებს მონაწილეობას. ამ მწვრთნელებს შორისაა საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **რალფ მინგეც.**

"რუმინეთში მწვრთნელთა სემინარი ჩატარდება და ჩვენთანაც მოვიდა მოწვევა. სანაკრებო შტაბის თათბირის შედეგად გადაწყდა, რომ საქართველოდან ამ საფეხბურთო ფორუმში რალფ მინგე მიიღებდა მონაწილეობას. სემინარს ცნობილი სპეციალისტები გაუძღვებიან და ეს ფორუმი ფეხბურთის განვითარებას ხელს შეუწყობს", - გვითხრა ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ.**

**დავით ცაბაძე**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ფედერაციის გენერალურ მდივანს უჩა უგულავას.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს 21 წლამდე ნაკრების მთავარ მწვრთნელს პეტარ სეგრტს.**

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა. სტატისტიკა

### სულ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 23 | 17 | 5 | 1 | 52-7 | 56 |
| 2. დინამო | 23 | 17 | 2 | 4 | 47-17 | 53 |
| 3. ამერი | 23 | 15 | 5 | 3 | 44-14 | 50 |
| 4. ზესტაფონი | 23 | 14 | 8 | 1 | 46-10 | 50 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 23 | 12 | 8 | 3 | 39-23 | 44 |
| 6. სიონი | 23 | 11 | 3 | 9 | 27-20 | 36 |
| 7. ტორპედო | 23 | 9 | 4 | 10 | 21-26 | 31 |
| 8. ბორჯომი | 23 | 7 | 6 | 10 | 24-31 | 27 |
| 9. ბათუმი | 23 | 6 | 6 | 11 | 21-26 | 24 |
| 10. ლოკომოტივი | 23 | 5 | 6 | 12 | 14-31 | 21 |
| 11. ჩიხურა | 23 | 5 | 6 | 12 | 13-33 | 21 |
| 12. მერანი | 23 | 4 | 8 | 11 | 15-35 | 20 |
| 13. დილა | 23 | 2 | 5 | 16 | 15-54 | 111 |
| 14. კახეთი | 23 | 0 | 2 | 21 | 19-70 | 2 |

### შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 12 | 10 | 2 | 0 | 32-3 | 32 |
| 2. ამერი | 12 | 10 | 3 | 0 | 23-4 | 30 |
| 3. ზესტაფონი | 12 | 9 | 3 | 0 | 28-2 | 30 |
| 4. დინამო | 11 | 9 | 1 | 1 | 24-7 | 28 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 5 | 0 | 23-9 | 26 |
| 6. სიონი | 11 | 7 | 1 | 3 | 17-5 | 22 |
| 7. ტორპედო | 11 | 6 | 2 | 3 | 13-11 | 20 |
| 8. ბორჯომი | 11 | 5 | 3 | 3 | 18-15 | 18 |
| 9. ჩიხურა | 12 | 4 | 4 | 4 | 8-11 | 16 |
| 10. ლოკომოტივი | 12 | 4 | 2 | 6 | 9-16 | 14 |
| 11. ბათუმი | 11 | 4 | 1 | 6 | 13-12 | 13 |
| 12. მერანი | 11 | 1 | 6 | 4 | 6-13 | 9 |
| 13. დილა | 11 | 2 | 2 | 7 | 7-23 | 8 |
| 14. კახეთი | 12 | 0 | 2 | 10 | 11-33 | 2 |

### სტუმრად

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 23-10 | 25 |
| 2. ოლიმპი | 11 | 7 | 3 | 1 | 20-4 | 24 |
| 5. ამერი | 11 | 6 | 2 | 3 | 21-10 | 20 |
| 3. ზესტაფონი | 11 | 5 | 5 | 1 | 18-8 | 20 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 11 | 5 | 3 | 3 | 16-14 | 18 |
| 6. სიონი | 12 | 4 | 2 | 6 | 10-15 | 14 |
| 7. ტორპედო | 12 | 3 | 2 | 7 | 8-15 | 11 |
| 8. მერანი | 12 | 3 | 2 | 7 | 9-22 | 11 |
| 9. ბათუმი | 12 | 2 | 5 | 5 | 8-13 | 11 |
| 10. ბორჯომი | 12 | 2 | 3 | 7 | 6-16 | 9 |
| 11. ლოკომოტივი | 11 | 1 | 4 | 6 | 5-15 | 7 |
| 13. ჩიხურა | 11 | 1 | 2 | 8 | 5-27 | 5 |
| 12. დილა | 12 | 0 | 3 | 9 | 8-31 | 3 |
| 14. კახეთი | 11 | 0 | 0 | 11 | 8-37 | 0 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 16 |
| 2 | ფიფია (ზესტაფონი) | 13 |
| 3 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| 4-5 | იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 9 |
| 6-8 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 8 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 8 |
| 9-11 | გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 7 |
| 12-13 | კახელიშვილი (ოლიმპი) | 6 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 6 |
| 14-23 | ა.ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 5 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 5 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 5 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 5 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 5 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 5 |
| 24-36 | ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| | შ.ლონლაძე (ზესტაფონი) | 4 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 4 |
| | გ.მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| | კობახიძე (დინამო) | 4 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 4 |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 4 |
| 37-48 | ევოჩე (სიონი) | 3 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 3 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |
| | გ.ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | ტულუში (ბათუმი) | 3 |
| | ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 3 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 3 |
| | დარასელია (სიონი) | 3 |
| | გონჩაროვი (დილა) | 3 |

### გოლი+პასი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 20 (16+4) |
| 2 | ფიფია (ზესტაფონი) | 18 (13+5) |
| 3-4 | ფეიქრიშვილი (ვიტ./დინ) | 15 (8+7) |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 15 (8+7) |
| 5 | იონანიძე (ზესტაფონი) | 13 (9+4) |
| 6-7 | გელაშვილი (ვიტ ჯ.) | 12 (10+2) |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 12 (9+3) |
| 8-9 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 11 (8+3) |
| | დოლიძე (ამერი) | 11 (7+4) |
| 10 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 10 (7+3) |
| 11-12 | ა. ალავიძე (სიონი) | 9 (5+4) |
| | აფციაური (ოლიმპი) | 9 (4+5) |
| 13-15 | კახელიშვილი (ოლიმპი) | 8 (6+2) |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 8 (4+4) |
| | გ.ჭელიძე (ზესტაფონი) | 8 (5+3) |

### რეალიზებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1 | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 4 |
| 2-5 | საჯაია (ბორჯომი/ზესტაფონი) | 3 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| | გ.ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 6 | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| 7-22 | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბაქრაძე (ბორჯომი) | 1 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორ.) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ბიძინაშვილი (კახეთი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 1 |
| | ბაჯელიძე (სიონი) | 1 |

### შემცვლელთა გოლები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| 2-4 | ვ.კვარაცხელია (ოლ./ბათუმი) | 3 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 3 |
| | ტულუში (ბათუმი) | 3 |
| 5-13 | ფიფია (ზესტაფონი | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი | 2 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) 2 | |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ბექანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 2 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 2 |
| 14-39 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | დოლიძე (ამერი) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბალოგრე (ბათუმი) | 1 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 1 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 1 |
| | სევასტოპულო (ამერი) | 1 |
| | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |
| | ხოჯავა (ოლიმპი) | 1 |
| | მეძღლიშვილი (ამერი) | 1 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | მ.ლონლაძე (ტორპედო) | 1 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფურცელაძე (მერანი) | 1 |
| | ბ. ნოზაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ხუბუა (ოლიმპი) | 1 |
| | ბ. გოცირიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ჟონატასი (ზესტაფონი) | 1 |
| | ოდიკაძე (დინამო) | 1 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ. /დინამო) | 1 |
| | კირკიტაძე (ტორპედო) | 1 |

### საგოლე პასები

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 7 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი | 7 |
| 3 | დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| 4-5 | აფციაური (ოლიმპი) | 5 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 5 |
| 6-15 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 4 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 4 |
| | ჯელაძე (ამერი) | 4 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 4 |
| | დოლიძე (ამერი) | 4 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 4 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 4 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 4 |
| 16-26 | გურული (ტორპედო) | 3 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ლუჟაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | რ. ონიანი (ოლიმპი/ზესტაფონი) | 3 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 3 |
| | ოდიკაძე (დინამო) | 3 |
| | შ. გრიგალაშვილი (დინ./ბორჯ.) | 3 |

### ავტოგოლი

| | | |
|---|---|---|
| 1-3 | გიგაური (დინამო) | 1 |
| | შ. ლონლაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ლ. გრიგალაშვილი (მერანი) | 1 |

### წითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1 | სანიკიძე (ჩიხურა/სიონი) | 2 |
| 2-30 | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ჯინჭარაძე (ბათუმი) | 1 |
| | კარსანიძე (მერანი) | 1 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | ელბაქიძე (ამერი) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| | ქარქუზაშვილი (ბორჯომი) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | პ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ლაგაძე (ბორჯომი) | 1 |
| | აბრამიშვილი (დილა) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | მახარაძე (ჩიხურა) | 1 |
| | კედელაშვილი (ამერი/მერანი) | 1 |
| | დობროვოლსკი (ამერი) | 1 |
| | სპასოევიჩი (დინამო) | 1 |
| | კობახიძე (დილა) | 1 |
| | მალიჩავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კოდალაევი (ტორ./ბორჯომი) | 1 |
| | ქუცურუა (ჩიხურა) | 1 |
| | გლუნჩაძე (მერანი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |

### ყვითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბესარაშვილი (მერანი) | 8 |
| 2-4 | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 7 |
| | ცანავა (ბათუმი) | 7 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 7 |
| 5-8 | დოლიძე (ამერი) | 6 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 6 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 6 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 6 |

### დუბლი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 3-4 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| 5-26 | გ.ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 1 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 1 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 1 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | ვ.კვარაცხელია (ოლიმპი/ბათ.) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ევოჩე (სიონი) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯ.) | 1 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 1 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორ.) | 1 |
| | ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 1 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |

### ჰეთ-თრიკი

| | | |
|---|---|---|
| 1-8 | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯ.) | 1 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | ტულუში (ბათუმი) | 1 |
| | ს. იაშვილი (დინამო) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |

### გასულ ტურში

**6 გოლი**
(საშუალოდ მატჩში 0.85)

**9 ყვითელი ბარათი**
(საშუალოდ მატჩში 1.28)

**0 წითელი ბარათი**

### ჩემპიონატში

**357 გოლი**
(საშუალოდ მატჩში 2.21)

**427 ყვითელი ბარათი**
(საშუალოდ მატჩში 2.65)

**27 წითელი ბარათი**
(საშუალოდ მატჩში 0.16)

# XXIII ტურის სიმბოლური ნაკრები




### გასცდენილი პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 3 |
| 2-11 | ტიაგო (ბათუმი) | 1 |
| | შ.კაშია (დინამო) | 1 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 1 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ/დინ.) | 1 |
| | გაგუა (მერანი) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |
| | გონჩაროვი (დილა) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |

### მოგერიებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-8 | ქვაჩახია (ამერი) | 1 |
| | ცინაძე (კახეთი) | 1 |
| | სეფიაშვილი (მერანი) | 1 |
| | ილურიძე (დილა) | 1 |
| | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |
| | მამალაძე (სიონი) | 1 |
| | გ. იაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ლომიძე (მერანი) | 1 |
| | თევდორაძე (დილა) | 1 |

### მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 829 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 769 |
| 3 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 556 |
| 4 | ქვაჩახია (ამერი) | 520 |
| 5 | ქვაჩახია (ამერი) | 454 |
| 6 | სტურუა (დინამო/ჩიხურა) | 431 |
| 7 | მერლანი (ოლიმპი) | 375 |
| 8 | კოდალაევი (ტორ./ბორჯ.) | 342 |
| 9 | ქვილითაია (ტორპედო) | 339 |
| 10 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 306 |

### მიმდინარე მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 556 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 297 |
| 3 | გრიშიკაშვილი (დინამო) | 270 |
| 4 | სეფიაშვილი (მერანი) | 241 |
| 5 | ქვაჩახია (ამერი) | 174 |
| 6 | სომხიშვილი (ბათუმი) | 149 |
| 7 | სტურუა (ჩიხურა) | 127 |
| 8 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 120 |

### ყველაზე ხშირი ანგარიშები

| | | |
|---|---|---|
| 1 | 0:0 | 22 |
| 2 | 1:0 | 20 |
| 3 | 0:1 | 17 |
| 4 | 2:0 | 13 |
| 5 | 3:0 | 11 |
| 6 | 1:1 | 10 |
| 7 | 2:1 | 9 |
| 8 | 3:1 | 7 |

### არბიტრები

*(მატჩების რაოდენობა)*

| | | |
|---|---|---|
| 1 | ხარიტონაშვილი | 15 |
| 2-3 | ვადაჭკორია | 14 |
| | ფანიაშვილი | 14 |
| 4 | მაისურაძე | 13 |
| 5-7 | კვარაცხელია | 12 |
| | სილაგავა | 12 |
| | ბეჟქლიშვილი | 12 |
| 8-9 | კრიჭაშვილი | 11 |
| | სანაია | 11 |
| 10 | კიკაჩეიშვილი | 9 |
| 11 | პ. დოგრაშვილი | 8 |
| 12 | ჭაჭუა | 7 |
| 13-14 | ხეცაძე | 6 |
| | ბუიშვილი | 6 |
| 15 | ნონიკაშვილი | 5 |
| 16 | ელისაბედაშვილი | 4 |
| 17 | გუმბერიძე | 1 |

### ყველაზე დიდი სხვაობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| 2-3 | დილა-ვიტ ჯორჯია | 0:6 | (XII ტური) |
| | კახეთი-ამერი | 1:7 | (XXI ტური) |
| 4-9 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | სიონი-კახეთი | 5:0 | (X ტური) |
| | კახეთი-ოლიმპი | 0:5 | (XV ტური) |
| | ზესტ-ვიტ ჯორჯია | 5:0 | (XVII ტური) |
| | ტორპედო-დინამო | 0:5 | (XVII ტური) |
| | ოლიმპი-ჩიხურა | 5:0 | (XXI ტური) |

### უხვგოლიანი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კახეთი-ამერი | 1:7 | (XXI ტური) |
| 2-5 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| | ბორჯომი-მერანი | 3:4 | (IV ტური) |
| | ვიტ ჯორჯია-ამერი | 4:3 | (XIII ტური) |

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუგზარ სოკორიძის ფოტოები

საქართველოს ჩემპიონატი. XXIII ტური. პოსტფაქტუმ

# ისტორიას გამეორება არ უყვარს

ამ მატჩს დიდხანს ველოდით; უფრო, ალბათ, მეორე წრის დაწყებიდან. ჰო, მაშინათვე ნათელი იყო, რომ 5 მაისის შეხვედრას ძალიან ბევრი რამ უნდა გადაეწყვიტა. ყველაფერი არა, მაგრამ 90 პროცენტით მაინც გადაწყდა, რომ საქართველოს ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპი" იქნება. რა თქმა უნდა, წინ კიდევ სამი ტურია და სიურპრიზებიც არ გამოვრიცხოთ, მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ "ოლიმპმა" სამქულიანი უპირატესობა გაანიავოს. მოკლედ, რუსთაველებმა მართლაც ოქროს ტოლფასი ქულა მოიპოვეს და ერთადერთი, საჩემპიონო ზეიმის ვადა გადასწიეს. "დინამო" კი... სხვის იმედზე უნდა იყოს! უფრო ზუსტად, სხვების - ჯერ გორის "დილამ" უნდა "ივაჟკაცოს" და მედგრად დაუხვდეს "ოლიმპს", მერე კი ამბიციურმა "ამერმა"...

...ორი კვირის წინათ ვწერდით, რომ რუსთავის "ფოლადის" სტადიონზე სერიოზული რეკონსტრუქცია იყო დაწყებული. მართლაც ლამაზი სანახავი იყო ალმოსავლეთი ტრიბუნის რამდენიმე სექტორზე დამონტაჟებული ინდივიდუალური სკამები. 5 მაისს კი, ფაქტობრივად, სახეშეცვლილი სტადიონი დაგვხვდა და ტაბლოს, განათებასა და მოედანსაც რომ მიხედავენ, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო არენაც გვექნება. და მთავარიც: რუსთავში გულშემატკივარმა სტადიონზე მისვლა გაიხსენა - სკამებზე თავისუფალი ადგილი ხომ არ იყო, ხალხს კიბეებზე და... ხეებზეც დაინახავდით! გერმანიისა და იტალიის ახალგაზრდული ნაკრებების სტუმრობა დღესაც ახსოვთ რუსთავში; რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში "ფოლადზე" ანშლაგი იყო; მაგრამ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე 8000 ქომაგი ბოლოს დიდი ხნის წინათ იყო. დავაზუსტებთ - 1996 წლის 31 მაისს, როცა რუსათვის "მეტალურგი" ზესტაფონის "მარგვეთს" მასპინძლობდა. იმ შეხვედრაში მეორე ადგილის (ანუ, უეფას თასის საგზურის) ბედი წყდებოდა და დღესაც გამოცანად რჩება, თუ როგორ "მოახერხეს" მასპინძლებმა დამარცხება. იმასაც გაგახსენებთ, რომ ერთადერთი გოლი მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე **ზვიად ენდელაძემ** გაიტანა. ფეხბურთელმა, დღესაც რომ აგრძელებს საფეხბურთო კარიერას 40 წლის ასაკში. და ვინ იყო მაშინ "მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი? რა თქმა უნდა, **რევაზ ძოძუაშვილი**, რომელსაც ნამდვილად არ სურდა 11 წლის წინანდელი ფიასკოს გამეორება. მართალია, ძოძუაშვილმა ვერც ამჯერად მოიგო, მაგრამ მთავარი ხომ მისთვის არწაგება იყო და მისმა ტაქტიკურმა ჩანაფიქრმაც გაამართლა.

მოკლედ, ხვდებით, რომ ნელ-ნელა, ტურის და ლამის ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩზე გადავდივართ. მატჩზე, რომლის პირველი ტაიმი აშკარად მასპინძლების იყო: ფლანგებზე **გიორგი სეთურიძემ** და **გიორგი ნავალოვსკიმ** აშკარა უპირატესობა მოიპოვეს, მოედნის ცენტრში დამაჯერებელი იყო **თორნიკე აფციაური, რევაზ გეწაძე** კი არნახულად მოტივირებული გახლდათ. თანაც, ძალიან ბევრისათვის მოულოდნელად, სტუმრები უჩვეულოდ პასიურად გამოიყურებოდნენ. არადა. "დინამოს" ხომ მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. და კიდევ ერთი არცთუ უმნიშვნელო კი არა, ალბათ, გადამწყვეტი მომენტიც - "ოლიმპის" დაცვამ თითქმის იდეალურად შეძლო **სანდრო იაშვილის** განეიტრალება. ყველასთვის ცხადია, რომ "დინამოს" შეტევების ლიდერი ჩინებულ ფორმაშია, მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, მისმა მეურვეებმა უშეცდომოდ ითამაშეს. განსაკუთრებით კი **გიორგი ონიანმა**, ამ სეზონის, უდავოდ, ერთ-ერთმა გამორჩეულმა მცველმა.

დაძაბულობა არც მეორე ტაიმს მოჰკლებია, თუნდაც ის ორი სახიფათო მომენტი რად ღირდა, მეტოქეებმა რომ გაცვალეს. ორივე შემთხვევაში ბედის ამბავი იყო: თორნიკე აფციაურმა ხუთი მეტრიდან დაუცველ კარს რომ ააცილა და მერე, როცა **ილია სპასოევიჩის** დარტყმული ბურთი **დავით ჭიჭველიშვილმა** რომ გამოიტანა. აი, ეს იყო სულ სახიფათო მომენტები და, ფაქტობრივად, მეკარეები საქმეში არც ჩართულან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ "დინამომ" მეორე ტაიმი აშკარად უკეთ ჩაატარა, თუმცა მაინც მეტს ველოდით. ისე, როგორც მეტს ველით **დუშან უჰრინისგან** - ამ გამოცდილ ჩეხ სპეციალისტს ჩვენგან რა ესწავლება, მაგრამ აშკარად ერთფეროვანი და მარტივი ტაქტიკით მოასპარეზე "დინამო" მეტოქეთათვის ადვილად "გასაშიფრია". თანაც, ჩვენი აზრით, უფრო მეტ სათამაშო დროს იმსახურებენ **დავით ოდიკაძე** და ილია სპასოევიჩი. ამ უკანასკნელმა სულაც სასიამოვნოდ გაგვაოცა - მოედანზე ათ წუთზე ცოტა მეტი დაყო და მართლაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. მოკლედ, შეხვედრა ლოგიკური ანგარიშით და... უინციდენტოდ დასრულდა! დიახ, ბევრი შიშობდა, რომ ასეთ პრინციპულ დაპირისპირებაში ფეხბურთელები ნერვებს ვერ მოთოკავდნენ. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და ყოველივე ეს მთავარი მსაჯის დამსახურებაა. **ლევან ფანიაშვილმა** მართლაც ჩინებულად იმსაჯა - ფეხბურთელებს ბრძოლის საშუალებაც მისცა და მთელი მატჩის განმავლობაში უაღრესად დამაჯერებელი იყო.

ამ მატჩისადმი ისეთი ინტერესი იყო, რომ ტურის ყველა დანარჩენი შეხვედრა გადაწონა. თუმცა რამდენიმე ღირსშესანიშნავი მოვლენა მაინც მოხდა. ჯერ ის ვთქვათ, რომ სამწვრთნელო ასპარეზზე დებიუტი ჰქონდა **დავით ჯანაშიას** - ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ მშობლიურ "ტორპედოში" გამოუცდელი ახალგაზრდების გვერდით რომ აგორებდა ბურთს. არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თელავის "კახეთის" მიერ მოპოვებული ქულაც, რომელიც ამ ჩემპიონატში მეორე(!) გახლდათ. დაბოლოს, ორ მეგოლეზეც: "ამერის" ფორვარდმა **დიმიტრი ტატანაშვილმა** ისევ შეცვლაზე შემოსულმა იყოჩაღა! აი, **ზურაბ იონანიძემ** კი ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში თავის 198-ე გოლი გაიტანა და დარწმუნებული ვართ, რომ ვეტერანი თავდამსხმელი საიუბილეო მეორასე გოლს ამ ჩემპიონატში გაიტანს.

**გია ტუხაშვილი**



გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ინტერვიუ გიორგი ბალაშვილთან

# დროში ჩაუტეველი დილა

ჩემპიონატის მინურულს გორის „დილას" სავალალო სატურნირო მდგომარეობა აქვს. ამ ეტაპზე გორელებისთვის სასიკეთო მხოლოდ ისაა, რომ გუნდი განახლების გზაზეა და ხელმძღვანელობა ცდილობს „დილა" სამომავლოდ ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად აქციოს. მომავლის გუნდს ჩვეულებისამებრ აქაც ძირითადად ახალგაზრდებით აშენებენ. გუნდში ყველაზე გამოცდილი მოთამაშე გიორგი ბალაშვილი თითქმის ორი წლის უქმობის შემდეგ მოიყვანა ახალმა ხელმძღვანელობამ და კაპიტნის სამკლაურიც მოარგო. გიორგი არა მარტო „დილაში", მიმდინარე ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი ფეხბურთელია, ამიტომაც მასთან არა მხოლოდ შიდა ქართლის მთავარ გუნდზე მოგვიწია საუბარი...

**- მართალია ცოტა ხანს, მაგრამ „დილაში" პირველ წრეშიც იყავი. შენი აზრით, რა სხვაობაა მაშინდელსა და ახლანდელ გუნდს შორის?**

- პირველ წრეში მხოლოდ სეზონის გახსნის შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. მაშინდელ და დღევანდელ ჩვენს გუნდს შორის შესამჩნევი განსხვავებაა. მაშინ „დილა" უმოტივაციო გახლდათ, არ იყო ფინანსები და პირობები. ახლა რადიკალურად შეცვლილია მდგომარეობა უკეთესობისაკენ. დღეს „დილა" ახალგაზრდული, მონდომებული და მებრძოლი კოლექტივია. ამ ეტაპზე ბიჭებს შეთამაშება გვაკლია, თუმცა ესეც მალე მოხერხდება. ყველაფერი ნელ-ნელა ყალიბდება, მაგრამ სამწუხაროდ სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით დროში ვერ ჩავეტიეთ. მხოლოდ თეორიული შანსიღა არსებობს, იმისა, რომ მომავალ სეზონსაც უმაღლეს ლიგაში ვითამაშებთ.

**- უკვე შეეგუა გუნდი უმაღლესი ლიგის დატოვებას?**

- არც მთლად ასეა საქმე. სიმართლე რომ ვთქვათ, მეორე წრის დაწყებამდე არსებული სიტუაციის მიხედვით რომ ვიმსჯელეთ, მაშინაც მეტისმეტად ძნელი გვეჩვენებოდა ლიგაში დარჩენა, მაგრამ დაგეგმილის მისაღწევად თავდაუზოგავად ვიბრძოლეთ. რაც შეგვეძლო დავდეთ მოედანზე. სანამ თეორიული შანსი მაინც არსებობს, შევეცდებით მის გამოყენებას. არავინ იფიქროს, რომ დარჩენილ შეხვედრებში „დილასთან" გაისეირნებს, მით უმეტეს გორში!

**- მეორე წრეში რამდენიმე ისეთი მატჩში დამარცხდით, სადაც თავდაპირველად მიგყავდათ ანგარიში. რამ გამოიწვია ეს?**

- ვფიქრობ პირველ ყოვლისა ფიზიკურმა მოუმზადებლობამ და შეუთამაშებლობამ იმოქმედა ამ შედეგებზე. მართალია გუნდმა ზამთარში გაიარა შეკრება, მაგრამ დამეთანხმებით ფიზიკური კონდიციების სისრულეში მოსაყვანად ეს დრო არაა საკმარისი, ისევე, როგორც არ კმარა ეს პერიოდი გუნდის შესათამაშებლად.

**- თბილისის „ლოკომოტივთან" შეხვედრაში არ დაგიფარავთ უკმაყოფილება მსაჯობასთან დაკავშირებით...**

- უნდა აღვნიშნო, რომ მსაჯობა გასულ წლებთან შედარებით გარკვეულწილად გამოსწორდა. უწინდელივით აღარაა ისე, რომ სათამაშოდ გასული გუნდი არბიტრმა, როგორც იტყვიან, უცერემონიოდ „დაწვას", მაგრამ „დილა"-„ლოკომოტივის" მსაჯობით ვერ ვიქნებოდით კმაყოფილი. შეცდომები ზომაზე მეტი იყო. არ დანიშნეს პენალტი ჩვენს სასარგებლოდ, ბევრჯერ შეცდნენ თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირებისას, არაერთხელ ერთმანეთისაგან განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღეს მთავარმა მსაჯმა და ლაინსმენმა.

**- მრავალი წელია, საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობ. როგორ ფიქრობ, მოიმატა ეროვნული პირველობაში სათამაშო დონემ?**

- სამწუხაროდ, წინსვლაზე ვერაფერს მოგახსენებთ. პირიქით გარკვეული თვალსაზრისით უკუსვლაც კი არის შესამჩნევი. წინა წლებთან შედარებით მხოლოდ რამდენიმე გუნდის თამაში გაუმჯობესდა, უმრავლესობა კი ადრინდელთან შედარებით უარეს ფეხბურთს აჩვენებს.

**- ასაკიდან გამოდინარე ხომ არ ფიქრობ ფეხბურთისათვის თავის დანებებას იმ შემთხვევაში, თუ „დილამ" უმაღლესი ლიგა დატოვა, გააგრძელებ მშობლიურ კლუბში ასპარეზობას?**

- ვიდრე ძალები მეყოფა ფეხბურთს ვითამაშებ "დილაში" ვიქნები. ჯერჯერობით კი ამ კუთხით ჩემში პრობლემას ვერ ვხედავ. რაც შეეხება „დილას", ამ გუნდთან კონტრაქტი მაკავშირებს და მომავალ წელსაც აქ ვიქნები.

**- თბილისის „ლოკომოტივში" ასპარეზობისას საქართველოს ნაკრებშიც გაქვს ნათამაშები. ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს უფრო დიდი ყურადღება ხომ არ უნდა დაუთმოს ნაკრების ხელმძღვანელობამ?**

- აუცილებლად. რასაკვირველია, საჭიროა ლეგიონერებზე დაყრდნობა, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატშიც არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრების ხელმძღვანელობის ყურადღებას იმსახურებენ. არც მხოლოდ ლიდერი კლუბების მატჩებს უნდა ესწრებოდნენ ეროვნული გუნდის მწვრთნელები. ვფიქრობ, დანარჩენ გუნდებშიც მოიძებნებიან პერსპექტიული ახალგაზრდები.

**- საინტერესოა როგორც ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის აზრი ტოპმიოლერის ფორმაციის საქართველოს ნაკრებზე. ბოლო ხანს მიმდინარებს დისკუსია მისთვის კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე...**

- არაობიექტურობა იქნებოდა დღევანდელი ნაკრების პროგრესის არდანახვა. საუბარიც ზედმეტია თავად ტოპმიოლერის კვალიფიკაციაზე. ვფიქრობ მას კიდევ უნდა მიეცეს დრო სამუშაოდ. მწვრთნელთა ხშირი ცვლა არცერთ გუნდზე არ მოქმედებს დადებითად.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



გიორგი ბალაშვილი (მარცხნივ)



აკაკი დევაძე

ინტერვიუ აკაკი დევაძესთან

# ერთი წელიც და...

**"მგლებმა" ზუგდიდს უმაღლესი ლიგა დაუბრუნა. ქართული ფეხბურთისთვის საბედნიეროდ, სამეგრელოს საფეხბურთო ელიტიდან განშორების ერთწლიანი პერიოდი დასრულდა.**

**ზუგდიდელების წარმატებაში დიდი როლი საქართველოს ნაკრების ყოფილმა მეკარე აკაკი დევაძემ შეასრულა. თუმცა ბოლო ორი ტურია 36 წლის მეკარე მოედანზე აღარ გამოჩენილა და საუბარი ამის მიზეზებზე დავიწყეთ:**

- ახალციხის "მესხეთთან" მატჩის დროს თეძოს ძვალი დავიშავე, დღემდე ძალიან მაწუხებს ტკივილი და მას შემდეგ ველარ ვითამაშე. თამაშს ვინ ჩივის, ვარჯიშს ახლაც ვერ ვახერხებ.

**- გამოდის, სეზონი დაამთავრე?**

- ასე მძიმედაც არაა საქმე. არ გამოვრიცხავ, ბოლო 2-3 ტური ჩავატარო. ჩემპიონატს 22 მაისს ვამთავრებთ და მანამდე მოვრჩები. მთავარია, რომ "მგლები" უმაღლესში გადავიდა და ჩემი დახმარება დარჩენილ მატჩებში აღარ სჭირდება.

**- შენი აზრით, "მგლები" უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ მზადაა?**

- პირველი ლიგისთვის ძლიერი გუნდია, რაც შედეგიდანაც გამოჩნდა. უმაღლესისთვის კი რა მოგახსენოთ - ამ შემადგენლობით ძალიან გაგვიჭირდება და ეს გუნდის ხელმძღვანელობასაც კარგად მესმის. როგორც ვიცი, ახალ სეზონამდე 5-6 გამოცდილი ფეხბურთელის დამატებას აპირებენ. ისედაც საკმაოდ ნიჭიერი ბავშვები გვყავს, უნდა ნახოთ, რა ჟინიანები არიან, ისეთი მონდომებით თამაშობენ, გესიამოვნება ადამიანს. დარწმუნებული ვარ, გამოცდილი ხალხის გვერდით ეს ბიჭები გაცილებით უკეთ გამოჩნდებიან.

**- მართლა 40 წლამდე აპირებ თამაშს?**

- არა, ვინ გითხრათ?

**- თავად თქვი ერთ-ერთ ინტერვიუში.**

- ადრე კი ვაპირებდი, მაგრამ დრომ თავისი მოიტანა. თუკი ჯანმრთელობა ხელს არ შემიწყობს, შეიძლება კარიერა წლეულსაც დავამთავრო. არც ისაა გამორიცხული, "მგლებს" კიდევ ერთი წელი დავეხმარო. ვნახოთ, ხელმძღვანელობამ დარჩენა შემომთავაზა და მეც ვფიქრობ.

**- ზუგდიდში ყოველთვის გამორჩეული გულშემატკივრობა იცოდნენ. წელსაც ასე იყო?**

- ასეთ მაყურებელს სხვაგან ვერ ნახავ! ისეთი მხარდაჭერა იციან, რომც არ გინდოდეს, მაინც გათამაშებენ, ძალიან მაგრები არიან. რომ იცოდეთ, კიდევ ერთი წლით თამაშზე მხოლოდ მათ გამო დავფიქრდი, თორემ უკვე ბუცებს ჩამოვკიდებდი.

ახალ სტადიონს აშენებენ, სტადიონი ყველა შეხვედრაზე გაივსება და ასეთ გარემოში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი. ისედაც ხომ ვხედავ, ხალხს როგორ ვუყვარვარ და მეც დამატებითი სტიმული მომეცა.

**- საქართველოს პირველი ჩემპიონატიდან დღემდე ორიოდე მოთამაშე შემორჩა, შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ და სხვებზე უკეთ შეაფასებ, ამ 17 წლის განმავლობაში რა შეიცვალა?**

- სასიკეთოდ არაფერი! ეს ნაღდად შემიძლია გითხრათ. პირველ ჩემპიონატში გაცილებით მაღალი დონე იყო, მერე და მერე უარესობისკენ წავედით. გული მწყდება, იმდენი ნიჭიერი ბიჭი დაიკარგა და ჩვენი უნარი ვერ გამოვიყენეთ... ან რა კითხვა უნდა, უეფას ტურნირებზე ქართული გუნდების გამოსვლას გადახედეთ, შედეგები ყოველწლიურად უარესდება. ადრე ბილბაოს "ატლეტიკს" ჩემპიონთა ლიგაში გასვლისთვის თუ ვეომებოდით, ახლა ისეთებთან ვაგებთ, სირცხვილია. ამიტომაც სჭირდება ქართულ ფეხბურთს ახალი სისხლი. დღევანდელი მიდგომით ჩვენს ფეხბურთს არაფერი ეშველება, თითქოს, არც არაფერი იცვლება, რეგრესი გრძელდება და ყველაფერი უნდა შეიცვალოს.

**- გულახდილად თქვი, გულისძირში მაინც არ გიოცნებია ნაკრებში დაბრუნებაზე?**

- არა, ეს თემა დახურულია! ჩემი დაბრუნება ნაკრების სირცხვილი იქნება!

**მერაბ მამულაშვილი**

### პირველი ლიგა

| | |
|---|---|
| მალაროელი-გაგრა | 0:0 |
| მეშაქრე-მესხეთი | 0:0 |
| სამტრედია-დინამო 2 | 3:1 |
| მეშახტე-მერცხალი | 3:0 |
| ოლიმპი-ნ. დინამო | 0:1 |
| გურია-ზესტაფონი 2 | 3:0 |
| ვიტ ჯორჯია 2-რაჭა | 1:0 |
| მგლები-ამერი 2 | 0:0 |
| სპარტაკი-ჩიხურა 2 | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 31 | 22 | 4 | 5 | 52-21 | 70 |
| 2. მესხეთი | 30 | 20 | 5 | 5 | 59-17 | 65 |
| 3. მეშაქრე | 31 | 14 | 10 | 7 | 38-26 | 52 |
| 4. ვიტ ჯორჯია 2 | 31 | 15 | 6 | 10 | 52-28 | 51 |
| 5. გაგრა | 31 | 15 | 6 | 10 | 47-34 | 51 |
| 6. მალაროელი | 31 | 13 | 9 | 8 | 44-31 | 51 |
| 7. ამერი 2 | 31 | 13 | 11 | 7 | 51-34 | 50 |
| 8. ოლიმპი | 31 | 13 | 8 | 10 | 49-34 | 47 |
| 9. ნ. დინამო | 30 | 14 | 4 | 12 | 46-43 | 46 |
| 10. სამტრედია | 31 | 12 | 8 | 11 | 31-39 | 44 |
| 11. მეშახტე | 31 | 12 | 6 | 13 | 45-38 | 43 |
| 12. დინამო 2 | 31 | 9 | 10 | 12 | 49-36 | 37 |
| 13. ზესტაფონი 2 | 31 | 9 | 10 | 12 | 28-34 | 37 |
| 14. რაჭა | 30 | 7 | 11 | 12 | 28-42 | 32 |
| 15. ჩიხურა 2 | 31 | 8 | 5 | 18 | 25-56 | 29 |
| 16. გურია | 31 | 7 | 6 | 18 | 32-70 | 27 |
| 17. სპარტაკი | 30 | 7 | 5 | 17 | 18-44 | 26 |
| 18. მერცხალი | 30 | 2 | 5 | 23 | 20-84 | 11 |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 55 ტელეფონის დადგმა;

CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა



სამუელ ეტოო

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რონალდინიო? მილანი ეტოოსკენ შეტრიალდა

## სატრანსფერო კურსი შეიცვალა: გაუჩოში 100 მილიონის დახარჯვას სამი ძლიერი ფეხბურთელის ყიდვა ჯობია, ეტოო კი 40 მილიონი ღირს...

იტალიის ჩემპიონატი ტურიდან ტურამდე ინტერესს კარგავს, ინტრიგა მხოლოდ ცხრილის ქვედა ზონაში რჩება. პრესა იძულებული ხდება, მკითხველის ყურადღება არასაჩემპიონატო საკითხებით მიიპყროს. მაგალითისთვის, "გაძეტა დელო სპორტის" ორშაბათის ნომერში, რომელიც ჩვეულებრივ, მთლიანად ბოლო ტურის მიმოხილვას ეძღვნება ხოლმე, მთავარი გვერდი ამჯერად სატრანსფერო ბაზარს ეთმობოდა. ინფორმაცია ძალიან ხმაურიანია: „მილანმა" **რონალდინიოს** ტრანსფერს თავი დაანება და თვალი **ეტოოს** დაადგა. აი, როგორ ჰყვებოდა „გაძეტა" ამ ყველაფერს:

„კურსის შეცვლა ბოლო რამდენიმე საათში მოხდა. იგივეა ქალაქი, იგივეა კლუბი: ბარსელონა. „მილანი" რონალდინიოს ემშვიდობება და ყურადღება გადააქვს სამუელ ეტოოზე, ბრაზილიელის თანაგუნდელსა და ამავდროულად, მის პირად მონინააღმდეგეზე. სწორედ ამ გარემოების გამოყენება უნდა „როსონერის" იმისთვის, რომ წარმატებით დაასრულოს ეს ამბიციური ოპერაცია, რომელიც კარლო ანჩელოტისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. კატალონიური კლუბი აცნობიერებს, რომ რონალდინიოსა და ეტოოს უთანხმოებები მათ თანაცხოვრებას უკვე შეუძლებელს ხდის. ამიტომ ხელმძღვანელობა ერთ-ერთის შესაძლო გასხვისებისთვის ემზადება. ცნობილი ამბავია, რომ ამ ბოლო თვეებში „მილანის" დირექტორატმა ბრაზილიელის გადაბირების მიზნით, არაერთი სვლა გააკეთა. რონალდინიომაც გადადგა შემხვედრი ნაბიჯი, როცა განაცხადა, რომ მილანელების წინადადება მისთვის საინტერესო იყო. მაგრამ არც **ხოან ლაპორტას** და არც მის თანაშემწეებს არასოდეს გამოუხატავთ რეალური დაინტერესება მოლაპარაკების დასაწყებად. ამასობაში, „მილანის" სატრანსფერო გეგმებში ცვლილებები მოხდა. იმძლავრა დირექტორთა იმ ნაწილის აზრმა, რომელიც უფრო მრავალფეროვან სატრანსფერო კამპანიას ამჯობინებს – „ოქროს ბურთის" ყოფილ პრიზიორზე 100 მილიონი ევროს დახარჯვას (როგორც სილვიო ბერლუსკონი აცხადებდა პირად საუბრებში) ჯობია, რომ აქცენტი გაკეთდეს სამ ძლიერ, მაგრამ ნაკლებად ძვირადღირებულ ფეხბურთელზე. ფაქტია, რომ ევროპის მასშტაბით ეტოო ერთ-ერთი უძლიერესია თავის ამპლუაში. და არც ის ელირება ცოტა...

კონტაქტი. ოპერაცია-ეტოო გასულ დღეებში დაიწყო, როცა „მილანის" წარმომადგენლებმა ბარსელონელ დირექტორებთან არაფორმალური საუბრისას სიტყვა კამერუნელზე ჩამოაგდეს. ეს არცთუ უმნიშვნელო მომენტია, რადგან მილანური კლუბი ზურგსუკან მოქმედებასა და კატალონიელებთან დამყარებული ბრწყინვალე ურთიერთობის გაფუჭებას არ აპირებს. ფასის შესახებ ჯერ არაფერი თქმულა, მაგრამ ლოგიკურია, ველოდეთ, რომ „ბარსელონა" 27 წლის კამერუნელ თავდამსხმელს (რომელიც პრიმერდივიზიონში 1997 წლიდან თამაშობს და ესპანური პასპორტიც აქვს) სულ ცოტა 40 მილიონ ევროდ შეაფასებს. თან ფეხბურთელს უკვე გაფორმებული აქვს სერიოზული კონტრაქტი – სეზონში 4 მილიონი ევრო 2010 წლამდე. მისი გამოსასყიდი თანხა ხომ საერთოდ ფანტასტიკის სფეროდანაა - 150 მილიონი ევრო. თუმცა ცხადია, რომ ეს არ არის საბაზრო ფასი, მაგრამ კარგად გამოხატავს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელსაც „ბარსელონა" ამ ფეხბურთელს ანიჭებს.

ინტრიგა. მაგრამ მხოლოდ „ბარსელონას" დაყოლიება არ იკმარებს. ანგარიში უნდა გაეწიოს ასევე კონკურენტებს: ეტოო „ლივერპულს" მოსწონს, „არსენალმა" კი უკვე მიმართა „ბარსას" წინადადებით, რომ მზადაა, კამერუნელი ტიერი ანრიში გაუცვალოს. მაგრამ ეს ვარიანტი ბოლომდე დამაჯერებელი არაა „ბლაუგრანას" ხელმძღვანელობისთვის, რომელიც თავისი გოლეადორის დათმობის სანაცვლოდ დიდი მოგების მიღებას ელის. ამიტომ „ბარსამ" დრო ითხოვა.

ფეხბურთელი. დაბოლოს, დასარწმუნებელია თავად ეტოო. „მილანი" ჩქარობს, რომ კონტაქტი მასთანაც დაამყაროს, მაგრამ სიგნალები, რომელიც კამერუნელის გარემოცვიდან მოდის, ძალიან დამაიმედებელია. ეტოოს კარგად ესმის, რომ „როსონერი" მას მონინავე როლს ანდობს იმ გუნდში, რომელიც სავსეა ვარსკვლავებით. ასეთ დეტალებს კი დიდი ტრანსფერების დროს ყოველთვის დიდი ყურადღება ექცევა".

**გოგა ახალაძე**

ბაიერნი

# ბოსებს შორის განხეთქილებაა

## პოლიციამ ნიურნბერგელი ფანების ცემისთვის 73 მიუნხენელი ქომაგი დააკავა...

იმ დროს, როცა "ბაიერნის" ფეხბურთელები მიონხენგლადბახში წვალობდნენ (1:1 უმოტივაციოდ დარჩენილ "გლადბახთან", ზედიზედ მესამე ვერმოგებული მატჩი), მიუნხენური გიგანტის კაპიტანი **ოლივერ კანი** საფრანგეთში **ვერენა კერთთან** ერთად ისვენებდა. ოლი შეყვარებულს შეურიგდა, ავსტრიელი მოდელი კი (ამას წინათ ვნერდით), მოხდენილად "გადააგდო". "გლადბახთან" რეკორდმაისტერის კარს სათადარიგო **მიხაელ რენზინგი** იცავდა. ეს **ოტმარ ჰიტცფელდის** გადაწყვეტილება გახლდათ - ბავარიელთა თავკაცმა თქვა, რენზინგს სათამაშო პრაქტიკა სჭირდებაო და სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, ყოვლად უაზრო შეხვედრაში კანზე უარი განაცხადა, რაც ნაწილობრივ გამართლებულია. თუმცა, მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან ჩვენი გერმანელი კოლეგები მიიჩნევენ, რომ სხვა თუ არაფერი, მიონხენგლადბახში მოგება "ბაიერნისთვის" პრესტიჟის საქმე იყო. და რაკი ჰიტცფელდმა კანს შვებულება გამოუწერა, ეს თავისთავად მიუთითებდა იმაზე, რომ მიუნხენელები ამ მატჩს სერიოზულად არ მოეკიდნენ. არ მოეკიდნენ და შედეგიც შესაბამისი მიიღეს: მხოლოდ 1:1 და განრისხებული გულშემატკივრები, რომლებიც საყვარელი გუნდის ფეხბურთელებსა და ბოსებს მთელი 90 წუთის განმავლობაში ნეხვ მილიონრებს ეძახდნენ. კანი გუნდს დღეს შეუერთდება. გერმანელი მიმომხილველები კი მიიჩნევენ, რომ კაპიტანს კრიზისში მყოფი გუნდი, თუნდაც უსარგებლო შეხვედრაში, არ უნდა მიეტოვებინა და მიუხედავად იმისა, რომ არ ითამაშებდა, მიონხენგლადბახში გუნდთან ერთად უნდა ყოფილიყო.

ექსპერტებისგან კრიტიკა დაიმსახურა "ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმაც** და კერძოდ იმის გამო, რომ მან ფეხბურთელებს ალიბი მოუგონა და ყველაფერი პრესას გადააბრალა. *"როცა ფეხბურთელები მთელი კვირის განმავლობაში მხოლოდ იმას კითხულობენ, რომ მოედანზე უმაქნისები არიან, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ უშუალოდ თამაშის დროს მართლა უმაქნისები იქნებიან. ეს მარტივი ფსიქოლოგიაა. ის, რომ მიონხენგლადბახში ვერ მოვიგეთ, პირველ რიგში, მედიის ზეწოლის ბრალია,"* - თქვა ჰიონესმა და ამ სიტყვებით მაგრად მიჰქარა, რადგან ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან კიდევ უფრო მაგრად მოხვდა.

ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო - ასეა ჰიტცფელდის საქმე. ერთი კვირის წინათ, "ჰამბურგთან" განცდილი მარცხის შემდეგ, ოტმარმა თქვა, მომდევნო შეხვედრაში მოყვარულებს ვათამაშებ, რადგან ძირითადები მუდმივად იმედებს მიცრუებენო. "გენერალი" ზოგიერთი ფეხბურთელის დისკვალიფიცირებით იმუქრებოდა და ყველას ეგონა, რომ "გლადბახთან" ერთდროულად რამდენიმე მოყვარული ითამაშებდა. მაგრამ შაბათს ჰიტცფელდმა განაცხადში მხოლოდ სამი მოყვარული შეიყვანა, თან სამივე სკამზე დასვა. თამაში კი მხოლოდ 19 წლის **შტეფან ფიურშტნერს** მოუხდა, ისიც მხოლოდ 3 წუთით. ამიტომაც იყო, მიუნხენელმა გულშემატკივრებმა ამ სიტყვების სკანდირება რომ დაიწყეს: *"უფრო მეტი მოყვარულები გვინდა, ნეხვო მილიონრებო!"* ამაზე ჰიტცფელდის რეაქცია ასეთი გახლდათ: *"ფანებს მოვუწოდებ, ძალიან გთხოვთ, ნუ გადაამეტებთ და ზღვარს ნუ გადახვალთ!"* არადა, ჯერ კიდევ ხუთშაბათს ოტმარი ამბობდა: *"პირველ რიგში იმას ველი, რომ თითოეულმა ფეხბურთელმა ფანებს პატივი სცეს და იამაყოს იმით, რომ ჩვენ 13 მილიონი რეგისტრირებული ქომაგი გვყავს!"*

თუმცა როგორც ჩანს, თითოეული ბაიერნელისთვის ზაფხულამდე უკვე ყველაფერი სულერთია. ასეც და ისეც, გუნდს მეოთხე ადგილი აქვს განაღდებული. დარჩენილი ორივე თამაში რომ მოიგონ, ან ორივე რომ წააგონ, ამით ცხრილში არაფერი შეიცვლება. შესაბამისად, ხელმძღვანელებიც სეზონის დასრულებას ელიან, რათა მერე ყველა საქმეს ერთდროულად მიხედონ. *"საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყველა კონტრაქტს არ გავაგრძელებთ. პისაროსა და სანტა კრუსის გარდა, აუცილებლად გამოჩნდება კიდევ რამდენიმე მოთამაშე, ვინც ახალ ხელშეკრულებას ვერ მიიღებს და გუნდის დატოვება მოუხდება,"* - ამბობს ჰიონესი. ფაქტია, რომ უნიათო **გიორლიტცმა** და **ლელმა** უკვე მიიღეს ახალი კონტრაქტები.

"ბაიერნისთვის" ერთობ უჩვეულო და მოულოდნელი იყო ის, რომ "გლადბახთან" მატჩამდე პოლიციამ რეკორდმაისტერის 73 ქომაგი დააკავა. შაბათს დილით, 9-ს რომ 20 წუთი აკლდა, პოლიციაში შეტყობინება მივიდა, ვიურცბურგთან ახლოს, მესამე ავტობანზე ფეხბურთის გულშემატკივრები ერთმანეთს წაეკიდნენ და რამდენიმე მათგანი მძიმედაა დაშავებულიო. აი, რა მოხდა: ხსენებულ ავტობანზე ერთმანეთს ორი ავტობუსი შეხვდა - ერთში "ნიურნბერგის" (შეგახსენებთ, რომ ესეც ბავარიული გუნდია) ფანები ისხდნენ, რომლებიც გელზენკირხენში მიდიოდნენ, მეორეში კი "ბაიერნის" მიონხენგლადბახისკენ მიმავალი ქომაგები. ორივე ავტობუსი დასასვენებლად ერთდროულად გაჩერდა, რის შემდეგაც, "ბაიერნის" ფანებმა ნიურნბერგელ გულშემატკივრებს შეუტიეს. ფრანკების ავტობუსის მძღოლს მიუნხენელი ქომაგების მიერ ნასროლი ბოთლი თავში მოხვდა. დაშავდა ფრანკების რამდენიმე გულშემატკივარიც. არცაა გასაკვირი, ბავარიელი ფანები განრისხებულები რომ არიან. დიდი ხნის შემდეგ პირველად ხდება ისე, რომ სეზონის დამთავრებამდე ორი ტურია დარჩენილი და ასეთ დროს "ბაიერნი" სატურნირო ცხრილის თვალსაზრისით, არავის აინტერესებს.


კარლ ჰაინც რუმენიგე და ფრანც ბეკენბაუერი

### ბეკენბაუერი რუმენიგეს წინააღმდეგ

დაბოლოს: რეკორდმაისტერის ბოსებს შორის მცირე დაპირისპირებაა. ერთმანეთს პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი** და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (ვიცე-პრეზიდენტი) **კარლ-ჰაინც რუმენიგე** წაეკიდნენ. საქმე ისაა, რომ რუმენიგე კაიზერ-ფრანცის ბოლოდროინდელი განცხადებებით უკმაყოფილოა. "ველტისთვის" მიცემულ ინტერვიუში კალემ ბეკენბაუერი გააკრიტიკა, მისი განცხადებები იმის შესახებ, რომ ბევრი ფული უნდა დავხარჯოთ, ყველას გვაბნევსო. *"ფრანცი ითხოვს, ძვირიანი ფეხბურთელები იყიდეთო. არადა, მას წარმოდგენა არა აქვს სატრანსფერო ბაზარსა და ჩვენს სიტუაციაზე. ბეკენბაუერმა არაფერი იცის, რადგან აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ტრანსფერებში არ ერევა. გარდა ამისა, უმჯობესი იქნებოდა, რომ ასეთი მოთხოვნები პირადი საუბრების დროს წაეყენებინა და არა სახალხოდ,"* - უკმაყოფილოა რუმენიგე.

*"მართალია, მე ტრანსფერებში არ ვერევი, მაგრამ ყველაფერს თვალყურს ვადევნებ და ვიცი, რა როგორ ხდება. უბრალოდ ვითხოვ, რომ კარგი ფეხბურთელები იყიდონ და ღიად ვაცხადებ, რომ ფული პრობლემა არ არის - ესაა და ეს. მიმაჩნია, რომ ძალიან სწორად ვიქცევი. ხოლო თუ ვინმეს პირადად ჩემთან აქვს პრობლემა, მზად ვარ, ყურადღებით მოვუსმინო!"* - ასეთია ბეკენბაუერის პასუხი.

ბოსებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან - ესღა აკლდა ისედაც ქაოსში მყოფ "ბაიერნს"...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტის მოსაზრება

# საუკეთესო მუდამ იმარჯვებს

**პრემიერლიგა ფინიშის სწორზე გავიდა. დარჩა ერთი ტური და ორი გამოტოვებული მატჩი, მაგრამ სეზონის მთავარ კითხვაზე პასუხი უკვე გაცემულია: ჩემპიონის ტიტული დამსახურებულად მოიგო "მანჩესტერ იუნაიტედმა". BBC-ის ექსპერტმა, წარსულში "ლივერპულის" ფეხბურთელმა ალან ჰანსენმა სეზონი თავის ტრადიციულ სვეტში შეაჯამა...**

პრემიერლიგას ყოველთვის საუკეთესო გუნდი იგებს. ამ სეზონის წინ ყველა ელოდა, რომ ეს გუნდი "ჩელსი" იქნებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, რეალობა ასეთია: ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, ტიტულს "მანჩესტერ იუნაიტედი" ზეიმობს. მრავალი ფაქტორი შეიძლება გამოვყოთ, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს გამარჯვება დამსახურებულია. მაგალითად, **რიო ფერდინანდისა** და **ნემანია ვიდიჩის** ბრწყინვალე დუეტი დაცვის ცენტრში. ამ სეზონში, ვიდიჩის სახით, ჩვენ აბსოლუტურად განსხვავებული ფეხბურთელი ვიხილეთ. და, რა თქმა უნდა, **კრისტიანო რონალდო** და **პოლ სქოულზი**, რომელთა ღვაწლი ასევე განუზომლად დიდია. ეს ყველაფერი კი ერთი კაცის სახელქვეშ ერთიანდება - სერ **ალექს ფერგიუსონი**.

ამ საქმის მთავარი გასაღები, წმინდა სატურნირო კუთხით თუ ვიმსჯელებთ, გასაოცარი სტაბილურობა, თანმიმდევრულობა და კონცენტრაციაა, და ეს იმ პირობებში, როცა უკან დაუღალავი და ასევე საოცრად ძლიერი "ჩელსი" მოგდევს. ცხადია, არ უნდა გამოვრიცხოთ ბედის ფაქტორიც და ხალხი ამაზეც იტყვის აუცილებლად, მაგრამ მე მაინც უნდა გავიმეორო: როცა საქმე გვაქვს 38-ტურიან მარათონთან, ასეთ დროს მხოლოდ საუკეთესო იმარჯვებს.

თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ "მანჩესტერსა" და "ჩელსის" შორის დიდი განსხვავება ნამდვილად არ არის. ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობ განსხვავებას ორ საფეხბურთო ფილოსოფიას შორის. "მენიუ" უფრო მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობს, "ჩელსი" კი სულ სხვაა. ის ჯერ აკვირდება ოპონენტს, წყობიდან გამოჰყავს და მერე ურტყამს. ამის საპირისპიროდ, "იუნაიტედი" უფრო სწრაფია, მეტადრე კონტრშეტევის დროს, უფრო რისკიანიცაა და სწორედ აქედან მოდის მისეული თამაშის მიმზიდველობაც. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ "ჩელსი" კარგი გუნდი არ არის, პირიქით, სწორედაც რომ არის.

წლევანდელი პრემიერლიგის შემყურე, საინტერესო იქნება მომავალი სეზონი და ვნახოთ, რომელ გუნდს მისცემენ საბუქმეიქერო კანტორები ფავორიტის სტატუსს. რატომღაც მგონია, რომ ფავორიტი, ისევე, როგორც ამ სეზონის წინ, კვლავ "ჩელსი" იქნება. გასულ ზაფხულს "არისტოკრატებმა" საკმაოდ ბევრი ფული დახარჯეს, მაგრამ ტრავმებმა, დისკვალიფიკაციებმა და ფორმიდან ხშირმა ამოვარდნამ ეს ფული წყალში გადაყარა. რაც შეეხება ტრავმებს, აქ იყო ორი კრიტიკული მომენტი, როცა ჯერ **პეტრ ჩეხი** გამოვიდა მწყობრიდან, მერე კი **ჯონ ტერიც**. და თქვენ შეგიძლიათ, შეაჯამოთ "ჩელსის" შედეგები მათთან ერთად და მათ გარეშე. დარწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი ძალაა ეს ორი ფიგურა **ჟოზე მოურინიოს** გუნდისთვის.

ახლა ძნელია იმის მტკიცება, თითქოს ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე პასიურობით "ჩელსიმ" შეცდომა დაუშვა. თუმცა ერთი რამ კი ფაქტია: მოურინიოს სათადარიგოთა სკამი ძალიან მოკლე, ხოლო სეზონი ძალიან გრძელი და მომქანცველია. შეიძლება, ლონდონელებმა სწორედ აქ ვერ გათვალეს რაღაც...

"მანჩესტერისა" და "ჩელსის" უახლოესი ოპონენტები "ლივერპული" და "არსენალი" არიან. მაგრამ დამაფიქრებელია მეტისმეტად დიდი ჩამორჩენა ამ ორ ჯგუფს შორის. სეზონის დაწყების წინ ვფიქრობდი, რომ "ლივერპულს" ჩემპიონობის მოგების კარგი შანსი ექნებოდა, მაგრამ... მათ ძალიან ცუდი სტარტი ჰქონდათ და სწორედ ამ ეტაპზე დაკარგული ქულების გამო, მოუწევთ ახლა მესამე ან მეოთხე ადგილით დაკმაყოფილება. რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა, თავისთავად, დიდი წარმატება და შვებაა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ აგერ უკვე 17 წელიწადია, "ლივერპულს" მთავარი ინგლისური ჯილდო არ მოუგია. **რაფა ბენიტესი** ხშირად იმეორებს, რომ მომდევნო სეზონში პრიორიტეტი სწორედ ჩემპიონატში გამარჯვება იქნება. ძალიანაც კარგი, მაგრამ მე ვფიქრობ, მას ამისთვის ორი ან სამი 25-30-მილიონგირვანქიანი მოთამაშე დასჭირდება.

...და, რა თქმა უნდა, "არსენალსაც". ნეიტრალურად განწყობილი გულშემატკივრები ამბობენ, რომ საყურებლად, ყველაზე კარგ ფეხბურთს "არსენალი" თამაშობს. გარკვეულწილად, მეც ამ აზრის ვარ. ამ გუნდს მართლაც აქვს თავისი ხიბლი და საფეხბურთო ვნება. არიან გუნდები, რომლებმაც იციან, როგორ უნდა ითამაშონ "არსენალის" წინააღმდეგ, მაგრამ მათი რაოდენობა საკმაოდ ცოტაა. ლონდონელთა კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ ლიდერების წინააღმდეგ უკეთ თამაშობენ, ვიდრე საშუალო რანგის ოპონენტებთან, ან სულაც აუტსაიდერებთან. ამის გამო, მათ წლეულს ბევრი უპატიებელი ქულა დაკარგეს. შეიძლება, აქ დამნაშავე იყოს ფსიქოლოგიური ფაქტორი. და



სერ ალექსი პრემიერლიგის მეცხრე ტიტულს ზეიმობს

თუ "არსენალს" სურს, რომ კვლავ წარმატებების გზას დაადგეს, ეს პრობლემა აუცილებლად უნდა მოაგვაროს, უნდა ისწავლოს, როგორ მიიღოს მაქსიმუმი იქიდან, საიდანაც ეს ნამდვილად შეუძლია. ძალიან კარგი იქნება თავად ჩემპიონატისთვისაც, თუ პირველ-მეორე და მესამე-მეოთხე ადგილებს შორის ქულათა სადღეისო სხვაობა საგრძნობლად შემცირდება და ოთხივე ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს.

ამავდროულად, თვალშისაცემია უფსკრული პირველ ოთხეულსა და დანარჩენ გუნდებს შორისაც. თუკი "ლივერპული" და "არსენალი" ერთი წუთით მაინც დაუშვებენ იმას, რომ "ჩელსისა" და "მანჩესტერთან" მეტოქეობა ძნელია (ან სულაც უაზრობაა), მაშინ რა უნდა ქნან იმ დანარჩენებმა? არადა, ხსენებული ჩამორჩენა სეზონიდან სეზონამდე სულ უფრო იზრდება. ამიტომ, მე ველოდები რომ მომავალი ჩემპიონატის ფინიშის სწორს დღევანდელი ოთხეული უცვლელად გადაკვეთს. შეიძლება, ვცდებოდე კიდეც, მაგრამ მე მგონი, ამგვარი პერსპექტივა პრემიერლიგისთვის ერთობ მიმზიდველია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით...

**ალან ჰანსენი,**
BBC



ფერგის მესამე მანჩესტერული გუნდი

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგის მესამე გუნდის პირველი ტიტული

## ეშმაკებს ჩემპიონობას ფინანსური სანქციით მიულოცავენ?

**სერ ალექს ფერგიუსონს** წარმატებებით ტკბობა არ უყვარს. "ბაიერნთან" 1999 წლის ფინალის ჩანაწერი ერთხელაც არ მინახავსო, ამბობს. შარშან, ნოემბერში, როცა "იუნაიტედში" მოღვაწეობის 20 წელი შეუსრულდა, იუბილის აღნიშვნა არ ისურვა: საქმეში ხელს შემეშლისო. საქმე კი ძალიან მნიშვნელოვანი ჰქონდა: ორწლიანი მცდელობის შემდეგ "ჩელსისთვის" ტიტული უნდა ჩამოერთმია. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ფერგი პენსიაში გავა, წლევანდელ გამარჯვებას მაინც განსაკუთრებული სიამოვნებით გაიხსენებს. მას საამისოდ ორი მიზეზი აქვს.

პირველი: ფერგიმ, როგორც იქნა, აჯობა **ჟოზე მოურინიოს**. მათი მეტოქეობა 2004 წლის გაზაფხულზე დაიწყო. იმ დროს მოურინიო "პორტუს" დამრიგებელი გახლდათ. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში "პორტუ" "მანჩესტერ იუნაიტედს" გადაეყარა. "ოლდ ტრეფორდზე" გამართულ საპასუხო შეხვედრაში პორტუგალიელებმა თამაშის მიწურულს გაათანაბრეს, 1:1. მათ პირველი თამაში მოგებული ჰქონდათ, 2:1. ამიტომ მეოთხედფინალის საგზური მოურინიოს დარჩა. იმ ზაფხულს ჟოზე "ჩელსიში" დაინიშნა და მომდევნო ორ სეზონში კიდევ ორჯერ აჯობა სერ ალექსს - ორჯერვე ოქროს მედლები მოიპოვა.

ფერგის კმაყოფილების მეორე მიზეზი ისაა, რომ 18 თვის წინათ მიმომხილველები მის კარიერას წერტილს უსვამდნენ. ჰქონდათ კიდეც საამისო მიზეზი: "მანჩესტერში" უმწვავესი კრიზისი მძვინვარებდა. გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ჩარჩა. "ეშმაკებმა" პრემიერლიგაში "ჩელსისთან" ვერაფერი გააწყვეს. მთავარი მწვრთნელი "იუნაიტედის" უმთავრეს აქციონერებს სადოლე ცხენის გამო წაეკიდა. მანჩესტერიდან სკანდალურად წავიდა კაპიტანი **როი კინი**. მაგრამ ფერგიმ მღელვარება დააცხრო და წელს მესამე დიდი გუნდი შექმნა. ვგულისხმობთ "ოლდ ტრეფორდზე" ოცი წლის განმავლობაში გაკეთებულ მესამე გუნდს. პირველი **კანტონას** "იუნაიტედი" იყო, რომელმაც 1993 წელს, 26-წლიანი ლოდინის შემდეგ, პირველად მოიპოვა ჩემპიონობა. მეორე დიდ გუნდში ერიკის მომდევნო თაობის ვარსკვლავები თამაშობდნენ. იმ შემადგენლობამ ზენიტს 1999 წელს მიაღწია და სამი ტიტული დაისაკუთრა. და აი, მესამე გუნდიც.

მისი ჩამოყალიბება გასულ ზაფხულს უჩვეულო გადაწყვეტილებით დასრულდა. "რეალში" გაიყიდა საუკეთესო ბომბარდირი **რუუდ ვან ნისტელროი**. ჰოლანდიელის გაშვება, რა თქმა უნდა, სარისკო იყო, მაგრამ ფერგის გოლების ნაკლებობა არ უგრძვნია. "ევერტონთან" მატჩში (4:2) მეოთხე გოლის ავტორი **კრის იგლსი** "იუნაიტედის" მე-20 ფეხბურთელი იყო, რომელმაც ამ სეზონში მეტოქის დამწუხრება მოახერხა. პრემიერლიგის 36 შეხვედრაში "ეშმაკებმა" 83 გოლი მიითვალეს. ახალგაზრდებმა - **კრისტიანო რონალდომ** და **უეინ რუნიმ** მხცოვან **პოლ სქოულზსა** და **რაიან გიგზთან** ერთად გოლების ნამდვილი მანქანა შექმნეს.

სერ ალექსისა და ჟოზეს დუელი მომდევნო სეზონში განახლდება. ვეტერანი მიმომხილველები მოურინიოს აბერდინისდროინდელ ფერგის ადარებენ. 1983 და 1984 წლებში სერ ალექსის "აბერდინმა" შოტლანდიაში გლაზგოური გრანდების ჰეგემონია დაამხო და ზედიზედ ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ფერგის ეჭვიც კი არ ეპარება, რომ მოურინიო გაისადაც "არისტოკრატებში" იმუშავებს.

გუშინ "მენიუს" ბოსმა პრესკონფერენცია გამართა. გთავაზობთ ყველაზე საინტერესო კომენტარებს: *"ეს ტიტული ამ გუნდის საუკეთესო მიღწევაა. მოგეხსენებათ, "იუნაიტედი" ახალი კოლექტივია. მან წლეულს პირველ წარმატებას მიაღწია. ვფიქრობ, გაისად საგრძნობლად მოუმატებს... ზაფხულის ტრანსფერებისთვის სამი ფეხბურთელი შევიგულეთ. დევიდ გილმა (მანჩესტერელთა აღმასრულებელი დირექტორი) იცის, ვიზეც ვსაუბრობ. ვცდილობთ, საქმე შეძლებისდაგვარად ჩუმად მოვაგვაროთ. თუ ვაჭრობა გაჩაღდება, ბევრად მეტის დახარჯვა მოგვიწევს. "ჩელსიმ" მიკაელ ესიენი 27 მილიონ გირვანქად შეიძინა. მას შეუძლია, ამჯერადაც ჩვენზე მეტი გადაიხადოს... დღევანდელი გუნდის შენება 2003 წელს დავიწყეთ. საფუძველი მომზადებული იყო - გიგზი, სქოულზი, ნევილი, სოლსკიაერი და ფერდინანდი. მომდევნო წლებში ჰაინცე, ვიდიჩი, ევრა, ქერიკი, რუნი, რონალდო და პარკი შევიძინეთ. "იუნაიტედს" დიდი ძალა შეემატა... მიმაჩნია, რომ ვიდიჩი სეზონის საუკეთესო ცენტრალური მცველია. მისი და ფერდინანდის დუეტი საუცხოოდ თამაშობს. დაცვის ცენტრში ასეთი ძლიერი ფეხბურთელები პალისტერისა და ბრუსის შემდეგ არ გვყოლია."* კითხვაზე, მოახერხებს თუ არა "იუნაიტედი" პრემიერლიგაში მონოპოლიის დამყარებას 1993-94, 1996-97 და 1999-2001 წლების მსგავსად, სერ ალექსმა მიუგო: *"ძნელი იქნება. ვფიქრობ, "არსენალი", "ლივერპული" და "ჩელსი" საგრძნობლად მოუმატებენ."*

დასასრულს, სკანდალის შესახებ, რომელიც მანჩესტერელთა ჩემპიონობას ემთხვევა. პრემიერლიგა ცდილობს, გაარკვიოს, რატომ გამოტოვა ამერიკელმა მეკარემ **ტიმ ჰოვარდმა** "ევერტონი"-"მანჩესტერ იუნაიტედის" 28 აპრილის მატჩი (ჰოვარდის დუბლიორის **იან ტერნერის** შეცდომების წყალობითაც "მენიუმ" წაგებული თამაში შემოატრიალა, 4:2). ოფიციალური ვერსიით, მიზეზი კლუბების სიტყვიერი შეთანხმება გახლდათ. ამ ვერსიის გამო, პრემიერლიგის წარმომადგენელი გაკვირვებას ვერ მალავს: *"ორივე კლუბისგან ახსნა-განმარტებას მოვითხოვთ. ჰოვარდი "ევერტონის" საკუთრებაა. ამიტომ გაუგებარია, რა მიზეზით შეიძლებოდა არ ეთამაშა "მანჩესტერთან". თუ კონტრაქტში მსგავსი პუნქტი წერია, საქმე გვაქვს ინტერესთა აშკარა კონფლიქტთან."* ათიოდე დღის წინათ ინტერესთა კონფლიქტის გამო "ვესტ ჰემი" 5.5 მილიონ გირვანქით დააჯარიმეს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, სასჯელი "იუნაიტედსა" და "ევერტონსაც" არ ასცდებათ.

ევერტონელებმა თავი იმართლეს. ლივერპულური კლუბის პრესმდივანმა **იან როსმა** თქვა, რომ ეს პუნქტი "იუნაიტედის" დაჟინებული მოთხოვნით ჩაიწერა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუკი ურთიერთშეხვედრისას "მენიუ" საჩემპიონო მარათონში იქნებოდა ჩაბმული, ჰოვარდი არ ითამაშებდა. "ეშმაკები" ამერიკელი მეკარის გაყიდვას მხოლოდ ამ პირობით დათანხმდნენ. ევერტონელებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ "მანჩესტერის" გაჩემპიონების გამო, "ევერტონი" 500 ათას გირვანქას მიითვლის. ეს პუნქტი 2004 წელს, **უეინ რუნის** ტრანსფერისას შედგენილ დოკუმენტში ჩაიწერა.

მანჩესტერ იუნაიტედი

# სტაბილურობა, ნდობა და... ფერგიუსონი

"მანჩესტერ იუნაიტედმა" პრემიერლიგის მარათონის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, და ან უკვე ყოფილ კონკურენტ "ჩელსისთან" გამოტოვებული მატჩის (9 მაისს) მიუხედავად, საჩემპიონო ტიტულის საკითხს წერტილი დაუსვა - მთავარი ინგლისური დივიზიონის მე-16 ტრიუმფი და მონატრებული გამარჯვება ოთხწლიანი პაუზის შემდეგ. რამ განაპირობა "მენიუს" ბრწყინვალე გამარჯვება? კლუბის აღმასრულებელ დირექტორ **დევიდ ჯილს** მიაჩნია, რომ მთავარი ფაქტორი **მალკოლმ გლეიზერი** და მისი ოჯახია. მოგეხსენებათ, ამერიკელმა მილიარდერმა "იუნაიტედის" აქციათა საკონტროლო პაკეტი 2005 წლის ზაფხულში იყიდა. ერთი შეხედვით, ძნელი სათქმელია, ვის რა წვლილი და დამსახურება მიუძღვის "მენიუს" გაჩემპიონებაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტრიუმფის მთავარი მიზეზი სერ **ალექს ფერგიუსონია**. 2005/06 წლების სეზონში "მანჩესტერი" ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა ("ჩელსისთან" ჩამორჩენამ 8 ქულა შეადგინა). ფერგიმ, განსაკუთრებული შენაძენების გარეშე, გუნდის შიგნითვე მონახა რეზერვი პროგრესისთვის, ჩინებულად მოამზადა ბიჭები სეზონისთვის და ჰა, შედეგიც საკადრისი მიიღო. რაც შეეხება გლეიზერების ფაქტორს, საინტერესოა ჯილისეული დასაბუთებაც:

*"მათ დააბანდეს ფული იქ, სადაც ამისთვის ნოყიერი ნიადაგი ნახეს. გლეიზერებმა მოიტანეს სტაბილურობა და ურთიერთნდობა. რა თქმა უნდა, ისინი ახლა კმაყოფილები არიან მიღწევით. რაც მთავარია, მათ უყვართ სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი, იციან, რაც არის საჭირო დიდი გამარჯვებებისთვის".*

ბატონი ჯილი მხოლოდ ამის შემდეგ ხედავს ფერგიუსონის როლს: *"მათ ნდობა გამოუცხადეს სერ ალექსს, რომელიც პენსიაში გასვლას აპირებდა. ფერგი ყოველთვის გამარჯვებულია, ყოველთვის მოტივირებულია. ასეთია მისი მენტალიტეტი და ეს გუნდზე უდიდეს პოზიტიურ გავლენას ახდენს. ის მუდმივად ამტკიცებს, რომ ფეხბურთისთვის, და კერძოდ "მანჩესტერისთვის", კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. ფერგიუსონს ფანტასტიკური ალღო აქვს ტალანტებზე და არასოდეს ერიდება მათ დაწინაურებას. ჩვენ დღეს გვყავს ქერიკი, ვიდიჩი, ფლეტჩერი, კრისტიანო რონალდო, რუნი... დავუმატოთ ამათ სქოულზი, გიგზი, ფერდინანდი... ეს ფერგის გუნდია. 2003 წლიდან მოყოლებული, 10-12 ფეხბურთელი ვიყიდეთ და ვერავინ იტყვის, რომ რომელიმეში შევცდით. ბოლო სამი წლის განმავლობაში გუნდი საგრძნობლად შეიცვალა, გაახალგაზრდავდა, აქედან გამომდინარე, ეს ჩემპიონობა მომავლისთვისაც დიდი საქმეა".*

ჯილს მიაჩნია, რომ "მილანთან" მარცხი პრემიერლიგის მოგებამ გადაფარა: *"რა თქმა უნდა, "სან სიროს" ფიასკო ერთობ გულდასაწყვეტი იყო, მაგრამ ჩვენ ძალიან ბევრი ვიშრომეთ ჩემპიონატის მოსაგებად, და როცა ეს შრომა გიფასდება, უფლება არ გვაქვს, რომ უკმაყოფილონი ვიყოთ. დიახაც, დიდი სეზონი გვქონდა და დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ დიდი გამარჯვებები გველის".*



იუნაიტედის ბოსები, ძმები გლეიზერები

## კარვალიო 20 მილიონად

მადრიდის "რეალმა" ჩელსელი **რიკარდო კარვალიოს** სანაცვლოდ 20 მილიონი გირვანქა გაამზადა. ამ ინფორმაციას ინგლისური სააგენტოები ავრცელებენ. "დეილი სტარში" ვკითხულობთ, რომ "არისტოკრატებს" ცენტრალურ მცველთან ახალი კონტრაქტის გაფორმება სურთ, სამეფო კლუბი კი მისთვის უფრო სარფიან ხელშეკრულებას ამზადებს. კარვალიო ლონდონში 2004 წელს, "პორტუდან" გადავიდა. ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც **ჟოზე მოურინიომ** შეიძინა.

## ელერდაისი როუდერის ნაცვლად?

**გლენ როუდერი** "ნიუკასლის" მწვრთნელი აღარ არის. "ბლექბერნთან" 0:2 წაგება უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა დირექტორთა მოთმინების ფიალაში. 51 წლის სპეციალისტმა გადადგომის შესახებ განცხადება იქამდე გააკეთა, სანამ კარისკენ მიუთითებდნენ. როუდერმა ჯორდებში 15 თვე გაატარა და ამ ხნის განმავლობაში ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. ამ მომენტისათვის ნიუკასლელებს საკუთარ მოედანზე რვასაათიანი უგოლო სერია აქვთ. კლუბს ასეთი სავალალო მაჩვენებელი 1951 წლის შემდეგ არ ჰქონია. სპეკულაციების თანახმად, "ნიუკასლს" "ბოლტონიდან" წასული **სერ ელერდაისი** ჩაიბარებს. ელერდაისს 2004 წელსაც შესთავაზეს "სენტ ჯეიმს პარკზე" მუშაობა, მაგრამ მან თავაზიანი უარი განაცხადა, რის შემდეგაც კლუბში **გრემ საუნესი** მიიწვიეს.

## მიკოლი ვოლფსბურგში?

თითქმის გადაწყვეტილია, რომ სეზონის დასრულების შემდეგ "ვოლფსბურგის" არგენტინელი თავდამსხმელი **დიეგო კლიმოვიჩი** გუნდს დატოვებს და დორტმუნდის "ბორუსიაში" გადაბარგდება. გამოცდილ არგენტინელსა და BVB-ს შორის მოლაპარაკებები ნაყოფიერად მიმდინარეობს და ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ტრანსფერი შედგება. შესაბამისად, "ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა კლიმოვიჩის შემცვლელის ძებნა დაიწყეს და როგორც ჩანს, უკვე მიაგნეს კიდეც. "ვოლფსბურგერ ალგემაინე ცაითუნგის" ცნობით, მგლები "ბენფიკის" იტალიელ ფორვარდ **ფაბრიციო მიკოლის** უმიზნებენ. ამ უკანასკნელს პორტუგალიური გრანდის დატოვება უფასოდ შეუძლია. ხსენებული გაზეთი იტყობინება, რომ გასულ უქმეებზე მიკოლი გერმანიაში იმყოფებოდა და "ვოლფსბურგი"-"დორტმუნდის" (0:2) მატჩს დაესწრო.

## მარადონა შინ გაუშვეს

ორკვირიანი, ინტენსიური მკურნალობის შემდეგ **დიეგო მარადონა** კლინიკიდან გაწერეს. ლეგენდა სახლში გაემგზავრა. ის ექიმების გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იქნება, თუმცა კვირაში სამჯერ გამოკვლევებისათვის საავადმყოფოში მისვლა მოუწევს. მარადონას პირადმა ექიმმა **ალფრედო კაემ** "კლარინს" განუცხადა, რომ დიეგო თავს გაცილებით უკეთ გრძნობს. მკურნალობის მომდევნო ეტაპზე მას შვეიცარიის ერთ-ერთ კურორტზე გაამგზავრებენ.

ჩელსი. დაპირისპირება

# მოურინიო შევჩენკოსა და ბალაკის გაყიდვას ითხოვს

## ანდრეის მილანში, მიხაელს კი ბარსელონაში ელოდებიანო...

"არსენალთან" მატჩამდე ორი დღით ადრე **ჟოზე მოურინიო რომან აბრამოვიჩის** მარჯვენა ხელს **იუჯინ ტენენბაუმს** შეხვდა. საუბარი საზაფხულო ტრანსფერებს შეეხო. "დეილი მეილის" ცნობით, მწვრთნელმა **ანდრეი შევჩენკოსა და მიხაელ ბალაკის** გაყიდვა მოითხოვა. ტენენბაუმმა მისი პოზიცია არ გაიზიარა. ტაბლოიდის მტკიცებით, შეხვედრას უკრაინელი თავდამსხმელიც ესწრებოდა.

მოურინიომ ბალაკზე მას მერე აიცრუა გული, რაც ამ უკანასკნელმა კლუბის დაუკითხავად კოჭის ოპერაცია გაიკეთა. "ლივერპულთან" გადამწყვეტი მატჩის წინ გერმანელმა ნახევარმცველმა ათდღიანი შვებულება აიღო. ტრავმა აღმოჩნდა შევჩენკოსთან დაპირისპირების მიზეზიც. მოურინიოს აზრით, ანდრეის არ ჰქონდა ისეთი საგანგაშო მდგომარეობა, რომ "ენფილდზე" შეცვლაზეც ვერ შესულიყო. მწვრთნელი ვარსკვლავებს უპასუხისმგებლობაში სდებს ბრალს. უკრაინელმა ხუთშაბათსა და პარასკევს სრული დატვირთვით ივარჯიშა, მაგრამ "არსენალთან" მატჩის განაცხადში არ შეუყვანიათ. მოურინიომ მისი შემცვლელი უკვე შეიგულა - "ატლეტიკოს" თავდამსხმელი **ფერნანდო ტორესი**.

"დეილი მეილის" აზრით, შევჩენკოს გაყიდვა შესაძლებელია. "მილანის" პრეზიდენტმა **სილვიო ბერლუსკონიმ** კიდევ ერთხელ საჯაროდ დააფიქსირა, რომ უკრაინელთან თანამშრომლობის განახლება სურს. თუმცა "როსონერი" არ აპირებს იმ 31 მილიონი გირვანქის ანაზღაურებას, რომელიც გასულ ზაფხულს ლონდონურმა გრანდმა გადაიხადა. რაც შეეხება ბალაკს, მას "ჩელსისთან" კონტრაქტში ოთხი წელი აქვს დარჩენილი და ასტრონომიულ ანაზღაურებას, კვირაში 130 ათას გირვანქას იღებს. "ბარსელონა" ლონდონში მიმდინარე მოვლენებს გაფაციცებით ადევნებს თვალს. კატალონიელებს ბალას ხელში ჩაგდება უკვე ორი წელიწადია სურთ, მაგრამ შარშან მათ "ჩელსიმ" დაასწრო. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი არ გაკეთებულა.

აქვე, მოურინიოს კიდევ ერთი კომენტარი, რომელიც მან ორშაბათს, "არსენალთან" თამაშის მეორე დღეს გააკეთა. განცხადება შევჩენკოსა და ბალაკს ეხება, მიუხედავად იმისა, რომ მათი სახელები ერთხელაც კი არ არის ნახსენები: *"ლონდონურ დერბიში იმ ფეხბურთელებმა ითამაშეს, რომლებსაც "ჩელსისთან" ერთად წარმატების მიღწევა სურთ. როცა ვამბობ "ჩელსის", ვგულისხმობ კლუბს, რომელიც მისტერ აბრამოვიჩის საკუთრებაა, აგრეთვე კლუბს, რომლის გასახდელში ყოველთვის განსაკუთრებული ერთსულოვნებაა და კლუბს, რომლის სახეს ადამიანური და პროფესიული ურთიერთობები განსაზღვრავს. თუ "არსენალთან" თამაშს ყურადღებით უყურეთ, მიხვდებით, რატომ აღწევენ ერთნი წარმატებას და რატომ არაფერი გამოსდით სხვებს. ფეხბურთელებს ყველგან იმის მიხედვით აფასებენ, თუ რა სარგებლობა მოუტანეს მათ კლუბს კონკრეტულ სეზონში..."*

მილანური ამბები

# კოსტაკურტა კარლოს თანაშემწედ

## მალდინი ოპერაციას ივნისში გაიკეთებს და კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს...

„მილანი" თავის ვარსკვლავებს მაგნიტივით იზიდავს, ამ კლუბთან განშორება შეუძლებელი ხდება. ამაზე ფაქტები მიუთითებენ. **პაოლო მალდინი** სულ უფრო ახლოსაა კონტრაქტის კიდევ ერთი სეზონით გაგრძელებასთან. მარცხენა მუხლის პრობლემას კაპიტანი ივნისში მოაგვარებს, მას შემდეგ მენისკის ოპერაციას ჩაიტარებს. ამგვარად, გადაწყვეტილია, რომ მალდინი დარჩება და გადაწყვეტილი ჩანს ისიც, რომ კარიერის უკანასკნელ სეზონს ჩაატარებს. მომავალ სეზონში მის მწვრთნელებს შორის **ალესანდრო კოსტაკურტაც** იქნება. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ (მოედანი თუ კაბინეტი?), ბილიმ გადაწყვიტა, რომ დირექტორის პოსტზე უარი თქვას და მოედანთან ახლოს დარჩეს. ასე რომ, ზაფხულიდან კოსტაკურტა **კარლო ანჩელოტის** მეორე თანაშემწე იქნება, **მაურო ტასოტის** შემდეგ. „მილანის" დირექტორთა სტრუქტურაში კი ივლისიდან ხელახლა იქნება **ლეონარდო**, კიდევ ერთი ექსმილანისტა, რომელიც ბოლო დროს სკაუტის როლს ასრულებდა.



კოსტაკურტა ანჩელოტის მარჯვენა ხელი ხდება

შაბათის ვარჯიშზე დაშავებულმა **რონალდომ** კვირას სამედიცინო შემოწმება გაიარა. ექიმების ვარაუდით, ბრაზილიელი მოედანზე დაბრუნებას 27 მაისს შეძლებს, როცა „მილანი" „რეჯინას" ესტუმრება. კვირას "ფიორენტინასთან" (0:0) რონალდოს მაგვირად მისმა თანამემამულე **რიკარდო ოლივეირამ** ითამაშა, მაგრამ ისევ ძალიან სუსტად. არადა, ბრაზილიელს 27-ე დაბადისდღე ჰქონდა და გოლი მართლაც რომ დაამშვენებდა. *„ჩემთვის ეს ბედნიერი წელიწადი არ იყო – თქვა ნამატჩევს ოლივეირამ – იმედი მაქვს, რომ მომავალ სეზონში მეტის გაკეთებას შევძლებ. ასეა თუ ისე, პრეზიდენტ ბერლუსკონისგან კომპლიმენტები მივიღე და ამით უზომოდ ბედნიერი ვარ."*

მე-6 წუთზე არბიტრმა **როსეტიმ კაკას** გოლი გაუუქმა. ამ ეპიზოდს **კაფუმ** შემდეგი კომენტარი გაუკეთა: *„გოლი ასპროცენტიანი იყო, მაგრამ არ ღირს წუწუნი. კარგი შეხვედრა ჩავატარეთ, თუმცა გარკვეული დაღლილობა აშკარად გვეტყობოდა. კარგად ვითამაშეთ და კმაყოფილები ვართ".* კაფუს სიტყვა **კახა კალაძემ** გააგრძელა: *„მეორე ტაიმში მოვუმატეთ, სამწუხაროა, რომ გოლის გატანა ვერ შევძელით. პირადად მე რაც შემეხება, წელს სამი მძიმე ტრავმა გადავიტანე, მაგრამ ახლა თავს კარგად ვგრძნობ."*

ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** სიტუაციას ასე აფასებს: *„მეოთხე ადგილის არითმეტიკულად გასანაღდებლად მხოლოდ ორი ქულა გვაკლია, ამიტომ კმაყოფილები ვართ. ცოტათი განბილებული ვარ იმის გამო, რომ კაკას ასპროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალეს. მადლობას ვუხდი დიდას იმისთვის, რომ რეჟინალდოს დარტყმის შემდეგ გოლის გაშვებისგან გვიხსნა".* გალიანიმ ათენურ ფინალზე (23 მაისს) გამგზავრების ორგანიზაციულ მხარეზეც ისაუბრა: *„ორშაბათიდან აქტიურ მუშაობას ვიწყებთ და უფრო ამომწურავ პასუხებს გავცემთ გულშემატკივარს 17 ათასი ბილეთის შეძენასთან დაკავშირებით. „მილანი" თავის ტიფოზებთან სპეკულირებას არ აპირებს და ბილეთების გაყიდვიდან ერთ ცენტსაც არ მოიგებს. ამიტომ ბილეთებს სააგენტოებში არ დავარიგებთ. უპირატესობას მივანიჭებთ ჩვენს მუდმივ და ერთგულ კლიენტებს და მათ, ვისაც ჩემპიონატის სეზონური აბონემენტები ჰქონდა ნაყიდი."*

გოგა ახალაძე

ვარსკვლავები

# ბექჰემი მაინც გააფრთხილეს

**დევიდ ბექჰემმა** სეზონის მეათე გაფრთხილება მიიღო და ერთი მატჩის გამოტოვება ემუქრება - ცხადია, თუ მადრიდელები ისევ რაღაცას არ ილონებენ და ერთი კვირის წინანდელივით, ამ ყვითელი ბარათის გაუქმებასაც არ მიაღწევენ. ბექჰემი მეათედ ჯერ კიდევ წინა ტურში, "რეალ სოსიედადთან" თამაშისას გააფრთხილეს. სააპელაციო კომისიამ, სამეფო კლუბის დაჟინებული მოთხოვნით, არბიტრის გადაწყვეტილება შეცვალა. ინგლისელი "სევილიასთან" უპრინციპულესი თამაშისას მინდორზე იყო. მაგრამ ისევ სულმა წასძლია, საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე მეტოქის თავდამსხმელ **ერნესტო ჩევანტონს** ფეხი გამოსდო და მორიგ განაჩენს ელოდება. თუ კომისია შეუვალი აღმოჩნდება, გალაქტიკოს "ესპანიოლთან" მომდევნო მატჩი გაუცდება. თუ სტატისტიკას თვალს შევავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ ბექზი პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელია. მან ამ სეზონში მხოლოდ 19 მატჩი ჩაატარა. აქედან შეუცვლელად მხოლოდ ექვს შეხვედრაში ითამაშა (სულ 1081 წუთი). 19 მატჩში 10 ბარათი კი იმას ნიშნავს, რომ დევიდს ყოველ მეორე შეხვედრაში აფრთხილებენ.

2 მაისს დევიდს 32 წელი შეუსრულდა. რამდენიმე კვირის წინ გაუწყეთ, თუ როგორ აღუნიშნა მან **ვიქტორია ბექჰემს** 33-ე დაბადების დღე. და აი, ამჯერად ვიქტორიას ჯერი დადგა. წყვილი ლონდონში გაემგზავრა და ვესტ ენდის ექსკლუზიურ რესტორან "ივიში" 100 ათას გირვანქად ღირებული წვეულება მოაწყო. წვეულებაზე ვიქტორიას ძველი მეგობრები, ჯგუფ "სფაიზ გერლზის" ყოფილი სოლისტები იყვნენ მიწვეულნი. მიმომხილველების მტკიცებით, დროის უმეტესი ნაწილი არა იუბილარს, არამედ "სფაიზ გერლზის" შესაძლოა აღდგენას დაეთმო. ამ პროექტზე მუშაობა ბექჰემების ამერიკაში გამგზავრების შემდეგ იგეგმება. მაგრამ დევიდი უყურადღებოდ მაინც არ დაუტოვებიათ. მზრუნველმა მეუღლემ მას 14 ათასგირვანქიანი მაჯის საათი, 4 500 გირვანქიანი კოსტუმი, 1 900 გირვანქიანი ხელით შეკერილი ფეხსაცმელი და 400 გირვანქიანი პერანგი აჩუქა. განსაკუთრებული საჩუქარი 40 ათას გირვანქად შეძენილი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგის ლიდერი

# კურანის ჩემპიონობა შუბლზე აწერია

## კევინმა თხუთმეტიდან ათი გოლი თავით გაიტანა, ის ბუნდესლიგის საუკეთესო თავბურთელია...



კევინ კურანი

**რა არის "შალკეს" წარმატების საიდუმლო? უდიდესი მოტივაცია? შესაძლოა, თუმცა გელზენკირხენულ კლუბს მონდომება და მოტივაცია არც შარშან აკლდა და არც შარშანწინ. ერთ მუშტად შეკრული გუნდი? არა! ფრანკ როსტის წასვლის შემდეგაც კი, S04 ჯგუფებადაა დაყოფილი და ზოგიერთი ფეხბურთელი ერთმანეთს დღესაც ვერ იტანს. მირკო სლომკა? არ დაიჯეროთ! მიმდინარე სეზონში "შალკეს" არცერთი გამარჯვება არ იყო მწვრთნელის დამსახურება - მირკოს ბევრი დღესაც ვერ აღიქვამს მთავარ მწვრთნელად. მაშ რაღა? ერთ-ერთი ვარიანტი, არც მეტი, არც ნაკლები, კევინ კურანის თავია, უფრო სწორად, შუბლი! 25 წლის ფორვარდის ანგარიშზე 15 გოლია და აქედან 10 მან თავით გაიტანა, უფრო სწორად, შუბლით...**

როცა **კევინ კურანის** თავით გოლი გააქვს, "შალკეს" თითქმის ყოველთვის მოგებული რჩება. რა მოუტანა გელზენკირხენულ კლუბს კურანის 10-მა ზუსტმა თავურმა? 8 მოგება, 1 ფრე და მხოლოდ 1 მარცხი - სულ 25 ქულა (65-იდან). კევინმა თავისი მაგიური შუბლით ამ სეზონში ანგარიში ოთხჯერ გახსნა და საერთოდ, თავით 10 გოლი სხვა არცერთ ფეხბურთელს არ აქვს გატანილი. შესაბამისად, ის, რომ "შალკე" 49 წლიანი შესვენების შემდეგ, ჩემპიონობასთან ძალიან ახლოა, სხვებთან ერთად, პირველ რიგში, სწორედ კურანის დამსახურება გახლავთ. *"ახლა მხოლოდ "ვერცხლის სინზე" ვფიქრობ. ყველაფერი გვერდზე გადავდე - პირადი ცხოვრება, ყველა ჰობი ან ინტერესი. ჩემთვის ახლა მხოლოდ "შალკე" არსებობს. მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ყველა თანაგუნდელი ასევე განვაწყო. უკან არაფერზე დავიხევ, ოღონდ ჩემპიონები გავხდეთ,"* - ამბობს კევინი.

თავით გატანის ოსტატად გერმანიაში დიდი ხანია, **მირო კლოზე** ითვლება, მაგრამ ამ სეზონში კურანიმ ბრემენელი (არა მარტო ამ ასპექტში) აშკარად დაჩაგრა. როგორ მიაღწია ამას? *"დავიწყოთ იმით, რომ ძალიან მაღლა ხტება, თან სიმაღლეც ხელს უწყობს. ამას ისიც ემატება, რომ პოზიციას ყოველთვის შესანიშნავად ირჩევს - იცის, რა დროს და როგორ უნდა ახტეს. კევინი თავით დარტყმებზე რეგულარულად ვარჯიშობს და საჰაერო ორთაბრძოლაში შესვლის ტექნიკას დღითიდღე ხვეწს,"* - ეს **სლომკას** სიტყვებია. ყოველი ვარჯიშის წინ 25 წლის თავდამსხმელი ფეხის კუნთების გამაგრებაზე ვარჯიშობს - ახტომის დროს მთავარი ხომ კუნთმაგარი ფეხებია. ვარჯიშების შემდეგ კი გუნდის კაპიტან **მარსელო ბორდონთან** და ფორვარდ **სიორენ ლარსენთან** ერთად ბაზაზე რჩება. კევინთან ერთად ბორდონსა და ლარსენსაც აქვთ იმის პრეტენზია, რომ თავით გოლები გაიტანონ. შესაბამისად, ვარჯიშების შემდეგ ისინი თავურ დარტყმებში ერთმანეთს ეჯიბრებიან ხოლმე. მოგებულია ის, ვინც პირველი შეძლებს ზედიზედ 10 ჩაწოდების შემდეგ ბურთის კარში გადაგზავნას. *"ბორდონთან პრობლემები მაქვს, უფრო ხშირად მარსელო მამარცხებს ხოლმე. აი, ლარსენს კი ბოლო დროს თითქმის სულ ვამარცხებ და სიორენს ყოველი წაგება 100 ევრო უჯდება,"* - ღიმილით ამბობს კურანი.

სწორედ ასეთი სიბეჯითის გამო გახდა ის "შალკეს" წამყვანი ფიგურა. როგორც გახსოვთ, შარშან მას ძალიან ცუდი სეზონი ჰქონდა, რის გამოც **იურგენ კლინსმანმა** მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დატოვა. ამის გამო კევინმა ისე მოინდომა, რომ დღეს ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** სერიოზული დილემის წინაშე დგას: კლოზე თუ კურანი?

მომავალ შაბათს გელზენკირხენელები დორტმუნდის "ბორუსიას" ესტუმრებიან. შარშან "შალკემ" "ვესტფალენშტადიონზე" 2:1 იმარჯვა და მაშინ ორივე გოლი კურანიმ შეაგდო (ერთი თავით). ამჯერად წარმატების მიღწევა ძალიან ძნელი იქნება, რადგან "დორტმუნდიც" ალესილია, თანაც ხომ იცით, "ბორუსიისა" და "შალკეს" ქომაგებს ერთმანეთი როგორ "უყვართ". თუ "ხუმარები" მოსისხლე მტერს ამჯერადაც დაამარცხებენ და ჩემპიონობას დორტმუნდში გაინაღდებენ, რაც სავსებით რეალურია, **ჯერალდ ასამოას** სახლამდე ფეხით მოუწევს ჩასვლა. როგორც იცით, ჯერალდმა პირობა დადო, თუ ასე მოხდა, 37.5 კილომეტრს ფეხით გავივლიო. *"ოღონდ ჩემპიონობა დორტმუნდში ვიზეიმოთ და მზად ვარ, ფეხით უფრო შორსაც წავიდე. ყოველ შემთხვევაში, დორტმუნდში სპორტული ფეხსაცმელი მიმაქვს,"* - ამბობს ასა.

"ნიურნბერგთან" მოგებული თამაშის შემდეგ კურანის "შპორტ აინსის" კორესპონდენტი გაესაუბა.

**- იყო თუ არა "ნიურნბერგის" კარში გატანილი გოლი ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენს კარიერაში?**

- თუ ჩემს კარიერას გადავხედავთ, ეს მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანი გოლია. წინ კიდევ ორი თამაში გვაქვს და მინდა, რომ იმ შეხვედრებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გოლები გავიტანო.

**- საფინალო სასტვენის შემდეგ აშკარად იგრძნობოდა, რომ მთელმა გელზენკირხენმა შვებით ამოისუნთქა...**

- "ვერცხლის სინი" ძალიან ახლოსაა. კარგია, რომ ლიდერობა შევინარჩუნეთ - ახლა ჩემპიონობას მხოლოდ ორი თამაში გვაშორებს. გზა ურთულესია, რადგან მომდევნო ტურში დორტმუნდში ჩავდივართ, იქ კი, მოგეხსენებათ, მტრულად განწყობილი გუნდი და პუბლიკა დაგვიხვდება. მიუხედავად იმისა, რომ "ბორუსია" უკვე გადარჩა, "შავ-ყვითლები" ყველაფერს ილონებენ, რათა გაგვამწარონ, მაგრამ ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. "ბოხუმში" განცდილმა მარცხმა ის გვასწავლა, რომ 90 წუთის მანძილზე ფხიზლად უნდა ვიყოთ.

**- ეს გოლი თქვენთვის მე-15 იყო. აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც "შალკეში" საუკეთესო ხართ. რა არის ამის მიზეზი?**

- აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში ბოლომდე ვიხარჯები და ყველაფერს ვაკეთებ, რომ "შალკემ" მოიგოს. გაჩემპიონების შანსი ჩემთვის უდიდესი მოტივაციაა. მთელი გუნდი ერთი მიზნისთვის იბრძვის. ამას გულშემატკივრებიც ხედავენ და აფასებენ.

**- იმის ფონზე, რომ "შალკეს" ნახევარსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ "ვერცხლის სინის" დაბრუნება შეუძლია, ძალიან მშვიდად გამოიყურებით, ზედმეტად მშვიდადაც კი...**

- როგორც გითხარით, მხოლოდ "შალკეზე" ვარ კონცენტრირებული. ამასთან, არ მინდა, რომ დავიძაბო, რადგან დიდი შანსია, რომ ეს ხელის შემშლელი ფაქტორი გამოდგეს. ადამიანი რაც უფრო დაძაბულია, მით უფრო ვერ აღწევს წარმატებას. როცა დიდი მიზნისთვის იბრძვი, სიმშვიდე უნდა შეინარჩუნო.

**- "შალკეს" უმთავრესი კონკურენტი "შტუტგარტია" - გუნდი, რომელშიც დიდხანს თამაშობდით და გუნდი, სადაც ფეხი აიდგით. შვაბებთან კონტაქტი გაქვთ?**

- თითქმის არა. ადრე ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს ხშირად ვურეკავდი ხოლმე, ახლა კი მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ამისგან თავი შევიკავო, რადგან ახლა ამის დრო არაა. დღესდღეობით ჩემთვის მხოლოდ "შალკე" არსებობს.

**- "დორტმუნდთან" მატჩი ფანებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ომია. მით უმეტეს, რომ არსებობს შანსი, ჩემპიონობა სწორედ დორტმუნდში გაინაღდოთ. რას ნიშნავს ეს დერბი თქვენთვის, ფეხბურთელებისთვის?**

- ეს ისეთი თამაშია, როცა მოტივაცია თავისით მოდის. ეს არ არის ჩვეულებრივი დერბი და ის, რომ საქმე გერმანიის ჩემპიონობას ეხება, ამ მატჩს კიდევ უფრო ძაბავს და ინტრიგას მატებს. ფეხბურთელისთვის ამაზე მნიშვნელოვანი რაღა უნდა იყოს?

**გოტფრიდ ლენცი**



ემერსონი სევილიასთან მატჩისას

ინტერვიუ ემერსონთან

# დღეს ბარსაზე ძლიერები ვართ

## ბრაზილიელი თვლის, რომ რეალსა და ბარსას გაჩემპიონების თანაბარი შანსები აქვთ...

**ორი თვის უკან მადრიდის „რეალი" ის გუნდი იყო, რომელსაც არ ჰყავდა მწვრთნელი და არ ჰქონდა მომავალი. კაპელოს პროექტის კრახის ერთ-ერთი სიმბოლო, კანავაროსთან, დიარასა და სხვებთან ერთად, ემერსონიც იყო - კუნთმაგარ ბრაზილიელს ყავლი გაუვიდა, მისი კარიერა დალმასვლისკენ მიდისო. იტალიაში „პუმას" მეტსახელით ცნობილი უცბად იმ „კურდღლად" გადაიქცა, რომელსაც, ესპანელების თქმით, „სანტიაგო ბერნაბეუზე" გასვლისაც კი ეშინოდა. დღეს ისევ ის გუნდი ესპანეთის ჩემპიონობისთვის იბრძვის და ემერსონსაც ისევ აფასებენ, როგორც პიროვნებას და როგორც ფეხბურთელს. „გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში ბრაზილიელი ნახევარმცველი მადრიდში გატარებულ პერიოდზე ჰყვება.**

**- რა შეიცვალა ბოლო დროს?**

- მენტალიტეტი და საქმისადმი დამოკიდებულება. მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ, უფრო თავდაჯერებულები ვართ. ადრე ისე ვთამაშობდით, რომ ჩვენი შესაძლებლობების არ გვჯეროდა. ახლა მშვენივრად ვიცით რა გვინდა.

**- ბევრი დაბრკოლება შეგხვდათ.**

- დიახ. ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რამაც ყველა ჩვენგანს შინაგანი სიმშვიდე დააკარგვინა. პირველ რიგში, რონალდოსა და ბექჰემთან დაკავშირებულ სიტუაციებს ვგულისხმობ, მაგრამ სხვა პრობლემებიც იყო, ძალიან მძიმე თვეები გვქონდა. ამასთან შვიდი ახალი ფეხბურთელი მოვედით, გარკვეული დრო გვჭირდებოდა, ამის საშუალება კი აქ არ არის, მადრიდში არავინ გადროვებს.

**- რონალდოს დავუბრუნდეთ. შეუძლებელი იყო, რომ მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო?**

- როგორც მეგობარსა და თანაგუნდელს, მისმა წასვლამ გული ძალიან დამწყვიტა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს ყველასთვის საუკეთესო გამოსავალი იყო. რონალდო ახლა თამაშობს, გოლები გააქვს, აქ კი შეიძლება, შემადგენლობაში ვერ მოხვედრილიყო. ვან ნისტელროი ორჯერ ურტყამს და ხუთი გოლი გააქვს...

**- „რეალში" პრობლემები აქვს თქვენს კიდევ ერთ მეგობარ ანტონიო კასანოს.**

- ანტონიოს მართლაც მძიმე პერიოდი უდგას, მაგრამ უნდა მიხვდეს, რომ საქმისადმი დამოკიდებულება და მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს, და ეს თვითონ უნდა გააკეთოს, მის მაგივრად ამას ვერავინ გააკეთებს. კასანოს დიდი ტალანტი აქვს, მაგრამ ბანალური სიტუაციების გამო იკარგება. თუ არ თამაშობს, ბრაზდება, მერე ორი-სამი დღე კარგად აღარ ვარჯიშობს, იწყებს იმაზე ფიქრს, რომ რაკი არ ითამაშა, ესე იგი ყველა მისი წინააღმდეგია. უნდა გაიგოს, რომ ფეხბურთი ასეთია, რომ გუნდში 25 კაცი ვართ და მოედანზე მხოლოდ 11 გადის. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ყველა მისნაირად რომ ვფიქრობდეთ! ძალიან ადვილია შენი პრობლემების სხვებზე გადაბრალება, მან საკუთარ თავში უნდა ჩაიხედოს და იპოვოს ძალა, რომ დამოკიდებულება შეცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი ჩვეულებრივი ფეხბურთელი გახდება, კასანო კი არ არის ერთი ჩვეულებრივი ფეხბურთელი.

**- ვის გადასცემდით „ოქროს ბურთს"?**

- კაკას. სიტყვებს ვერ ვპოულობ იმის აღსაწერად, რასაც კაკა ბოლო დროს აკეთებს.

**- დაასახელეთ სამი ბრაზილიელი, ვინც ამ მომენტისთვის საუკეთესო ფორმაშია.**

- კაკა, რობინიო და დანიელ ალვეში, „სევილიის" განაპირა მცველი.

**- თქვენმა ყოფილმა თანაგუნდელებმა იბრაჰიმოვიჩმა და ვიეირამ „ინტერში" სკუდეტო მოიგეს.**

- მათი წარმატება მეც მახარებს, მე და პატრიკი ერთმანეთს ტელეფონით ახლაც ვუკავშირდებით ხოლმე. „ინტერმა" ზედამსახურებულად მოიგო. „მილანი" ჩემპიონთა ლიგაში ბრწყინვალეა, „მანჩესტერთან" იდეალურად ითამაშა, დიდი ხანია იტალიური გუნდის ასეთი დიდებული თამაში არ მენახა, მაგრამ „ინტერი", თავისი ფეხბურთელებით, ფორმითა და სანახაობით, სეზონის საუკეთესო გუნდი იყო.

**- და მთელი ეს საუბრები „სუფთა სკუდეტოზე"?**

- ცოტა არ იყოს ზედმეტად ლაპარაკობენ ხოლმე. „იუვენტუსი" დასაჯეს და ქულები დააკლეს, მეტი რაღა უნდათ? და მერე, იმ ორ სკუდეტოს მაინც ჩვენს საკუთრებად ვთვლით, იმიტომ, რომ ჩვენი თამაშითა და შრომით მოვიგეთ. ჩვენ ჩვენს მოვალეობას ვასრულებდით, ისე, რომ არ ვიცოდით, გარეთ რა ხდებოდა. „ინტერს" გასულ სეზონში ორივე შეხვედრა მოვუგეთ და რაღაც არ მახსოვს, რომ თამაშის მერე მსაჯობის გამო რაიმე პოლემიკა ყოფილიყო. ამიტომ ცოტა გავლიზიანდი, როცა ზაფხულში მათ მაისურებზე სკუდეტოს ნიშანი დავინახე.

**- პროცენტულად რამდენია იმის ალბათობა, რომ პრეიმერა დივიზიონი მოიგოთ?**

- „ბარსელონა" ორი ქულით გვისწრებს და ყველა დარჩენილი თამაში თუ მოიგო, ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ. მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამ მომენტისთვის ჩვენ უფრო ძლიერები ვართ და ეს იგრძნობა კიდეც. „ბარსაში" არსებულ ატმოსფეროზე მე ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ რაღაც-რაღაცები ჩანს, იგრძნობა, ისევე როგორც ჩანს, რომ კარგად ვერ თამაშობენ. ანგარიშგასაწევი ძალაა „სევილიაც", რომლისთვისაც ჩემპიონატის ვერმოგება, ჩემი აზრით, ტრაგედია არ იქნება. ვიტყოდი, რომ „ბარსასა" და „რეალის" გამარჯვების შანსები 50/50-ზეა.

**- სად ითამაშებთ მომავალ სეზონში?**

- იანვარში ჩემს თავს ვეუბნებოდი, ასე ვერ წავალ, ასეთ ცუდ სახელს ვერ დავტოვებ-თქო. ამაყი და თავმოყვარე ადამიანი ვარ. დღეს კი ასე ვფიქრობ: „ახლა, როცა ყველაფერი თავის ადგილას დგება, სხვაგან ვერ წავალ". ესეც არ იყოს, „რეალთან" კონტრაქტში კიდევ ორი წელი მაქვს დარჩენილი.

**- შედეგებზე არ იქნება დამოკიდებული?**

- საბოლოოდ კი. დღევანდელ ფეხბურთში ყველაფერი შედეგებზეა დამოკიდებული.

**- და კაპელო რას იზამს?**

- ძნელია, გაიგო, რას ფიქრობს კაპელო. ის ძალიან ჩაკეტილი ადამიანი, თავის გადაწყვეტილებებზე ხმამაღლა არასდროს ლაპარაკობს. თუმცა ერთი რამის თქმა შემიძლია: ამ მომენტში ჩვენი მწვრთნელი მხოლოდ პრიმერა დივიზიონის მოგებაზე ფიქრობს. კაპელოა ის ადამიანი, რომელმაც ამ გუნდში ყველაზე დიდი ტკივილი გადაიტანა, ბევრად უფრო დიდი, ვიდრე მე, ამიტომ გამარჯვება მისთვის დიდი რევანში იქნება. მის თავში ახლა მხოლოდ გამარჯვება ტრიალებს.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები

# ბუ ფინალში შეფრინდა



გიორგი ცინცაძე

გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკმა" ესტონეთის ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. "ტარტუ"-"დალკიას" ნახევარფინალური სერიის საწყისი 2 მატჩის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო - 1:1. მომდევნო შეხვედრებში "როკერებმა" კონცენტრირება მოახერხეს და დაამტკიცეს, რომ "დალკიასთან" ერთი წაგება შემთხვევითობა იყო. ცინცაძის თანაკლუბელებმა მესამე მატჩში შინ 83:55 იმარჯვეს, ხოლო სტუმრად 83:60.

ტარტუში გამართული შეხვედრა გიორგი ცინცაძემ - სასტარტო ხუთეულში დაიწყო ისე, როგორც სჩვევია - 20 წუთში თანაგუნდელებზე მეტი იმუშავა, ვიდრე ინდივიდუალურ სტატისტიკაზე - 3 პასი და 7 ქულა გააკეთა. გიორგი უჩვეულოდ აქტიური იყო ფარქვეშ - 6 საჯარიმო ტყორცნა შეასრულა და მხოლოდ ერთი ააცილა.

სერიის მეოთხე დაპირისპირებაში ბუს ნაცვლად "როკის" ხუთეულში ამერიკელი **დევიდ ბეილი** გამოჩნდა, თუმცა იგი ქართველზე ნაყოფიერი ვერ გამოდგა (4 ქულა) და მოედანზე ცინცაძეზე 5 წუთით ნაკლები გაატარა. გიორგიმ კი 21 წუთში 3-დან 2 ორქულიანი, სამი საჯარიმო გამოიყენა და ამჯერადაც 7 ქულას მოუყარა თავი. გადამწყვეტ შეხვედრაში "ტარტუს" რიგებში საუკეთესო მძიმე ფორვარდი **მარტინ მიურსეპი** იყო, რომელმაც 20 ქულა ჩააგდო.

3:1 - სერია ასეთი ანგარიშით მოიგო "ტარტო როკმა" და მოიპოვა ფინალის საგზური, სადაც მას არანაკლებ ძლიერი "კალევი" ელის. როკერთა მეტოქემ ნახევარფინალში ტარტუს მეორე კლუბი "ფაუსტო" 3:0დაამარცხა.

ესტონეთის ჩემპიონატის ფინალური სერია 16 მაისს დაიწყება.

### სლოვენია

გასულ კვირას "ოლიმპიამ" სლოვენიის პირველობაზე მესამე მატჩი წააგო და წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ფინალურ სერიაში მოედნის უპირატესობას დაემშვიდობა. იკითხავთ, ჯერ ნახევარფინალებიც არ დაწყებულა და ფინალებზე ასე თამამად რატომ საუბრობო? გიპასუხებთ - სლოვენიაში სადღეისოდ სხვებზე ერთი თავით მაღლა მდგომი ორი გუნდია - "ოლიმპია" და "ჰელიოსი". თითქმის გადაწყვეტილია, რომ ფინალური წყვილი სწორედ ასეთი იქნება.

... სხვათა შორის, გუშინ არქივში ერთი ფურცელი აღმოვაჩინე, რომელზეც 2005 წლის სლოვენიის ჩემპიონატის მატჩის ოქმი იყო დაფიქსირებული. ორი წლის წინათ "ოლიმპიამ" "ჰელიოსი" სტუმრად 88:73 დაამარცხა. ვინ იყო ამ მოგების შემოქმედი?- ქართული დუეტი: **ვლადიმერ ბოისამ** 40 წუთში 19 ქულა დააგროვა, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილმა 31 წუთში 26 ქულა. ეს იყო მანუს სლოვენიაში ჩატარებული 2005 წლის საუკეთესო შეხვედრა - 4-დან 4 ორქულიანი და 6-დან 6 სამქულიანი!.

ვნახოთ, შედარებით მოძლიერებულ "ჰელიოსთან" მარტო დარჩენილი მარკოიშვილი რას იზამს.

სლოვენიის ჩემპიონატი. 12 ტურის შემდეგ. 1. ჰელიოსი - 11 მოგება, 2. **ოლიმპია - 9**, 3. სლოვანი - 7, 4. ელექტრა - 7 / 5. ზლატოროგი - 6, 6. კრკა - 3, 7. ლოკა - 3, 8. ალპოსი - 2

### საფრანგეთი

რეგულარული პირველობის ბოლოს **ვახტანგ ნაცვლიშვილი** და მისი "დიჟონი" ფორმის პიკს უახლოვდებიან. დიჟონელები თამაშს თამაშზე იგებენ. 33-ე ტურში მათ "ნანსი" იმსხვერპლეს (88:69) და სატურნირო ცხრილში ორი საფეხურით ზემოთ აინაცვლეს. ვატომ 16 წუთში გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოუტანა - 8 ქულა და 6 მოხსნა ჩაიწერა.

საფრანგეთის ჩემპიონატი. 33-ე ტური. 1. ნანსი - 24 მოგება, 2. როანი - 23, 3. შალონი - 22, 4. სტრასბური - 22, 5. ლე მანი - 20, 6. ვილერბანი - 20, 7. შოლე - 19, 8. დიჟონი - 18 / 9. პო ორტეზი - 17, 10. ორლეანი - 17, 11. გრავლენი - 17, 12. ლე ავრი - 16, 13. კლერმონი - 14, 14. პარიზი - 13, 15. ბეზანსონი - 11, 16. ტულონი -11, 17. ბურჟი - 8, 18. რეიმსი - 5.

### ესპანეთი

ვიქტორ სანიკიძის "ესტუდიანტესმა" და **ნიკა ცქიტიშვილის** "კახა სან ფერნანდომ" ფლეი ოფში მოხვედრის შანსი რეგულარული პირველობის დასრულებამდე 3 ტურით ადრე დაკარგეს. მას შემდეგ მათ ორ-ორი მატჩი უგულოდ ჩაატარეს და ვერც ერთის მოგება ვერ მოახერხეს.

თუმცა ნიკას თამაშს (ვიქტორმა ორი შეხვედრის ჯამში მხოლოდ 3 წუთი ითამაშა) სიტყვა ულიმღამო ნამდვილად არ შეეფერება - ცქიტომ მწვრთნელის ნდობა სევილიაში იპოვა და ახლა სათამაშო პრაქტიკის დაბრუნებას ესწრაფვის. აპრილიდან მას დროც გაეზარდა და თითო მატჩში 20 წუთზე ნაკლებს არ ატარებს. მაგრამ დანანებით უნდა აღვნიშნოთ, რომ "კახა" ესპანეთის ჩემპიონატს სწორედ მაშინ ეთიშება, როცა ცქიტიშვილი ფორმის პიკს აღწევს - რეგულარულის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა.

ესპანეთის ჩემპიონატი. 33-ე ტური. 1. ტაუ - 25, 2. რეალი - 25 მოგება, 3. ბარსელონა - 22, 4. ხუვენტუდი - 22, 5. ხირონა - 20, 6. გრან კანარია - 20, 7. ვალენსია -18, 8. უნიკახა - 17 / 9. **ესტუდიანტესი** - 15, 10. ბილბაო - 15, 11. **კახა** - 14, 12. ფუენლაბრადა -14, 13. გრანადა - 14, 14. ალიკანტე -12, 15. ვალიადოლიდი -12, 16. მურსია - 12, 17. მენორკა - 12, 18. ბრუესა - 8.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (თ.) | 2.05 | დიჟონი-ტულონი 88:69 | 16 | 6 | 1 | 0 | 8 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესპანეთი (ჩ.) | 3.05 | მენორკა-ესტუდიანტესი 81:79 | არ უთამაშია | | | | |
| | ესპანეთი (ჩ.) | 6.05 | გრანადა-ესტუდიანტესი 80:77 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 3.05 | ფუენლაბრადა-კახა 98:75 | 23 | 2 | 0 | 0 | 13 |
| გიორგი ცინცაძე | ესტონეთი (ჩ.) | 5.05 | როკი-დალკია 83:55 | 20 | 0 | 3 | 2 | 7 |
| | ესტონეთი (ჩ.) | 6.05 | დალკია-როკი 60:83 | 21 | 3 | 4 | 2 | 7 |
| მანუ მარკოიშვილი | სლოვენია (ჩ.) | 2.05 | ზლატოროგი-ოლიმპია 90:88 | 38 | 6 | 0 | 0 | 13 |
| | სლოვენია (ჩ.) | 5.05 | ოლიმპია-კრკა 89:68 | 26 | 1 | 3 | 3 | 6 |
| სერგო ათუაშვილი | ლიტვა (ჩ.) | 5.05 | ნეპტუნასი-შიაულიაი 73:76 | არ უთამაშია | | | | |

## ხელბურთი



საქართველოს ჩემპიონატი

# სიჩუმე გასროლის წინ

## დღეს ფინალის პირველი მატჩია

საქართველოს ჩემპიონატში ოთხი დღის წინათ დასრულდა რეგულარული ჩემპიონატი. ახლა ჩვენს პირველობაზე დროებით სიჩუმე სუფევს, მაგრამ მოსალოდნელი აფეთქების წინ, ეს სიჩუმე მხოლოდ მოჩვენებითია.

პირველი "გასროლა" დღეს მოხდება, სტუ-ს დარბაზში, სადაც ორრაუნდიანი საჩემპიონო ფლეი ოფის პირველი მატჩი გაიმართება.

წესით, დღევანდელი მატჩი თელავში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ სტუ-"თელავის" თხოვნით, იგი თბილისში გადმოიტანეს. რაკილა ამაზე არც რეგულარული ჩემპიონატის მომგები "თბილისი" იყო უარს, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ სტუ-"თელავის" თხოვნა დააკმაყოფილა.

ფინალური სერიის უდიდეს მნიშვნელობაზე ალბათ საუბარიც ზედმეტია. 16-წლიანი ბატონობის შემდეგ, წლეულს სტუ-"თელავად" გადანათლულ სტუ-"შევარდენს" რეალურად ემუქრება ტიტულის დაკარგვის საფრთხე. თავის მხრივ, მუდამ ჩემპიონობისთვის მებრძოლი "თბილისი" ასე ახლოს არასოდეს ყოფილა ოქროსთან. ფინალებს ინტრიგას მატებს ისიც, რომ ორივე გუნდს თითქმის თანაბარი ძალის შემადგენლობა ჰყავს და გამარჯვებულის გამოცნობა საკმაოდ რთულია. სწორად შერჩეული ტაქტიკის გარდა, დიდ როლს ითამაშებს ხელბურთელთა ფსიქოლოგიური მზადყოფნაც.

ახლა კი, ფინალის მონაწილე კლუბების მთავარ მწვრთნელებს მოვუსმინოთ.

**მამუკა მჟავანაძე**
თბილისი

- თავდაპირველად, ფინალების ჩატარება თვის ბოლოს იგეგმებოდა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ სტუ-"თელავის" რამდენიმე ხელბურთელს სავალდებულოს სამხედრო სამსახურში გაწვევა უწევდა და ამიტომაც, ვადებმა წინ გადმოიწია. არადა, ანალოგიური პრობლემის წინაშე ჩვენც დავდექით, მაგრამ საკითხი საკმაოდ იოლად გადავჭერით. სამხედრო კომისარიატში ცნობა წარვადგინეთ და ბიჭებს ფინალების დამთავრებამდე გავუკეთეთ გადავადება.

მდგომარეობას გვირთულებს ტრავმიანობა. იძულებულები ვართ, ფინალურ სერიაში ვათამაშოთ დაშავებულები – ლაშა სამარლანიშვილი და შოთა გრიშიკაშვილი, რომლებიც ოპტიმალური ფორმისგან შორს არიან. ტრავმა აქვს მეკარე კორნელი ანდრიაძესაც.

**- რეგულარული პირველობის ბოლოსწინა ტურში, აზერბაიჯანელი ლეგიონერი დაიმატეთ. კმაყოფილი ხართ მისი თამაშით?**

- ელდარ ფარაჯევმა სტუ-სთან პირველი ტაიმი მშვენივრად ჩაატარა და მეორეშიც არა უშავდა, მაგრამ მეტი შეუძლია. უბრალოდ, მან წლეულს საკმაოდ ბევრი მატჩი ჩაატარა და ცოტა გადაღლილია. ფარაჯევი 4-5 წელიწადია, რაც წამოსულია აზერბაიჯანიდან, ჯერ მაკედონიაში თამაშობდა, მერე კი ირანში. ბოლოს უკლუბოდ იყო და ჩვენი წინადადება მიიღო. ფინალებში აუცილებლად დაგვეხმარება, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ შემდეგ სეზონშიც დავიტოვოთ.

**- ფინალისთვის კიდევ ხომ არ აპირებთ ახალი მოთამაშის დამატებას?**

- გეგმები გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაფერია.

**- პირველი მატჩის თბილისში გადმოტანა რამდენად მისაღებია?**

- თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს, თელავში მოვიგეთ, ალბათ მაინც კახეთში ვამჯობინებდი თამაშს. თუმცა, როდესაც ჩემპიონობაზე გვაქვს პრეტენზია, დარბაზზე ყურადღების გამახვილება არ ღირს.

**- იყო ლაპარაკი, რომ გადამწყვეტი მატჩებისთვის უცხოელი არბიტრები ჩამოგვეყვანა...**

- არც ამაზე გვაქვს პრეტენზია, ოღონდ უცხოელი მსაჯებისთვის "თბილისი" ფულს არ გადაიხდის. თუკი მეტოქე ან ჩვენი ხელბურთის ასოციაცია გაიღებს ხარჯებს, კი ბატონო, ჩამოიყვანონ.

**- დაბოლოს, შანსებს როგორ შეაფასებთ?**

- "თბილისი" ასე ახლოს პირველადაა ჩემპიონობასთან და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შანსი გამოვიყენოთ. თუმცა, საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვყავს და შანსებს თანაბრად გავანაწილებდი.

**ირაკლი კეკელიძე**
სტუ/თელავი

- ფინალური სერიის პირველი შეხვედრა თბილისში იმიტომ გადმოვიტანეთ, რომ ზედმეტი ხარჯი და გადაღლა აგვეცილებინა, რაც მეტოქისთვისაც მისაღები აღმოჩნდა.

**- როგორი განწყობით ხვდებით ფინალებს?**

- როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობთ და ამისთვის მზად ვართ. საბედნიეროდ, ტრავმები თითქმის არ გვაწუხებს. ერთადერთი, რატი მსხვილიძეს აქვს ნიკაპი გახეთქილი, მაგრამ თამაშს შეძლებს.

**- ფინალისთვის საქართველოს ნაკრების ძირითად მეკარის, შოთა თევზაძის დამატებას აპირებდით...**

- სამწუხაროდ, შოთა თურქეთიდან ჩამოსვლას ვერ ასწრებს. ყველაზე კარგ შემთხვევაში, იგი მეორე მატჩში თუ დაგვეხმარება...

**- შანსებზე რას იტყვით?**

- შანსებს 50-50-ზე ვაფასებ.

**მაშ ასე, დღეს, 14 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში, ფინალური სერიის პირველი მატჩია. საპასუხო და გადამწყვეტი შეხვედრა კი 19 მაისს გაიმართება ასკ-ის დარბაზში. ფინალებს შორის შუალედში, 16-18 მაისს შედგება სერია მესამე ადგილისთვის "იმედსა" და "ქარიშხალას" შორის.**

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობა



რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი
**გურამ სალარაძე**

# ფალავნები ქვემო ქართლიდან

ქვემოქართლელ მოჭიდავეებზე თხრობით ვასრულებ რუბრიკას - "მემკვიდრეობა". აქვე, მსურს, გამოვხატო დიდი მადლიერება "ლელოს" რედაქციის მიმართ, რომელმაც საშუალება მომცა, ახალგაზრდა თაობისთვის გამეცნო ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის საჭიდაო ტრადიციები და ფალავნები. გადამეტებული სულაც არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ სწორედ ჭიდაობამ და მისმა ფუძემყარმა მემკვიდრეობამ შეასრულა უდიდესი როლი საერთოდ ქართული სპორტის ფენომენის ჩამოყალიბებაში. არც ისაა გასაკვირი, რომ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, ძირითადად ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, ქართულ სპორტს ყველაზე მეტი ჯილდო სწორედ ჩვენმა ფალავნებმა მოუტანეს.

ცალკეული კუთხის მოჭიდავეთა წარდგენამდე, თავს უფლებას ვაძლევდი, მცირე ისტორიული ექსკურსით მეჩვენებინა, თუ საიდან მოვდივართ და ვისი "გორისანი ვართ". მეჩვენებინა, რომ ჭიდაობა ჩვენი ყოფის, კულტურისა და საერთოდ, ჩვენი ეროვნულობის განუყოფელი ნაწილია.

ამ პრინციპს გვერდს ვერც ახლა ავუვლი. ერთად გავიხსენოთ ქვემო ქართლის ისტორიული პიროვნებები - წმინდა ნინოს თანამედროვე და მისი ცხოვრების ერთ-ერთი მემატიანე სალომე უჯარმელი, იაკობ ცურტაველი (ხუცესი), თევდორე მღვდელი, შემდგომი პერიოდის გამოჩენილი ადამიანები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

**მოჭიდავეებზე ვწერ და არ იქნება, თხრობა ლეგენდარული ანა-ბაჯით არ დავიწყო. ერთი ლეგენდის მიხედვით, გმირ ქალს, სოფელ მუხათში, კვირაცხოვლობაზე ზედიზედ დაუმარცხებია თორმეტი ფალავანი. ანაბაჯი თათრებს შეურქმევიათ (დაო ანა). ის ბრძოლებშიც ვაჟკაცების მხარდამხარ უტევდა მომხვდურთ. ანა-ბაჯს ლექსები უძღვნეს საიათნოვამ და იეთიმ გურჯმა...**

...ქვემო ქართლი ქართული საჭიდაო სკოლის წყალუხვი შენაკადია. ჭიდაობის ყველა სახეობაში ასახელეს სამშობლო აქაურმა ფალავნებმა, ზოგიერთი მათგანი უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. ჭიდაობის რეგიონული ფედერაცია და რუსთავის მოჭიდავეთა კავშირი "ერთობა" არ ივიწყებს მათ ღვაწლს და ხსოვნის ტურნირებს ატარებს.

რეგიონული ფედერაცია 2000 წელს ჩამოყალიბდა და მას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდებს შორის სსრკ სამგზის ჩემპიონი, ღირსების მედლის კავალერი **კობა ლოჩოშვილი**, ვიცე-პრეზიდენტია საქართველოს ყოფილი ჩემპიონი **გელა ბურნაძე**, გენერალური მდივანი - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენოსანი **პეტრე ჯიოშვილი**.

რაც შეეხება "ერთობას" (თავმჯდომარე **ოთარ გოჩიტაშვილი**), ეს არის ქართული სპორტის ჭეშმარიტ პატრიოტთა საკრებულო, რომელიც ყველაფერს აკეთებს ჭიდაობის განვითარებისა და ამ სამყაროს ამაგდარი ადამიანების ღვაწლის დასაფასებლად. კავშირის ქველმოქმედ მეგობრებს შორის არიან ოლიმპიური ჩემპიონები - **დავით გობეჯიშვილი** და **ლერი ხაბელოვი**, ცნობილი ვეტერანი ფალავნები - **თემურ ყაზარაშვილი, კობა ლოჩოშვილი, მამუკა რაზმაძე**... თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ამ ჯგუფში მეც ვირიცხები. "ერთობის" დამსახურებაა, რომ ყოველწლიურად რუსთავში ტარდება თ. ყაზარაშვილის სახელობის ტურნირი. ქვემოქართლელებს საქმიან დახმარებას უწევენ რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული **ზურაბ მელიქიშვილი**, რუსთავის მერი **დავით ნადაშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა ჩიქოვანი**, პარლამენტარი **თამაზ გველუკაშვილი** და, რა თქმა უნდა, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გეწაძე**.



ქვემოქართლელი ფალავნები გურამ გედეხაური და ალექსი დოხტურიშვილი ლევან თედიაშვილთან ერთად

რუსთავში ჭიდაობის მამამთავრად შეიძლება ჩაითვალოს აწ განსვენებული **გიორგი აბუაშვილი**, რომელმაც, 1950 წლიდან მოყოლებული, ქვეყანას მაღალი კლასის მრავალი ოსტატი აღუზარდა, მათ შორის - **როინ გოგონაძე, კარლო აბულაძე, ალექსი მენაბდიშვილი, პეტრე** და **თენგიზ ჯიოშვილები, იური ბეყოშვილი, კაკო სპანდერაშვილი, გურამ ჩაქიაშვილი, გივი ჭაგიაშვილი, ვასო ლაფაჩიშვილი, მურმან თავაძე, იური ცარიტოვი, ჯუდუ პაპუაშვილი, რეზო ყანჩაშვილი, ოთარ ჩახუნაშვილი, ალექსი გოგოლაური, ზაურ ქაძანაია, გურამ ყიფიანი, ელდარ დუიშვილი, სოგრატ ქოქოევი, ამირან სანაკოევი, ჯემალ ხუციშვილი** და მრავალი სხვა.

1964 წელს, ქუთაისიდან რუსთავში გადადის და თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუდოში ფალავანთა თაობებს ზრდის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, აწ განსვენებული **დავით ჩაჩანიძე**. დიდ სარბიელზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მისმა შეგირდებმა - **მალხაზ** და **თენგიზ მერმანიშვილებმა, გიორგი ნავაძემ, სოსო ბერიძემ, ომარ მაისურაძემ, რომან ალთუნიშვილმა, თემურ** და **ბესიკ პაპუნაშვილებმა, ბორის ჭანტურიამ, თენგიზ კაციტაძემ, ალიკო გვარიძემ, თამაზ ნოზაძემ, მურად მწარიაშვილმა, იური იმერლიშვილმა, გია მუმლაძემ**.

ჯერ როგორც მოჭიდავეებმა, ხოლო შემდეგ, როგორც მწვრთნელებმა, ქვემო ქართლში ჭიდაობის სახეობების განვითარებაში თავის წვლილი შეიტანეს **ვალიკო კურტანიძემ**, მერე რუსეთში მოღვაწე **დიმიტრი მინდიაშვილმა**, გიორგი აბუაშვილის აღზრდილმა **პეტრე ჯიოშვილმა**. ამ უკანასკნელმა დიდ სპორტულ სარბიელზე გაიყვანა: **ბაჩანა კარანაძე** (მსოფლიო პრიზიორი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში), **ზურაბ ლოლაშვილი** (მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში), **კობა ლოჩოშვილი** (საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი), **მერაბ მერაბიშვილი** (მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისა და "დინამოს" საკავშირო ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი); პროფკავშირების საკავშირო პირველობების ჩემპიონები და პრიზიორები: **სოსო მინდიაშვილი, გაიოზ მაჭარაშვილი, არამ ზურნაჩიანი, ბორის ჯიბლაშვილი, მამუკა მაისურაძე, სოსო სიჭინავა, გია თიბილოვი, გია ფანცულაია, მალხაზ ეგაძე, დავით ბადალაშვილი, მერაბ მუზიაშვილი, ტარიელ დიასამიძე, ტარიელ ხაბლიევი, ავთო ჩანადირი, გელა ბიჩინაშვილი, ავთანდილ სალიაშვილი, მამუკა კობალაძე, გივი** და **ვალოდია ლოლაშვილები, დათო გაგნიძე, ბადრი სოხაძე, ზაზა ჯელაძე, თემურ ხაჩიშვილი, ჯემალ ჩახუნაშვილი, იაგო ბადაგაძე, ჯამბულ ბენაშვილი, ბადრი ბეკოშვილი, ვანო იაგანაშვილი, კახა ხმალაძე, გელა ბურნაძე, ბადრი სამხარაძე, კობა ხადური, რეზო მაღრაძე, ბადრი ბებია, გიგა ნაგლაძე, თორნიკე ჭკუასელი** და სხვები.

ასევე ნაყოფიერ შრომას ეწევა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ომარ მაისურაძე**. მას ბერძნულ-რომაულსა და თავისუფალ ჭიდაობაში აღზრდილი ჰყავს საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები. სხვადასხვა დროს, მის აღზრდილთაგან თავი გამოიჩინეს **გელა ქარქუსაშვილმა, ზურაბ ზავრაშვილმა, ზაზა ხუციშვილმა, ლევან ცაბაძემ, მიხეილ ზავრაშვილმა, სოსო სარაულმა, გივი მაისურაძემ, დავით ურიდიამ, დავით ბალხამიშვილმა, გიორგი ჭუმბაშვილმა, მალხაზ გოგოლაძემ, მალხაზ სუხიაშვილმა, დავით ცერცვაძემ, გივი ლომიძემ, ზაზა ქარქუსაშვილმა, კობა ხმალაძემ, ჯემალ იასაშვილმა, რომან მანაგაძემ, ზურაბ დევდარიანმა, ილია ლომსაძემ, ალექსანდრე ბერდილაძემ, ლევან მუზაშვილმა, დავით მალხაზიშვილმა, ხვიჩა კაკალაშვილმა, სანდრო ფიცხელაურმა, ბექა სარაულმა, ვასო იმერლიშვილმა, თამაზ თაბორიძემ, დავით კუჭაშვილმა, ზურაბ გაბრიჭიძემ, შალვა დათუნაშვილმა, თემურ პაპოშვილმა** და სხვებმა.

დიახაც, საქართველოს საამაყოდ ჰყავს დამსახურებული მწვრთნელი **ომარ გუგეშაშვილი**, რომელმაც აღზარდა მსოფლიო ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, **თემურ ყაზარაშვილი**. მისივე დაოსტატებულია მსოფლიოს მესამე პრიზიორი **მერაბ ნოზაძე**; თავის დროზე, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორები გახდნენ **თემურ ნინიკური, გელა შველიძე, გენადი ხულია, გიგლა ხარაიშვილი, ნუგზარ მამაიაშვილი** და სხვები. აღსანიშნავია საქართველოს ფალავნობის მრავალგზის მონაწილის, სპორტის ოსტატ **კაკო სპანდერაშვილის** დაუღალავი გარჯაც. მან აღზარდა საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები თავისუფალსა და ქართულ ჭიდაობაში: **გივი ლობჟანიძე, გიორგი ორველაშვილი, გოდერძი მესხი, მამუკა ჩიხრაძე, თემურ ლობჟანიძე**, ზაალ ნოზაძე, თემურ კობახიძე, დათო ჩივაძე და სხვები.

ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი **სოსო მინდიაშვილი**, რომელიც ამჟამად ვიეტნამში მოღვაწეობს. პეტრე ჯიოშვილთან ტანდემში, ის არ ზოგავდა ძალ-ღონეს, ჭიდაობის საიდუმლოებებისთვის ეზიარებინა ახალგაზრდა თაობები. ტრადიციებს აგრძელებენ ახალგაზრდა მწვრთნელები თავისუფალ ჭიდაობაში - **მერაბ მერაბიშვილი, რეზო მაღრაძე**; ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში - **დავით ურიდია, ჯემალ იასაშვილი, ვანო ნონოლაშვილი, ნოდარ ყანჩაშვილი, გელა ფალიაშვილი**.

ბოლნისელი მოჭიდავეები, შრომისმოყვარე პედაგოგის **კაკო ქუქჩიშვილის** ხელმძღვანელობით, წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს პირველობებსა და საერთაშორისო ტურნირებში. მათგან გამოირჩეოდნენ **ავთო ბჟალავა** და **ვანო მაისურაძე**. 2006 წელს, ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე გვასახელა **მალხაზ ქურდიანმა**, რომელიც უძლიერესის ტიტულს დაეუფლა.

გარდაბნელი მწვრთნელები - **ოქრო ჯოხაძე, ნავროზ აბდულაევი**, ასევე მარნეულელი **ფიზულ მუსაკულოვი**, თავდადებით მუშაობენ მოზარდებთან და ახალგაზრდებთან.

საინტერესოა, ქვემო ქართლის სოფლების მოჭიდავეთა დიდი წარმატებები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, ასევე საერთაშორისო ტურნირებში. სართიჭალის (გარდაბნის რაიონი) სპორტსკოლიდან, რომლის დირექტორი გახლავთ წარსულში ცნობილი მძლეოსანი **როინ ბერაძე**, ქვეყანა ასახელა **გურამ გედეხაურმა**, რომელიც 1987 წელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მომდევნო წელს კი მსოფლიო თასსაც დაეუფლა. თბილისში მისი მწვრთნელი იყო დამსახურებული სპეციალისტი **ჯონი რეხვიაშვილი**. სართიჭალელია **ალექსანდრე დოხტურიშვილი** - 1999 წელს ევროპისა და მსოფლიო პირველობების მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი 2001 წელს. 2003 წლიდან იცავს უზბეკეთის სახელს. 2004 წელს მოიპოვა ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული (მწვრთნელი ჯონი რეხვიაშვილი). სართიჭალიდან გავიდა დიდ ასპარეზზე **ხვიჩა ბიჩინაშვილი** - 1993 წელს მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში, ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, სიდნეის ოლიმპიადის მონაწილე. **ვაჟა იორამაშვილმა** ბერძნულ-რომაული ჭიდაობით დაიწყო, მერე აშშ-ში წავიდა, პროფილი შეიცვალა და 2003 წელს 37 შტატის ჩემპიონი გახდა "წესების გარეშე ბრძოლაში". 2004 წელს კი აშშ-ის ეგრეთწოდებულ "სამეფო ქამარს" დაეუფლა.

გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის მოჭიდავეები მუდამ ცნობილნი იყვნენ გამორჩეული მანერითა და ტექნიკით, ფლობდნენ ქართული ჭიდაობის მრავალფეროვან ილეთებს. მათი ლიდერი იყო მძიმეწონოსანი ფალავანი, სსრკ-ს მრავალგზის ჩემპიონი სამბოში და პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, **ოთარ შინჯიკაშვილი**. ამ ისტორიულ სოფელში ნაყოფიერად შრომობს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **გოდერძი ჯოხაძე**. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მისი შეგირდებიდან გამორჩეულები არიან: **ზაურ ივანიშვილი** - ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო სამგზის ჩემპიონი ახალგაზრდებში, მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი, საერთაშორისო კლასის ოსტატი; **კობა გულიაშვილი** - ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილე; **ტარიელ მელელაშვილი** - მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში, ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილე; **ივანე ჩუბინიძე** - მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის; **აკაკი ჯოხაძე** - ევროპის მესამე პრიზიორი და კადეტთა შორის ჩემპიონი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი; **გიორგი ფრენუაშვილი** - ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მესამე პრიზიორი; **დავით გეგენაშვილი** - ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მეორე პრიზიორი; **მამუკა გიგაური** - სსრკ თასის მფლობელი; **შმაგი სახლთხუციშვილი** - მოსკოვის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი; **ლაშა გეგენაშვილი** - საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში; **არსენ კახაბრიშვილი** - საქართველოს ჩემპიონი კადეტებში; **უჩა კერენაშვილი** - საქართველოს ჩემპიონი; **უჩა ჩიტიაშვილი** - საქართველოს ჩემპიონი კადეტებში; **აკაკი ძამაშვილი** - საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში.

სოფელ გამარჯვებაში (გარდაბნის რაიონი) წარმატებით შრომობს გამოცდილი აღმზრდელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში - **ნუგზარ გაჩეჩილაძე**, რომელსაც მრავალი სახელოვანი მოჭიდავე ჰყავს აღზრდილი. მასთან აიდგა ფეხი საქვეყნოდ აღიარებულმა მოჭიდავე **ლერი ხაბელოვმა**. მწვრთნელის ორიგინალური ხელწერა ატყვია **მალხაზ მერმანიშვილის, ილია ლეგაშვილის, ნუგზარ ბუთხუზის, ვაჟა იმერლიშვილის, გივი კალატოზიშვილის, გივი ქენქაძის, მერაბ კულუმბეგოვისა** და სხვათა ჭიდაობის მანერას, მიზანსწრაფულობასა და გამარჯვების წყურვილს. ის დღესაც წარმატებით განაგრძობს ნაყოფიერ მოღვაწეობას ხსენებულ სოფელში. ამ სოფლის დარბაზში აღიზარდნენ საქართველოს ორგზის ჩემპიონი, ევროპის მესამე პრიზიორი, თურქეთის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული **თორნიკე ხიდეშელი**, საქართველოს ჩემპიონები ჭაბუკებში: **ხვიჩა ჭინჭარაული, გაგა ჭანტურიძე, დავით ნიკლაური**, ძმები - **გია** და **გაგა შეტეკაურები** და სხვები.

სოფელ ნორიოში (გარდაბნის რაიონი) წარმატებით საქმიანობს ახალგაზრდა მწვრთნელი **იმედა ფრენუაშვილი**. დღეს მისი შეგირდები არიან პერსპექტიული, ახალგაზრდა მოჭიდავეები, საქართველოს ჩემპიონები, სხვადასხვა ტურნირებში გამარჯვებულები: **ნიკა მამადაშვილი, თორნიკე თურქიშვილი, დათო ტაკაშვილი, თორნიკე ტოტიკაშვილი** და სხვები.

ყველას გვწამს და გვჯერა, რომ ქვემო ქართლი კვლავაც ღირსეულ წვლილს შეიტანს ქართული საფალავნო სკოლის წინსვლასა და გამარჯვებაში.

საქართველოს

GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი



ტულონი-პო. მარჯვნივ - მერაბ კვირიკაშვილი

საფრანგეთი. I ტური. XXIV დივიზიონი. პერპინიანი-აჟენი 31:18, ბიარიცი-სტად ფრანსე 22:13, ბურგუენი-ნარბონი 44:11, ალბი-კასტრი 19:12, მონტობანი-მონპელიე 13:12, ტულუზი-ბაიონი 47:28, ბრივი-კლერმონი 28:22.

1.სტად ფრანსე-79 ქულა, 2.ტულუზი-77, 3.კლერმონი-75, 4.ბიარიცი-70 / 5.პერპინიანი-70, 6.ბურგუენი-56, 7.მონტობანი-53, 8.კასტრი-45, 9.ალბი-45, 10.აჟენი-44, 11.ბრივი-44, 12.ბაიონი-43 / 13.მონპელიე-42, 14.ნარბონი-39.

**მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშების ბოლოსწინა ტური გაიმართა. ქართველ მორაგბეთა გუნდებმა "ბეზიემ" და "ტულონმა" ფლეი ოფში მოხვედრა გაინაღდეს და პირველი დივიზიონის მეორე საგზურისთვის იბრძოლებენ.**

ბოლოსწინა, 29-ე ტურში **გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონმა" საკუთარ მოედანზე **მერაბ კვირიკაშვილის** "პო"მიიღო და 40:29 დაამარცხა. ლაბაძე 61-ე წუთზე შეცვალეს, კვირიკაშვილი კი 50-ზე. კუთარაშვილს არ უთამაშია.

შინ გაიმარჯვა **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიემაც". ლანგედოკელებმა დივიზიონიდან უკვე გავარდნილი "კოლომიე" დაამარცხეს 30:11. მაჩხანელს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

მარცხი განიცადა უკვე პირველდივიზიონელმა, **ილია ზედგინიძის** "ოშმა". გასკონელებმა სტუმრად წააგეს "ბორდოსთან" 12:18. ზედგინიძე ტრავმირებულია.

საკუთარ მოედანზე დამარცხდა "დაქსთან" **დავით აშვეთიასა** და **მამუკა მაგრაქველიძის** "მეტრო რასინგი" 18:28. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 54-ე წუთზე შეცვალეს, მაგრაქველიძე განაცხადში არ ყოფილა. სტუმრად წააგო "ოიონაქსთან" **ლევან ღვაბერიძის** "გრენობლმა" 13:20. ალპელების რიგებში ღვაბერიძეს ისევ არ უთამაშია.

II დივიზიონი. XXIX ტური. ტულონი-პო 40:29, მონ დე მარსანი-ლა როშელი 37:17, ბეზიე-კოლომიე 30:11, მეტრო რასინგი-დაქსი 18:28, ტარბი-გაიაკი 19:8, ლიმოჟი-ლიონი 21:20, ოიონაქსი-გრენობლი 20:13, ბორდო-ოში 18:12.

1.ოში-105 ქულა / 2.დაქსი-93, 3.ლა როშელი-88, 4.ბეზიე-83, 5.ტულონი-83 / 6.ლიონი-74, 7.ოიონაქსი-70, 8.პო-63, 9.გაიაკი-60, 10.მონ დე მარსანი-60, 11.მეტრო რასინგი-58, 12.ბორდო-58, 13.გრენობლი-55, 14.ტარბი-52 / 15.ლიმოჟი-49, 16.კოლომიე-40

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები

# ფლეი ოფის დრო დგება

**საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურით ადრე ვითარება უკიდურესად დაიძაბა. დავით ზირაქაშვილისა და გოდერძი შველიძის "კლერმონი" 24-ე ტურში დამარცხდა და მდევრებს საშუალება მისცა, საგრძნობლად წამოსწეოდნენ, "ტულუზი" კი სულაც შან გაუშვა. "პერპინიანი" და "ბიარიცი" მესამე ადგილზე მყოფ ქართველების გუნდს 5-5 ქულით ჩამორჩებიან. ფლეი ოფში 4 გუნდი გადის.**

ვულკანებს გასვლითი შეხვედრა ერთ-ერთ აუტსაიდერ "ბრივთან" ჰქონდათ და ყველასთვის მოულოდნელად დამარცხდნენ 22:28. ტრავმის მოშუშების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დაიწყო თამაში **გოდერძი შველიძემ**, რომელიც 44-ე წუთზე შეცვალეს. თავიდან ბოლომდე ითამაშა **დავით ზირაქაშვილმა**. დარჩენილ ორ ტურში "კლერმონი" შინ მიიღებს "ალბის" და სტუმრად დაუპირისპირდება "მონტობანს".

გასავარდნ ზონას ვერაფრით დააღწია თავი **მამუკა გორგოძის** "მონპელიემ". ბორჯღალოსანთა მეორეხაზელის გუნდმა სტუმრად სასტიკი ბრძოლა გაუმართა **ავთო კოპალიანის** "მონტობანს", მაგრამ მინიმალური ანგარიშით, 12:13 დამარცხდა. კოპალიანი და გორგოძე ტრავმირებულები არიან.

სტუმრად დამარცხდა "ალბისთან" **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრი" 12:19. "გლობუსა" ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-40 წუთზე შეცვალეს. შინ გაანადგურა აუტსაიდერი "ნარბონი" **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი გიორგაძის** "ბურგუენმა" 40:11. ხინჩაგიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. გიორგაძე განაცხადში არ იყო.

## ჩოგბურთი

### ლაბაძემ უკან დაიხია

გუშინ გამოქვეყნდა ვაჟ ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტი, რომლის მიხედვითაც **ირაკლი ლაბაძემ** 18 საფეხურით დაიხია უკან. ლაბაძეს 214 ქულა აქვს, ის მსოფლიოს 192-ე ჩოგანია. **ლადო ჩიხლაძე** 60 ქულით მსოფლიოს 468-ე ჩოგანია, რაც გასული კვირის მაჩვენებელს ერთი ადგილით სჯობს. **ნოდარ ითონიშვილი** 2 ქულით 1330-ე პოზიციაზეა (+12). ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე ამ კვირაში არსად თამაშობენ.

ქალებში **მაკა ჩახნაშვილი** კვლავ მსოფლიოს 152-ე ჩოგანია. **ანა ტატიშვილი** სამი ადგილით წინ წავიდა და 332-ეა. შვიდი საფეხურით დაიხია უკან **სალომე დევიძემ** - 527. მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნეთა ხუთასეულიდანაც გავარდა **სოფიო მელიქიშვილი** - სოფიო 543-ე ჩოგანია, ერთი კვირის წინათ კი 77 ადგილით ზემოთ იყო. სხვა ქართველები: 694 (-6) **სოფიო შაფათავა**, 769 (+1) **ეკა გორგოძე**, 814 (+2) **მანანა შაფაქიძე**, 917 (-2) **ოქსანა კალაშნიკოვა**, 1066 (+2) **თეონა ცერცვაძე**, 1183 (+3) **სოფიო ქვაცაბაია** და 1310 (+7) **მარიამ ქურდაძე**.

### ტატიშვილმა მოგებით დაიწყო

ამერიკაში, ფლორიდის შტატის ქალაქ ინდიან ჰარბორ ბიჩში მიმდინარეობს ქალთა 50-ათასიანი ტურნირი, რომლის საკვალიფიკაციო ტურნირში სამი ქართველი ჩოგბურთელი ასპარეზობს. **სალომე დევიძე** დღეს შეხვდება ახალზელანდიელ **შონა ლის** (609), **ანა ტატიშვილმა** და **სოფიო მელიქიშვილმა** კი გუშინ ითამაშეს. ანა ტატიშვილი მე-2 ნომრად არის განთესილი, მისი მეტოქე "უაილდ ქარდით" მიწვეული ამერიკელი **ჩელსი პრეგი** იყო, ანამ იოლად მოიგო - 6:2, 6:2. სამწუხაროდ, დამარცხდა სოფიო მელიქიშვილი, რომელმაც 16 წლის ამერიკელ **მელანი ოუდინთან** (692) წააგო - 3:6, 6:7 (2).

### სამნი ძირითად ბადეში

თურქეთის კურორტ ანთალიაში დაიწყო 25-ათასიანი ტურნირი, რომლის საკვალიფიკაციო ტურნირში ერთბაშად ხუთი ქართველი ჩაერთო. პირველი საკვალიფიკაციო წრე ხუთივემ გადალახა. ურეიტინგო **ნათია გეგიამ** ამერიკელ შერილ გერშონს (1431) მოუგო - 6:1, 6:1. **სოფიო შაფათავა** მე-4 ნომრად არის განთესილი ის პირველი წრისგან თავისუფალი იყო, ისევე, როგორც მეათე ნომრად განთესილი **მანანა შაფაქიძე**. **თინათინ ყავლაშვილმა** ყაზახ ნატალია ბერეჟნაიას მოუგო - 6:4, 6:2. **სოფიო ქვაცაბაიამ** თურქ ასლი სემიზოღლუს აჯობა - 6:1, 6:2. მეორე წრეში გეგიამ ინდოელ **სონალ პჰადკესთან** (732) წააგო - 2:6, 1:4 და ნათია მეტოქეს დანებდა. შაფათავამ ისრაელის წარმომადგენელ **ნადინ ფაჰუმი** (1285) დაამარცხა - 6:3, 6:2. თინათინ ყავლაშვილი მე-5 ნომრად განთესილ უკრაინელ **ფარიდა კარაევას** (691) უნდა შეხვედროდა, მაგრამ უკრაინელმა თამაში ვერ შეძლო. მოიგო სოფიო ქვაცაბაიამაც, სოფიომ რუსი **ანჟელიკა ბალიუკი** დაამარცხა - 6:4, 6:0. შაფაქიძეს ცოტა გაუჭირდა ბელარუსი **ტატიანა ტეტერინას** (1418) დამარცხება, თუმცა საბოლოოდ მან ეს შეძლო - 6:2, 7:6 (6). ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში შაფათავამ მე-12 ნომრად განთესილი **ვოლჰა დუკო** (827) დაამარცხა - 6:4, 6:2. ძირითად ბადეში გასვლა თინათინ ყავლაშვილმაც შეძლო, ამისთვის მას თანამემამულე ქვაცაბაიას დამარცხება მოუწია - 6:4, 6:3. ძირითად ბადეშია მანანა შაფაქიძეც, მანანამ მე-8 ნომრად განთესილ ბულგარელ **დესისლავა მლადენოვას** (730) მოუგო - 6:4, 7:5.

ძირითად ბადეში სოფიო შაფათავა მე-3 ნომრად განთესილ **ვოისლავა ლუკიჩს** (272) შეხვდება. მანანა შაფაქიძე ბრიტანელ **ანა სმიტს** (482) ეთამაშება, თინათინ ყავლაშვილის მეტოქე სერბი **ანა ვესელინოვიჩია** (432).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



თინათინ ყავლაშვილი

## ბატუტზე ხტომა



**ქართველი ბატუტზე მხტომელები ემზადებიან საშემოდგომო მსოფლიო ჩემპიონატისთვის, სადაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება. ამასწინათ, კანადაში გამართულ მსოფლიო თასის ეტაპზე, ჩვენი ბატუტისტების წარმატებულმა გამოსვლამ გაგვიჩინა რეალური იმედი, რომ უსაგზუროდ არ დავრჩებით. მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპსა და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რუსუდან ხოფერია.**

ინტერვიუ რუსუდან ხოფერიასთან

# ორიდან ერთ ჯარიმას ავცდით

- უპირველეს ყოვლისა, მინდა სიამოვნებით აღვნიშნო ის ფაქტი, რომ წლეულს რა დაფინანსებაც გვაქვს ბატუტზე ხტომაში, ასეთი კარგა ხანია, არ გვქონია. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდით სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას.

როგორც იცით, ამასწინათ, გამოვედით ამერიკისა და კანადის მსოფლიო თასის ეტაპებზე. კანადაში, ლუბა გოლოვინამ და თენგიზ კოშკაძემ, უძლიერეს მეტოქეებთან ბრძოლაში, აჩვენეს ისეთი შედეგები, რომლებიც სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე სავსებით ეყოფა პეკინის საგზურებს. სწორედ მსოფლიო ჩემპიონატზე გვაქვს წლეულს აქცენტი.

რაც შეეხება მოსამზადებელ ეტაპს, უკვე გადაწყვეტილია, რომ ვიასპარეზებთ მსოფლიო თასის კიდევ ორ ეტაპზე. 21-23 ივნისს, ბულგარეთში ვიასპარეზებთ, აგვისტოს ბოლოს კი რუსეთს ვესტუმრებით. ამას გარდა, გეგმაში გვაქვს პოლონეთის მსოფლიო თასის ეტაპზე, ან შვეიცარიულ "ნისანის თასზე" გამოსვლა. არც ის არის გამორიცხული, რომ პოლონეთშიც წავიდეთ და შვეიცარიაშიც - ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გვეყოფა თუ არა თანხა ოთხივე შეჯიბრებისთვის.

**- კანადასა და ამერიკაში პირადად თქვენი, მსაჯის, ნაუსვლელობის გამო, საერთაშორისო ფედერაციიდან ფინანსური სანქციები გემუქრებოდათ. რა გადაწყდა?**

- მოგეხსენებათ, კანადასა და ამერიკაში, ამერიკის საკონსულოსთან შექმნილი პრობლემის გამო ვერ წავედი, რაშიც ნამდვილად არ ვარ დამნაშავე და ეს ვაცნობეთ კიდეც საერთაშორისო ფედერაციას. მიუხედავად ამისა, მაინც გვითხრეს, რომ კანადასა და ამერიკიდან, ერთში მაინც უნდა ემსაჯა ქართველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგვაჯარიმებდნენ. საბოლოოდ, ის გამოსავალი გამოვნახეთ, რომ ვამსაჯეთ ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე კონსტანტინე გულისაშვილი. შესაბამისად, საერთაშორისო ფედერაციისგან 4000-ფრანკიანი ჯარიმა აგვცდა. თუმცა, კანადელებმა 4320 კანადური დოლარი მაინც გადაგვახდევინეს, რაკილა იქ მე და ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაურ სულაშვილს სასტუმრო გვქონდა დაჯავშნული.

**კობა ხატისაშვილი**

## თარიღი

**ვლადიმერ სტეფანია.** დაიბადა 08.05.1876, თბილისი. კალათბურთი (215 სმ). თამაშობდა თბილისის "მართვეში" (1990-91), ლიუბლიანის "ოლიმპიაში" (სლოვენია, 1991-98), "სიეტლ სუპერსონიქსში" (ნბა, 2000I01), "მაიამი ჰიტსა" (NBA, 2001-03) და "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსში" (ნბა, 2003-05). საქართველოს ნაკრების წევრი 1995-იდან. სლოვენიის სამგზის ჩემპიონი (1996, 97, 98), ევროპის "ოლ სტარის" მატჩის საუკეთესო მოთამაშე (1998). ევროლიგის "ოთხთა ფინალის" მონაწილე (1997), ოთხჯერ ითამაშა სლოვენიის "ოლ სტარის" შეხვედრებში (1995-98). პირველი ქართველი NBA-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნეშის ცხვირი პარკერის თავმა გაალამაზა

NBA. ფლეი ოფი. მეორე წრე

# სპურსმა ნეშის სისხლი დალია

სერია, რომელიც კალათბურთის ისტორიაში ლეგენდარულ და თაობებისთვის სათუთად გადასაცემთა რიცხვში შევა - "ფინიქს სანზი" და "სან ანტონიო სპურსი", ორი განსხვავებული საკალათბურთო კულტურის დამნერგავი გუნდი, ერთმანეთს მაგრად გაანვალებს, ფანები კი ყველაფრით ნასიამოვნები დარჩებიან. თავისთავად, **ტიმ დანკანისა** და **სტივ ნეშის** გუნდების ჯახისთვის დაძაბულობის გარეშე თვალსასეიროდ დატკბობა უფრო იმათ გაუიოლდებათ, ვინც არც ტეხასურ გრანდს ჰყვარობს და არც არიზონელთა სილალის თაყვანისმცემელია, რადგან ემოციისა და დაძაბულობის შხეფებში, ასეც და ისეც, მოხვდება.

უძლიერესი დაცვა (ანუ "სპურსი") თუ სამაგალითო, უკომპლექსო, იქნებ ცოტათი არქაულიც კი, შეტევა (იგივე "ფინიქსი") პირველივე წუთებიდან ერთმანეთს სასიკვდილოდ გამეტებული ბულტერიერებივით დაეტაკნენ და ნამდვილი თრილერი დადგეს. თანაც არა იაფფასიანი, არამედ ბლოკბასტერი, სადაც ყველაფერი მაყურებლის ემოციაზეა გათვლილი.

ორი წლის წინათ ამ გუნდების დასავლურ ფინალში **გრეგ პოპოვიჩმა მაიკ დენტონის** გამოცდილების ხარჯზე აჯობა, "სპურსმა" კი სერია 4:1 მოიგო და ის ერთადერთი მარცხიც იმ წელინადს გაჩემპიონებულმა გუნდმა საკუთარ მოედანზე იწვნია, სტუმრად კი სამივე ჯახი თავის სასრგებლოდ დაასრულა.

სტუმრებმა პირველ მეოთხედში მასპინძლებს დაწინაურების საშუალება რომ არ მისცეს, პირველ რიგში, **ტონი პარკერის** დამსახურებაა, რომელმაც 12 ქულა მოიმკო, ხოლო დანკანმა კი კატასტროფულად დაიწყო პრინციპული დაპირისპირება და თამაშიდან 4-დან ყველა, საჯარიმოს ხაზიდან კი 6-დან 3 სროლა გააფუჭა.

საერთოდ, მწვრთნელებმა დაცვითი სქემების დამუშავებისას რამდენიმე მოულოდნელი ნაბიჯი გადადგეს - პარკერს მასზე გაცილებით მაღალი და ათლეტური **შონ მერიონი** დასდევდა წინ და უკან, სტივ ნეშს ამპლუით ფორვარდი **ბრიუს ბოუენი** იჭერდა, ხოლო დანკანის ორმაგი მეურვეობისას კი **ამარე სტაუდმაიერს** გვერდით არა **კურტ ტომასი**, არამედ **რაჯა ბელი** ედგა.

"სან ანტონიომ" პირველ ნახევარში მეტოქის სამწამიანში რომ იბალახა, დიდი შესვენების შემდეგ სტუმრები უფრო მრავალფეროვნად უტევდნენ და პერიმეტრული ბომბარდირებისას "ფინიქსი" დიდ პრობლემებს აწყდებოდა.

დაძაბულობამ თავი თავიდანვე იჩინა, როდესაც მშვიდმა დანკანმა რეფერის ტექნიკური ფოლი დასტყუა, მერე კი იგივე სასჯელი დენტონის ასისტენტს, **მარკ იავარონისაც** "გამოუწერეს".

ბევრი ვარაუდობდა, რომ "სპურსი" ოპონენტს საკუთარ თამაშს ათამაშებდა და შეტევა ფინიქსურ სილაღეზე მეტად, ტეხასურ დუნე და უმრავლესობისთვის უინტერესო კალათბურთში გადაიზრდებოდა. სპურსული კალაპოტიდან ამოსვლა კი იცოცხლე, რთულია და მერე, როგორი...

ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა - "სპურსი" 2005 წლის სერიის დარად, იდეალურად აზავებდა ზონურ პრესინგსა და პირველ შეტევას, პოზიციურ დაცვასა და ჩეკერულ კალათბურთს, საბოლოოდ კი მოგებული სწორედ ესპერიმენტატორი პოპოვიჩი დარჩა.

დანკანმა მთლად თუ ვერ გადაუარა, ყოველ შემთხვევაში, კარგად აჯობა ამარეს, რომელმაც 20 ქულა და ბლომად მოხსნა კი მოხვეტა, მაგრამ თამაშიდან 19-ში მხოლოდ 6 სროლა შეასრულა ზუსტად. ტიმმა კი თანაამპლუელს პირველივე ნახევარში სამი პერსონალური შენიშვნა მიაღებინა და მესამე მეოთხედში სტაუდმაიერის იძულებითი პასიურობით გაბადრულმა დანკანმა ამ დროში 12 ქულა შესძინა გუნდურ და პირად აქტივს.

ტიმმა შეტევაში ფარიდან ასხლეტილი ბურთი რვაჯერ მოხსნა და "სპურსმა" **მანუ ჯინობილის** მოულოდნელად სუსტი თამაშითაც ვერ იხეირა. არგენტინელმა 9 "ცოცხალი" სროლიდან მხოლოდ 2 გამოიყენა, თუმცა დაცვაში მაგრად იომა და მცირე წვლილი მაინც შეიტანა "სპურსის" ტრიუმფში.

მატჩის ბოლოს, როდესაც **ლეანდრო ბარბოსამ** მორიგი ორქულიანით ანგარიში გაათანაბრა (102:102), მერე კი დანკანმა ურთულესი ნახევარკაუჭით წინ კვლავ "სპურსი" გაიყვანა, პარკერი და ნეში ბურთისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეასკდნენ, ტონი მკვდარივით გაიშოტა, ნეში კი ფეხზე დარჩა. სტუმარი მალევე წამოდგა (მას ნამდვილი ჯენტლემენივით, ფეხზე წამოდგომაში სწორედ ნეში შეეშველა), ხოლო ნეშს კი ცხვირი თან ჰქონდა და თან - არა.

"ფინიქსის" ვარსკვლავს იქვე 6 ნაკერი დაადეს, ნეში მოედანზე დაბრუნდა, 40 წამში 5 ქულა გაჩარხა, მაგრამ მერე ჭრილობიდან სისხლმა შადრევანივით გადმოასხა და ექიმებმაც მას თამაში აუკრძალეს.

აი ასე, ბრძოლაში, ნეშის ცხვირისა და დანკანის გამოცდილების ხარჯზე დაწინაურდა სერიაში "სან ანტონიო", თუმცა აქ ჯერ ყველაფერი წინაა. არც "სპურსის" ფანებს აქვთ ზედმეტი ოპტიმიზმის საბაბი და ხელი არც ნეშისა და **შონ მერიონის** ფანებმა უნდა ჩაიქნიონ.

**ზურაბ თალაკვაძე**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**კლივლენ. (2)–ნიუ ჯერსი (6) 81:77**

23:20, 20:21, 16:18, 22:18

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (21 ქ. 11 მ. 7 პ), ჰიუზი (17 ქ. 6 პ. 4 მ. 4 ჩ), პავლოვიჩი (15 ქ. 3 დ), გუდენი (14 ქ. 14 მ. 2 დ), ილგაუსკასი (8 ქ. 14 მ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (21 ქ. 13 მ. 6 პ), რ. ჯეფერსონი (16 ქ), ნახბარი (12 ქ), მური (10 ქ), კიდი (7 ქ. 10 მ. 9 პ. 2 ჩ).

**სერია: 1:0**

**დასავლეთის კონფერენცია**

**ფინიქსი (2)–სან ანტონ. (3) 106:111**

26:27, 27:24, 22:26, 31:34

**ფინიქსი:** ნეში (31 ქ. 8 პ. 4 მ), ა. სტაუდმაიერი (20 ქ. 18 მ. 5 დ), ბარბოსა (18 ქ. 3 პ), მერიონი (16 ქ. 6 მ), რ. ბელი (10 ქ. 2 ჩ).

**სან ანტონიო:** დანკანი (33 ქ. 16 მ. 3 დ), ტ. პარკერი (32 ქ. 8 პ. 2 ჩ), ფინლი (19 ქ), ორი (10 ქ. 7 მ. 2 დ), ჯინობილი (8 ქ. 9 მ. 4 პ).

**სერია: 0:1**

ევროლიგა. ოთხთა ფინალი. ათენი

# აბა, ამათ თასს ვინ გამოაგდებდა?!

**ფინალი**

**პანათინაიკოსი–ცსკა 93:91**

18:17, 28:19, 19:21, 28:34

**პანათინაიკოსი:** შიშკაუსკასი (20 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), ტომაშევიჩი (16 ქ. 3 მ), დიამანტიდისი (15 ქ. 3 მ. 3 პ. 2 ჩ), ბატისტე (12 ქ. 5 მ), ვუიანიჩი (12 ქ), ჰაცივრეტასი (10 ქ), ბეჩიროვიჩი (6 ქ), დიკუდისი (2 ქ. 3 მ).

**ცსკა:** პაპალუკასი (23 ქ. 8 პ), სმოდიში (18 ქ. 3 მ), ლენგდონი (16 ქ), ჰოლდენი (11 ქ), ტორესი (9 ქ. 4 მ. 2 პ), ვან დენ შპიგელი (6 ქ. 3 მ), ანდერსენი (4 ქ. 6 მ), სავრასენკო (4 ქ).

**III ადგილისთვის**

**უნიკახა–ტაუ 76:74**

16:15, 19:25, 16:21, 25:!3

**უნიკახა:** ტუშეკი (18 ქ. 5 მ), მ. ბრაუნი (14 ქ), ხიმენესი (10 ქ), დე მიგელი (9 ქ).

**ტაუ:** რაკოჩევიჩი (16 ქ), პლანიჩიჩი (15 ქ. 3 პ), სკოლა (14 ქ. 5 მ. 2 პ), პრიჯონი (13 ქ. 3 ჩ), სპლიტერი (10 ქ. 8 მ. 3 პ).

ევროლიგას ახალი ჩემპიონი ჰყავს. ათენის ოლიმპიურ დარბაზში, სადაც ბერძნებს 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე ჩემპიონობისკენ გზა მომავალმა ტრიუმფატორმა, არგენტინამ გადაუღობა, "პანათინაიკოსმა" წინა გამარჯვებული, **ეტორე მესინას** ცსკა დაამარცხა.

ნომინალურ მასპინძლებს ნახევარფინალში ტაუ-ს წინააღმდეგ პრობლემები მხოლოდ პირველი მეოთხედის ერთ-ერთი მონაკვეთისას შეექმნა, დარჩენილ დროს კი ყველაფრის ბატონ-პატრონი ცსკა-ზე არანაკლებ ვარსკვლავური შემადგენლობის მქონე მასპინძელი იყო.

წინასამატჩო შანსების შეფასებისას სპეციალისტთა უმრავლესობა ერთსა და იმავე აზრზე იდგა - ცსკა პოტენციურად უფრო ძლიერია, მაგრამ ამათ თასს ათენიდან ნაღდად არ გაატანენო.

მსაჯები რომ მასპინძლებს მიემხრობოდნენ, გასაგები იყო, მაგრამ "პანათინაიკოსს" ასეთი გიგანტის დასაჩოქებლად მარტო რეფერის დახმარება არ ეყოფოდა და სიმართლე ითქვას (რაც მოგვიანებით **ეტორე მესინამაც** აღნიშნა), "პანათინაიკოსმა" ისეთი ალმაფრენით ითამაშა, რომ იმ დღეს მისი მომგები ძნელად თუ ვინმე მოიძებნებოდა.

## ნიკოს გალისის საპატივსაცემოდ

შეხვედრის დაწყებამდე ყველა დროის უდიადესმა ბერძენმა კალათბურთელმა, **არვიდას საბონისისა** და **დრაჟენ პეტროვიჩის** შემდეგ, უძლიერეს ევროპელად აღიარებულმა **ნიკოს გალისმა** ათენის მერიისგან განსაკუთრებული ძღვენი მიიღო - ნიკოსის მაისური დარბაზის ჭერქვეშ აღმართეს, ხოლო OAKA-ს ტერიტორიაზე კი გალისის ბრინჯაოს ძეგლიც დაიდგა.

*"ძალიან თბილი და მოულოდნელი სიურპრიზი გამიკეთეს. იმედი მაქვს, დღევანდელი შეხვედრა მოლოდინს გაამართლებს და გულშემატკივრები ორი ღირსეული ოპონენტის თამაშს იხილავენ. ორივე გუნდში ბოლო წლების უძლიერესი ბერძნები თამაშობენ და დღეს დიმიტრის დიამანტიდისსა და თეოდოროს პაპალუკასს თანაბრად ვუქომაგებ"*, - განაცხადა გალისმა, რომელმაც 1987 წელს საბერძნეთს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა და ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციაში უდიდესი როლი ითამაშა. გალისს მატჩის დღეს 50 წელი შეუსრულდა.

## რეკორდების ფინალი

გუნდებმა ნამდვილი შოუ დადგეს, რომელშიც არტისტიზმის მხრივ, უფრო "პანათინაიკოსი" გამოირჩეოდა, ხოლო მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი ძალიან მოულოდნელად, **დიამანტიდისი** დაასახელეს. MVP-ის ჯილდოს მიღებისას საბერძნეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ალალად აღნიშნა, დღევანდელ მატჩში საუკეთესო **რამუნას შიშკაუსკასი** იყოო.

ახლა კი რეკორდები.

1. ცსკა-მ ევროლიგის ფინალში წაგებული გუნდისთვის ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. წინა მიღწევა "მაკაბის" ეკუთვნოდა, რომელიც 1988 წლის ოთხთა ფინალის პირველ მატჩში "მილანთან" 84:90 დამარცხდა.

2. მეტოქეებმა ჯამში ევროლიგის ფინალის ისტორიაში მეორე ყველაზე უხვქულიანი შეხვედრა ჩაატარეს. ჯამური 184 ქულა 2004 წლის 192-ს სულ მცირედით ჩამოუვარდება. მაშინდელი მატჩის მონაწილეები "მაკაბი" და "სკიპერი" იყვნენ.

3. "პანათინაიკოსმა" 46 ჯარიმა შეასრულა და 38 გამოიყენა. ორივე შედეგი საუკეთესოა. 2003 წლის ფინალში "ბარსელონამ" 34 ზუსტი საჯარიმო დააგროვა, ხოლო 1997 წლის გადამწყვეტ შეხვედრაში "ოლიმპიაკოსმა" 41 საჯარიმო შეასრულა. შიშკაუსკასმა და კომპანიამ ორივე რეკორდი დაამხეს.

4. მეორე მეოთხედში "პანათინაიკოსმა" 28 ქულა მოიმკო და ამ მეოთხედში გაკეთებული ქულების წინა რეკორდი 2-ით გააუმჯობესა. 2001 წლის ფინალში ტაუ-მ "ქინდერთან" 26 ქულა გააკეთა.

5. **რამუნას შიშკაუსკასმა** მატჩი 12 ზუსტი საჯარიმოთი დაასრულა და 2002 წლის ბოლონიური ზემატჩის რეკორდი გაიმეორა. 5 წლის წინათ ასევე 12 საჯარიმო უშეცდომოდ "ვინმე" **მანუ ჯინობილიმ** შეასრულა.

6. იმავე შიშკაუსკასმა 17 საჯარიმო ისროლა. წინა რეკორდი კი იმავე ჯინობილსა და **არვიდას მაციაუსკასს** ეკუთვნოდა. ერთმაცა და მეორემაც 13-13 თავისუფალი ტყორცნა განახორციელეს.

7. **თეოდოროს პაპალუკასმა** თამაშიდან 9 სროლა გამოიყენა და წინა მიღწევა გაიმეორა. ევროლიგის ფინალში 9-9 ზუსტი ორქულიანი მანამდე **ზორან სავიჩმა, დინო რაჯამ, დეიან ბოდიროგამ, ნეიტ ჰაფმანმა, ვიქტორ ალექსანდერმა** და **რაშარდ გრიფიტმა** დააგროვეს.

8. **მატიაშ სმოდიშმა** კი პირველი 11 საჯარიმო გამოიყენა, მეთორმეტე კი ააცილა. მანამდე ზედიზედ უშეცდომო საჯარიმოების რეკორდი **ელმერ ბენეტს** ეკუთვნოდა, რომელმაც 2001-ში პირველი ათი იდენტური სროლისას არ შეირცხვინა თავი.

■ ■ ■

დიამანტიდისი, რომელიც ევროლიგის სამგზის საუკეთესო დამცველია, აღნიშნულ შეხვედრაში საიუველირო სიზუსტით გამოირჩეოდა. მან ორიდან ორი ორქულიანი და ზუსტად იგივე პროცენტული რაოდენობის სამიანი გამოიყენა, საჯარიმოს ხაზიდან კი ბერძენი 6 სროლის შესრულებისას 5-ჯერ ზუსტი იყო. ცსკა-ს ძირითადის დასრულებამდე 22 წამით ადრე ანგარიშში სხვაობის შემცირება ორ ქულამდე შეეძლო, მაგრამ მატიაშ სმოდიშმა ორიდან ერთი საჯარიმო ვერ გამოიყენა, დარჩენილ დროში კი სტუმრები ვერც **ტრაიან ლენგდონის** ავანტიურულმა სამიანმა იხსნა. თასი საბერძნეთში დარჩა.

**ზურაბ თალაკვაძე**


დიამანტიდისი (ბურთით) და პაპალუკასი

**ევროლიგის (ჩემპიონთა თასის) ყველა ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| 1958 | სკა (რიგა, სსრკ) - აკადემიკი (ბულ) | 86:81, 84:71 |
| 1959 | სკა (რიგა, სსრკ) - აკადემიკი (ბულ) | 79:58, 69:67 |
| 1960 | სკა (რიგა, სსრკ) - დინამო (თბ, სსრკ) | 86:81, 84:71 |
| 1961 | ცსკა (სსრკ) - სკა (რიგა, სსრკ) | 87:62, 61:66 |
| 1962 | დინამო (თბ, სსრკ) - რეალი (ესპ) | 90:83 |
| 1963 | ცსკა (სსრკ) - რეალი (ესპ) | 69:86, 91:74, 99:80 |
| 1964 | რეალი (ესპ) - სპარტაკი (ჩეხ) | 99:110, 84:64 |
| 1965 | რეალი (ესპ) - ცსკა (სსრკ) | 81:88, 76:62 |
| 1966 | სიმენტალი (იტა) - სლავია (ჩეხ) | 77:72 |
| 1967 | რეალი (ესპ) - სიმენტალი (იტა) | 91:83 |
| 1968 | რეალი (ესპ) - სპარტაკი (ჩეხ) | 98:95 |
| 1969 | ცსკა (სსრკ) - რეალი (ესპ) | 103:99 |
| 1970 | ინისი (იტა) - ცსკა (სსრკ) | 79:74 |
| 1971 | ცსკა (სსრკ) - ინისი (იტა) | 69:53 |
| 1972 | ინისი (იტა) - იუგოპლასტიკა (იუგ) | 70:69 |
| 1973 | ინისი (იტა) - ცსკა (სსრკ) | 71:66 |
| 1974 | რეალი (ესპ) - ინისი (იტა) | 84:82 |
| 1975 | ინისი (იტა) - რეალი (ესპ) | 79:66 |
| 1976 | მობილჯირჯი (იტა) - რეალი (ესპ) | 81:74 |
| 1977 | მაკაბი (თ-ა, ისრ) - მობილჯირჯი (იტა) | 78:77 |
| 1978 | რეალი (ესპ) - მობილჯირჯი (იტა) | 75:67 |
| 1979 | ბოსნა (იუგ) - ემერსონი (იტა) | 96:93 |
| 1980 | რეალი (ესპ) - მაკაბი (თ-ა, ისრ) | 89:85 |
| 1981 | მაკაბი (თ-ა, ისრ) - სინუდინი (იტა) | 80:79 |
| 1982 | კანტუ (იტა) - მაკაბი (თ-ა, ისრ) | 86:80 |
| 1983 | კანტუ (იტა) - ბილი (იტა) | 69:68 |
| 1984 | ბანკო დი რომა (იტა) - ბარსელონა (ესპ) | 79:73 |
| 1985 | ციბონა (იუგ) - რეალი (ესპ) | 87:78 |
| 1986 | ციბონა (იუგ) - ჟალგირისი (სსრკ) | 84:82 |
| 1987 | ტრეისერი (იტა) - მაკაბი (თ-ა, ისრ) | 71:69 |
| 1988 | ფილიპსი (იტა) - მაკაბი (თ-ა, ისრ) | 90:84 |
| 1989 | იუგოპლასტიკა (იუგ) - მაკაბი (თ-ა, ისრ) | 75:69 |
| 1990 | იუგოპლასტიკა (იუგ) - ბარსელონა (ესპ) | 72:67 |
| 1991 | პოპ 84 (იუგ) - ბარსელონა (ესპ) | 70:65 |
| 1992 | პარტიზანი (იუგ) - ხუვენტუდი (ესპ) | 71:70 |
| 1993 | ლიმოჟი (საფ) - ბენეტონი (იტა) | 59:55 |
| 1994 | ხუვენტუდი (ესპ) - ოლიმპიაკოსი (საბ) | 59:57 |
| 1995 | რეალი (ესპ) - ოლიმპიაკოსი (საბ) | 73:61 |
| 1996 | პანათინაიკოსი (საბ) - ბარსელონა (ესპ) | 67:66 |
| 1997 | ოლიმპიაკოსი (საბ) - ბარსელონა (ესპ) | 73:58 |
| 1998 | კინდერი (იტა) - აეკ (საბ) | 58:44 |
| 1999 | ჟალგირისი (ლიტ) - კინდერი (იტა) | 82:74 |
| 2000 | პანათინაიკოსი (საბ) - მაკაბი (თ-ა, ისრ) | 73:67 |
| 2001 | კინდერი (იტა) - ტაუგრესი (ესპ) | 82:74 |
| 2002 | პანათინაიკოსი (საბ) - კინდერი (იტა) | 89:83 |
| 2003 | ბარსელონა (ესპ) - ბენეტონი (იტა) | 79:65 |
| 2004 | მაკაბი (თ-ა, ისრ) - ფორტიტუდო (იტა) | 118:74 |
| 2005 | მაკაბი (თ-ა, ისრ) - ტაუგრესი (ესპ) | 90:78 |
| 2006 | ცსკა (რუს) - მაკაბი (თ-ა, ისრ) | 73:69 |

# ჰოკეი

NHL. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

# და მაინც ბაფალო

**აღმოსავლეთი**

**რეინჯერსი (6)-ბაფალო (1) 4:5**

1:0, 1:4, 2:1

გოლები: 1:0 ნიულანდერი-5 (მარა-2, სტრაკა-6), 1:1 კალინინი-2 (კოტალიკი-2, ბრიერი-7), 1:2 პომინვილი-4 (მეირი-4, გოსტადი-1), 2:2 მარა-2 (რახუნეკი-3), 2:3 ჰეხტი-1 (დრური-3, ზუბრუსი-7), 2:4 დრური-7 (ბრიერი-8, ზუბრუსი-8), 3:4 იაგრი-5 (სტრაკა-7, რახუნეკი-4), 3:5 ჰეხტი-2 (ბრიერი-9), 4:5 ნიულანდერი-6 (სტრაკა-8, როჟსივალი-4).

**სერია 2:4**

ეს სერია ობიექტურად უფრო ძლიერმა გუნდმა მოიგო. რა თქმა უნდა, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ "რეინჯერსს" არ გაუმართლა, როცა მეხუთე მატჩში 7 წამი დააკლდა გამარჯვებამდე. მოგების შემთხვევაში, სწორედ ნიუიორკელები იქნებოდნენ წინ სერიაში.

ასეა თუ ისე, გუშინდელ შეხვედრაში, "ბაფალომ" ის თამაში აჩვენა, რომლის წყალობითაც რეგულარულის ჩემპიონი გახდა და ლიგაში ყველაზე მეტი - 309 შაიბა გაიტანა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სტუმრების თამაში მეორე პერიოდში, როცა მათ 20 წუთში ოთხი შაიბა გაიტანეს.

თუმცა, ამ ოთხი გოლით მატჩის ბედი არ გარკვეულა, ვინაიდან "რეინჯერსმა" ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ პარტნიორებს "ბაფალოს" მეკარე **რაიან მილერმაც** აუბა მხარი - ჯამში მოგერიებული 32 დარტყმიდან, 11 მესამე პერიოდზე მოდის, როცა მასპინძლებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს მეტოქის კართან.

საბოლოოდ, "რეინჯერსმა" წლევანდელ ფლეი ოფში პირველად წააგო "მედისონ სკვერ გარდენში" და ამ არენაზე 9-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა.

აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში "ბაფალოს" მეტოქე "ოტავა" იქნება. ეს გუნდები კარგად იცნობენ ერთმანეთს და პირადი ანგარიშებიც აქვთ გასასწორებელი. თებერვალში, რეგულარულ ჩემპიონატის მატჩში, ოტაველ და ბაფალოელ მოთამაშეებს შორის ისეთი ჩხუბი ატყდა, რომ მსაჯებმა ჰოკეისტებს ჯამში, 100 წუთი საჯარიმო დრო ჩამოურიგეს. გარდა ამისა, შარშანდელ ფლეი ოფში, "სეიბრზმა" კანადური კლუბი სტენლის თასისთვის ბრძოლას გამოთიშა.

## მსოფლიო ჩემპიონატი

**II ჯგუფური ეტაპი**

**E ჯგუფი**

**რუსეთი-შვეიცარია 6:3**

2:0, 1:1, 3:2

გოლები: 1:0 ზინოვიევი-2 (ზარიპოვი-7), 2:0 კოვალჩუკი-2 (მარკოვი-3), 3:0 ზარიპოვი-3 (პრომშკინი-1, შჩასტლივი-1), 3:1 შტრაიტი-1 (ლემი-4), 4:1 მარკოვი-2 (მალკინი-2, კოვალჩუკი-4), 4:2 დიპიეტრო-2 (შტრაიტი-2, რაიპერტი-1), 5:2 ფროლოვი-4 (მარკოვი-4), 6:2 შჩასტლივი-3 (ხარიტონოვი-1), 6:3 რაიპერტი-1 (დიპიეტრო-2).

**შვედეთი-ფინეთი 1:0**

1:0, 0:0, 0:0

გოლი: 1:0 აკერმანი-3 (ვარგი-3, ტარნსტრიომი-9).

| | თ | მ | ოგ | ოწ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 19-3 | 12 |
| 2. რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 23-8 | 12 |
| 3. ფინეთი | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 15-8 | 9 |
| 4. შვეიცარია | 5 | 2 | 0 | 0 | 3 | 9-16 | 6 |
| 5. იტალია | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | 2-15 | 0 |
| 6. დანია | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | 6-24 | 0 |

**F ჯგუფი**

**სლოვაკეთი-ბელარუსი 4:3**

1:1, 2:2, 1:0

გოლები: 1:0 ჰარა-3 (მარიან ჰოსა-3, გაბორიკი-3), 1:1 უგაროვი-2 (რიადინსკი-1, ზადელენოვი-5), 2:1 გაბორიკი-4 (დემიტრა-2), 3:1 გაბორიკი-5 (მარიან ჰოსა-4, ჰარა-1), 3:2 ანტონენკო-5 (ზადელენოვი-6), 3:3 კოლცოვი-1 (კულაკოვი-2, მელეშკო-2), 4:3 დემიტრა-2 (გაბორიკი-4).

**ჩეხეთი-კანადა 3:4 (ო)**

1:0, 1:1, 1:2, 0:1

გოლები: 1:0 ჟიდლიცკი-1 (ვიბორნი-4, გლინკა-4), 1:1 მაკლემანი-1, 2:1 პლეკანეცი-4 (ვიბორნი-5), 2:2 ე. სტაალი-2 (ფანოფი-3, კამალერი-2), 3:2 ოლეში-2, 3:3 დოუნი-5 (ლომბარდი-3), 3:4 ე. სტაალი-3 (მერფი-4, ბრიუერი-2).

| | თ | მ | ოგ | ოწ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 18-12 | 11 |
| 2. აშშ | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | 15-7 | 9 |
| 3. სლოვაკეთი | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 18-15 | 9 |
| 4. ჩეხეთი | 5 | 2 | 0 | 1 | 2 | 17-14 | 7 |
| 5. გერმანია | 4 | 1 | 0 | 0 | 3 | 5-11 | 3 |
| 6. ბელარუსი | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | 9-23 | 0 |

# ველოსპორტი




გამარჯვებული ჯილდოს ლებულობს

პრო ტური

# დეკერი რომანდიის ჩემპიონია

ჰოლანდიურ გუნდ "რაბობანკის" ჰოლანდიელი **თომას დეკერის** ტრიუმფით დასრულდა პრო ტურის მორიგი ეტაპი - რომანდიის ტური, რომელიც სეზონის პირველი ველომარათონის, ჯირო დ'ტალიას წინ, წამყვანი ველომრბოლებისთვის ბოლო გამოცდა იყო.

22 წლის დეკერმა, ვინც ორი წლის წინათ, დროზე რბოლაში ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა, რომანდის ტურის ბოლო ეტაპი - დროზე ინდივიდუალური რბოლა მოიგო და ამის წყალობით, საბოლოო კლასიფიკაციაშიც პირველ ადგილზე გადავიდა, სადაც მანამდელი ლიდერი, ამერიკელი **კრის ჰორნერი** შეცვალა.

ამან დროზე რბოლაში მხოლოდ მეშვიდე დრო აჩვენა, რის გამოც საბოლოო კლასიფიკაციაში მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითდა. ნარბოლევს განაცხადა, მე რომ რომელიმე გუნდის შეფი ვიყო, არც დავფიქრდებოდი, ისე მივინვევდი ერიკსო. მან ამ რბოლაში დაამტკიცა, რომ დროზე რბოლებში ბევრი რამ შეუძლიაო.

დეკერმა კი განაცხადა, აქ გამარჯვება ჩემს სასეზონო გეგმებში არ შედიოდა, რადგან ამას ვერც კი წარმოვიდგენდიო. *"ბედნიერი ვარ და იმავდროულად, გაკვირვებულიც. აქ გამარჯვება ჩემს გეგმებში არ შედიოდა. დროზე რბოლა ჩემი სპეციალობა კია, მაგრამ აქ მაქსიმუმ კვარცხლბეკზე ასვლას ვიმედოვნებდი, უფრო მეტის იმედი კი არ მქონდა"*, - განაცხადა დეკერმა, ვინც 1978 წლის შემდეგ (მაშინ მისმა თანამემამულემ, **იოჰან ვან დერ ველდემ** მოიგო) რომანდიის ტურის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულია.

ალსანიშნავია, რომ რაც პროფესიონალი ველომრბოლი გახდა (2005 წელს), ეს დეკერისთვის მე-13 გამარჯვებაა. პრო ტურის სერიაში კი მხოლოდ მეორე რბოლის მოგება შეძლო. თუმცა, ისიც ალსანიშნავია, რომ შარშანდელი სეზონის დიდი ნაწილი, ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო გაუცდა.

ბოლო ეტაპი და მთლიანად რბოლაც, მეორე ადგილზე დაასრულა ჯიროს ყოფილმა ჩემპიონმა, ყაზახურ გუნდ "ასტანას" იტალიელმა **პაოლო სავოლდელიმ**. დოზე რბოლაში ის დეკერს მხოლოდ 5 წამით ჩამორჩა. არადა, მან ტურის პირველი ეტაპი, პროლოგი მოიგო და საწყის ეტაპებზეც ლიდერის მაისურით იასპარეზა. ის კმაყოფილი დარჩა თავისი გუნდის მუშაობით და განაცხადა, რომ მასთან ერთად, ჯიროზე გამარჯვებისთვის ბრძოლა შეიძლება.

რაც შეეხება დეკერს, ის ჯიროზე არ იასპარეზებს, შემდეგ კი ლუქსემბურგისა და შვეიცარიის ტურებზე გამოვა, რასაც ჰოლანდიის ჩემპიონატი და ტურ დე ფრანსი მოჰყვება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მე-5 ეტაპი. ლოზანას გარშემო (20.4 კმ, დროზე ინდ. რბოლა)

**1. თომას დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 26:36.24; 2. პაოლო სავოლდელი (იტალია, ასტანა) 0.05; 3. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) 0.12; 4. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 0.23; 5. ედი მაცოლენი (იტალია, ასტანა) 0.46; 6. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, ლიკიგაზი) 0.52; 7. კრის ჰორნერი (აშშ, პრედიქტორ-ლოტო) 0.55; 8. დევიდ ზაბრისკი (აშშ, CSC) 0.579. სანდი კასარი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) 1.01; 10. იანეს ბრაიკოვიჩი (სლოვენია, დისქავერი ჩენელი) 1.05...**

საბოლოო კლასიფიკაცია

**1. თომას დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 17:27.02; 2. პაოლო სავოლდელი (იტალია, ასტანა) 0.11; 3. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) 0.34; 4. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 0.43; 5. კრის ჰორნერი (აშშ, პრედიქტორ-ლოტო) 0.46; 6. კრის ჰორნერი (აშშ, პრედიქტორ-ლოტო) 1.35; 7. იგორ ანტონ ერნანდესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 1.51; 8. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 1.53; 9. სილვესტერ შმიდი (პოლონეთი, ლამპრე-ფონდიტალი) 1.55; 10. იანეს ბრაიკოვიჩი (სლოვენია, დისქავერი ჩენელი) 2.00...**

**მოტორბოლა**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

ჩინეთის გრან-პრი. IV ეტაპი

125 კუბ.სმ (19 წრე - 100.339 კმ)

1. პეშეკი (ჩეხეთი, "დერბი") - 42:25.923; 2. ფაუბელი (ესპანეთი, "აპრილია") - +0.187; 3. რაბათი (ესპანეთი, "ჰონდა") - +0.481; 4. ტალმაში (უნგრეთი, "აპრილია") - +0.782; 5. კორსი (იტალია, "აპრილია") - +1.140.

საერთო ჩათვლა: 1. პეშეკი - 71 ქულა; 2. ტალმაში - 69; 3. ფაუბელი - 67; 4. კორსი - 47; 5. ესპარაგო (ესპანეთი, "აპრილია") - 34.

250 კუბ.სმ (21 წრე - 110.901 კმ)

1. ლორენსო (ესპანეთი, "აპრილია") - 44:17.095; 2. ბაუტისტა (ესპანეთი, "აპრილია") - +3.904; 3. დოვიციოზო (იტალია, "ჰონდა") - +5.031; 4. დე ანჯელისი (სან მარინო, "აპრილია") - +6.560; 5. კალიო (ფინეთი, KTM) - +10.248.

საერთო ჩათვლა: 1. ლორენსო - 95 ქულა; 2. დოვიციოზო - 68; 3. დე ანჯელისი - 59; 4. ბაუტისტა - 56; 5. ბარბერა (ესპანეთი, "აპრილია") - 34.

მოტოგრანპრი (22 წრე - 116.182 კმ)

1. სტოუნერი (ავსტრალია, "დუკატი") - 44:12.891; 2. როსი (იტალია, "იამაჰა") - +3.036; 3. ჰოპკინსი (ბრიტანეთი, "სუძუკი") - +6.663; 4. პედროსა (ესპანეთი, "ჰონდა") - +14.090; 5. მელანდრი (იტალია, "ჰონდა") - +17.276.

საერთო ჩათვლა: 1. სტოუნერი - 86 ქულა; 2. როსი - 71; 3. პედროსა - 49; 4. მელანდრი - 41; 4. ჰოპკინსი - 39.

**რალი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

არგენტინის რალი (VI ეტაპი)

1. ლოები ("სიტროენი", საფრანგეთი) - 2:52.03,8; 2. გრონჰოლმი ("ფორდი", ფინეთი) - +36,7; 3. ჰირვონენი ("ფორდი", ფინეთი) - +2.15,2; 4. ლატვალა ("ფორდი", ფინეთი) - +3.43,0; 5. ჰ.სოლბერგი ("ფორდი", ნორვეგია) - +4.10,1; 6. სორდო ("სიტროენი", ესპანეთი) - +4.23,6; 7. ატკინსონი ("სუბარუ", ავსტრალია) - +4.43,4; 8. შტოლი ("სიტროენი", ავსტრია) - +5.20,2.

საერთო ჩათვლა: 1. ლოები - 48 ქულა; 2. გრონჰოლმი - 45; 3. ჰირვონენი - 36; 4. სორდო - 22; 5. პ.სოლბერგი ("სუბარუ", ნორვეგია) - 16; 6. ჰ.სოლბერგი - 15; 7. ლატვალა - 12; 7. ატკინსონი - 12.

კონსტრუქტორთა თასი: 1. ფორდი - 81 ქულა; 2. სიტროენი - 72; 3. სტობარტი - 30; 4. სუბარუ - 29; 5. კრონოსი - 22.

# TV სპორტი

**8 მაისი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**14:15** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:15** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**16:55** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**18:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:05** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**19:35** მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. ოთხთა ფინალი.
**20:05** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:05** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:05** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:20** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:10** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან კაეტანო-სანტოსი.
**10:00** სპორტკლუბი.
**11:15** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბრაგა-ბელენენსეში.
**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მიუნხენი. გერმანია.
**16:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:10** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**17:40** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
**19:25** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:40** ჰოკეი. სტენლის თასი.
**22:25** მინი-მოედანი.
**22:40** სპორტინფორმი.
**22:55** ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**23:15** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:15** სპორტინფორმი.
**00:30** რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1981 წ. ფინალი. ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.
**02:15** სპორტინფორმი.
**02:30** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**03:00** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბრაგა-ბელენენსეში.
**04:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**06:30** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**07:25** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

**10:30** მულტისპორტი.
**11:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ესპანეთი. ბელგია.
**13:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**13:45** ჩოგბურთი. გზა როლან გაროსისკენ.
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ბერლინი. გერმანია (LIVE).
**21:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
**22:30** კრივი. ს. მერდოვი (უკრაინა)-დ. კოჯო სასუ (ტოგო). დონეცკი. უკრაინა.
**23:00** კრივი. ს. პალომო (ესპანეთი)-ფ. ნოალესი (ესპანეთი). ბარსელონა. ესპანეთი.
**01:00** ავტოსპორტი. FIA WTCC. მიმოხილვა.
**01:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა.
**02:30** მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია.
**13:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბილბაო.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** პლაჟის ფეხბურთი. საჩვენებელი მატჩი. ბრაზილია-ევროპის ვარსკვლავები. ტარაგონა. ესპანეთი.
**17:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბილბაო.
**18:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ესპანეთი. ბელგია.
**19:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. ჰოლანდია-ინგლისი. ბელგია.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**21:00** მულტისპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. შანხაი.
**00:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-კოლორადო.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** პრო-რესტლინგი.
**02:15** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**ჩარლტონი-ტოტენჰემი 0:2**

ჩარლტონი: კარსონი, დიავარა, ელ ქარქური, ჰრეიდარსონი, იანგი, ჟი ჟენი (84. ჰიუზი), ემბროუზი, ჰოლანდი, ბილონგი (71. სემი), მ. ბენტი (71. ჰასელბენკი), დ. ბენტი.

ტოტენჰემი: რობინსონი, შიმბონდა, დოუსონი, კინგი, რიკარდო როჩა (46. გარდნერი), ჯენასი, ლენონი (60. მალბრანკი), ტაინიო, სოკორა, ბერბატოვი, კინი (84. დეფო).

გოლები: 0:1 ბერბატოვი (7), 0:2 დეფო (90)

გაფრთხილება: 0-0; კუთხური: 11-5; ჯარიმა: 7-4; თამაშგარე: 3-4; კარში დარტყმა: 7(4)-9(6); ბურთის ფლობა: 39%-61%.

მაყურებელი: 26 339

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 36 | 28 | 4 | 4 | 83-26 | 88 |
| 2. ჩელსი | 36 | 24 | 9 | 3 | 63-23 | 81 |
| 3. ლივერპული | 37 | 20 | 7 | 10 | 55-25 | 67 |
| 4. არსენალი | 37 | 19 | 10 | 8 | 63-35 | 67 |
| 5. ევერტონი | 37 | 15 | 12 | 10 | 51-35 | 57 |
| 6. ტოტენჰემი | 36 | 16 | 8 | 12 | 54-52 | 56 |
| 7. ბოლტონი | 37 | 16 | 7 | 14 | 45-50 | 55 |
| 8. რედინგი | 37 | 16 | 6 | 15 | 49-44 | 54 |
| 9. პორტსმუთი | 37 | 14 | 11 | 12 | 45-42 | 53 |
| 10. ბლეკბერნი | 36 | 15 | 5 | 16 | 48-50 | 50 |
| 11. ასტონ ვილა | 37 | 11 | 16 | 10 | 41-39 | 49 |
| 12. მიდლსბრო | 37 | 11 | 10 | 16 | 41-48 | 43 |
| 13. ნიუკასლი | 37 | 11 | 9 | 17 | 37-46 | 42 |
| 14. მანჩესტ. სიტი | 37 | 11 | 9 | 17 | 28-42 | 42 |
| 15. ფულჰემი | 37 | 8 | 15 | 14 | 37-57 | 39 |
| 16. შეფილდი | 37 | 10 | 8 | 19 | 31-53 | 38 |
| 17. ვესტ ჰემი | 37 | 11 | 5 | 21 | 34-59 | 38 |
| 18. ვიგანი | 37 | 9 | 8 | 20 | 35-58 | 35 |
| 19. ჩარლტონი | 37 | 8 | 9 | 20 | 32-58 | 33 |
| 20. უოტფორდი | 37 | 5 | 12 | 20 | 28-58 | 27 |

**კონფერენცი. ფლეი ოფი**

**მორეკამბი-იორკი 2:1**

**ევროპის ჩემპიონატი**

**UNDER 17**

**საფრანგეთი-უკრაინა 2:2**
**ესპანეთი-გერმანია 0:0**
**ინგლისი-პოლანდია 4:2**
**ბელგია-ისლანდია 5:1**

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

**დუისბურგი-კიოლნი 1:3**

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

**კრეგეი-მონპელიე 1:0**

**შოტლანდია**

**დანფერმლაინი-მოზერველი 4:1**

**ნორვეგია**

**აალესუნდი-ლილესტრიომი 1:3**

**შვედეთი**

**ელფსბორგი-იურგორდენი 2:2**
**გაის-ჰალმსტადი 2:1**
**ერებრუ-გიოტებორგი 0:4**

**II დივიზიონი**

**ენჩოპინგსი-სირიუსი 1:0**
**ოსტერსი-ლანდსკრონა 0:0**

**ფინეთი**

**ტპს-პიკ 0:1**

**ჩეხეთი**

**იაბლონეცი-სლავია 1:0**

**უნგრეთი**

**ზალაეგერსეგი-კაპოშვარი 2:1**

**ჰოკეი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**ავსტრია-უკრაინა 8:4**
**ნორვეგია-ლატვია 7:4**
**ბელარუსი-გერმანია 5:6**
**იტალია-დანია 2:5**
**კანადა-აშშ 6:3**
**შვედეთი-რუსეთი 2:4**

**ჩოგბურთი**

**ATP. რომი**

| | |
|---|---|
| ალმაგრო-ჰენმანი | 7:5, 6:1 |
| ტურსუნოვი-ბიორკმანი | 7:6, 3:6, 6:1 |
| ფერერო-ჰრბატი | 3:6, 6:1, 6:4 |
| აკასუსო-ფერკერკი | 6:3, 7:5 |
| ჰიუიტი-ერნანდესი | 6:3, 6:7, 1:6 |
| კანიასი-მელცერი | 7:5, 6:2 |
| მარეი-სიმონი | 1:6, 6:1, 3:6 |
| ჯინეპრი-ბრაჩიალი | 5:7, 6:7 |
| სიოდერლინგი-ბეკერი | 6:3, 6:3 |
| კალერი-სტარაჩე | 3:6, 1:6 |

**WTA. ვარშავა**

| | |
|---|---|
| ანენი-ბონდარენკო | 6:1, 6:3 |



კიმ კლაისტერსი

ვარსკვლავი

# კიმი წავიდა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ აღარ აგრძელებს მიმდინარე სეზონს და თავის სპორტულ კარიერას დასრულებულად აცხადებს.

ის, რომ 23 წლის კლაისტერსი ამ სეზონის ბოლოს, სპორტიდან წასვლას აპირებდა, საჩოგბურთო სამყარომ პირველად ორი წლის წინათ გაიგო. ცოტა ხნის წინათ, კიმმა განაცხადა, რომ არც "როლან გაროსზე" იასპარეზებდა და არც აშშ-ის ღია პირველობაზე. დიდი სლემის ერთადერთი ტურნირი, რომელზეც ის ამ სეზონის დასრულებამდე უნდა გამოსულიყო, უიმბლდონი იყო, მაგრამ ახლა ჩოგბურთელმა აღარც ლონდონში ასპარეზობა ისურვა.

*"ეს შესანიშნავია, ბოლოს და ბოლოს, ჩემს ჩოგნებს კედელზე ჩამოკიდებულს ვნახავ"*, - წერს საკუთარ ვებ-გვერდზე აშშ-ის ღია პირველობის ყოფილი ჩემპიონი.

კლაისტერსი ამბობს, რომ მობეზრდა მუდმივად ფორმის შენარჩუნებაზე ზრუნვა, დილაობით გაჭიმვებზე ვარჯიში და ხშირი ტრავმების მკურნალობა. ახლა ქორწილისთვის ვემზადები და სხვა არაფერი მაინტერესებსო.

*"თითქმის 24 წლის ვარ, რაც სპორტისთვის ძალიან ცოტაა. ნუ იფიქრებთ, რომ არ შემეძლო სეზონის ბოლომდე თამაში და რამდენიმე ტურნირის მოსაგებად გარჯა. მაგრამ ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარი ჩოგბურთი კი არა, პირადი ცხოვრებაა. სეზონის ბოლომდე კიდევ ოთხი დიდი ტურნირია დარჩენილი, მაგრამ მე ისინი აღარ მაინტერესებს. ახალ ცხოვრებას ვიწყებ და ვიმედოვნებ, რომ ის საჩოგბურთო კარიერაზე არანაკლებ საინტერესო და ემოციებით გაჯერებული იქნება"*, - ამბობს კლაისტერსი, ვინც ამერიკის ღია პირველობა 2005 წელს მოიგო.

იმ ტრიუმფალურად დასრულებული ტურნირის გარდა, კლაისტერსმა დიდი სლემის ოთხი ტურნირის ფინალში ითამაშა, ამავე სერიის სხვა ტურნირებზე კი ექვსჯერ გავიდა ნახევარფინალში. ამასთან, ათწლიანი პროფესიული კარიერის განმავლობაში, ორჯერ მოიგო სეზონის დამაგვირგვინებელი ტურნირი - WTA-ს ჩემპიონატი.

*"შემეძლო დავრჩენილიყავი და დიდი თანხით გამემდიდრებინა ჩემი ბიუჯეტი. ფულს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ის ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი სულაც არაა"*, - დასძენს კლაისტერსი, რომელმაც ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ არ სურს, რომელიმე ტურნირზე ტრავმის მიღება და ამის გამო, თავის ქორწილზე ყავარჯნით სიარული. თუმცა, ყოველივეს მიუხედავად, მან განაცხადა, რომ მაინც იასპარეზებდა ისტბურნისა და უიმბლდონის ტურნირებზე. უფრო მეტიც, უიმბლდონზე ის წყვილთა ტურნირზე გამოსვლასაც აპირებდა, რათა თუ ერთეულებში ხელი მოეცარებოდა, წყვილებში მაინც ჰქონოდა ტიტულისთვის ბრძოლის შანსი.

მცირე ყოყმანის შემდეგ კი ესეც გადაიფიქრა. მოკლედ, ვარშავის ტურნირი, რომელზეც მან გასულ კვირაში იასპარეზა, ბოლო გამოდგა მის სპორტულ კარიერაში. იმ შეჯიბრს ბელგიელი მეორე წრეში გამოეთიშა, რაც უპირველესად, მისივე დიდი ხნის უთამაშებლობის ბრალია. ტურნირი მას უკრაინელმა **იულია ვაკულენკომ** დაატოვებინა.

კლაისტერსს განცხადი ჰქონდა შეტანილი ლუქსემბურგისა და შტუტგარტის ტურნირებზეც, რომლებიც სექტემბერსა და ოქტომბერში უნდა ჩატარდეს. გუშინ კი გამოაცხადა, რომ ამ ტურნირებს დაესწრება, ოლონდ მაყურებლის რანგში და თანაც, თავის მეუღლესთან, ბელგიის ლიგაში მოთამაშე, ამერიკელ კალათბურთელ **ბრაიან ლინჩთან** ერთად.

*"სექტემბერში ჩემს ფანებს დიდ წვეულებას გავუმართავ, მერე კი ჩემს ცხოვრებას მივხედავ - ახლა ბავშვების მოვლის დრო დგება. არც სამზარეულოში ტრიალს ვითაკილებ და ჩემს ძაღლებთან თამაშით გავერთობი. არავითარი მგზავრობა და რაც მთავარია, მეტი დრო მექნება მეგობრებისა და ოჯახისთვის"*, - ამბობს კლაისტერსი.

კიმ კლაისტერსი 1983 წლის 8 ივნისს, ბელგიის ქალაქ ბილზენში დაიბადა. WTA-ს ტურნირზე მისი დებიუტი 1997 წელს შედგა, დებიუტიდან მეორე სეზონში კი, პირველი ტურნირი მოიგო (ლუქსემბურგი). 2000 წელს ჰობარტისა და ლაიპციგის ტურნირები მოიგო, რისი წყალობითაც, რეიტინგის მოწინავე ოცეულში შევიდა. 2001 წელს შეიქნა პირველი ბელგიელი, ვინც დიდი სლემის ტურნირის (საფრანგეთის ღია) ფინალს მიაღწია. იქ ამერიკელ **ჯენიფერ კაპრიატისთან** გადამწყვეტ სეტში 10:12 წააგო. სამაგიეროდ, იმ სეზონში ბელგიის ნაკრებს ისტორიაში პირველად მოაგებინა ფედერაციის თასი.

მომდევნო წელს, ავსტრალიის ღიას ნახევარფინალს მიაღწია და იქ კვლავ კაპრიატისთან დამარცხდა, რომელიც შემდეგ ჩემპიონი გახდა. მოიგო ჰამბურგის ტურნირი, რომლის ფინალშიც მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ამერიკელ **ვენუს უილიამსს** სძლია. სეზონი კი WTA-ს ჩემპიონატზე ტრიუმფით დააგვირგვინა.

2003 წელს კიდევ ერთხელ გავიდა საფრანგეთის ღიას ფინალში, სადაც თანამემამულე **ჟუსტინ ანენთან** წააგო. სამაგიეროდ, იაპონელ **აი სუგიამასთან** ერთად, წყვილთა ბადეში გაიმარჯვა და ეს მიღწევა მასთან ერთადვე მალე უიმბლდონზეც გაიმეორა. აგვისტოში გახდა პირველი ბელგიელი, ვინც რეიტინგს სათავეში მოექცა, აშშ-ის ღიას ფინალში კი ისევ ჟუსტინთან წააგო. სეზონი კი კვლავ WTA-ს ჩემპიონატზე ტრიუმფით დაასრულა, თუმცა რეიტინგში მეორე ადგილზე დარჩა.

2004 წლის ავსტრალიის ღიას ფინალი ანენთან დათმო. მაჯის ტრავმის გამო კი დიდი სლემის მომდევნო სამი ტურნირის გამოტოვება მოუხდა. სპორტს მომდევნო სეზონში დაუბრუნდა. დაბრუნებისას, რეიტინგში 134-ე ადგილზე იყო, მაგრამ სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა - მოიგო ცხრა ტურნირი, მათ შორის აშშ-ის ღია, რომლის ფინალშიც ფრანგი **მარი პირსი** დაამარცხა.

2006 წლის სეზონის დასაწყისში, კვლავ სათავეში მოექცა რეიტინგს და იქ შვიდი კვირა დაჰყო. ტურის ისტორიაში ის პირველი ქალი ჩოგბურთელია, ვინც სანამ მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდებოდა, ერთი წლით ადრე რეიტინგში ასეულს მიღმა იმყოფებოდა. ავსტრალიის ღიას ნახევარფინალური შეხვედრა ფრანგ **ამელი მორესმოსთან** ტრავმის გამო ვერ დაასრულა. როლან გაროსსა და უიმბლდონზე ნახევარფინალში ჟუსტინთან წააგო, მაჯის ტრავმის გამო კი არ ითამაშა აშშ-ის ღიასა და WTA-ს ჩემპიონატზე.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ტურნირები

# ჟუსტინის მესამე ტიტული

ბელგიელი **ჟუსტინ ანენის** გამარჯვებით დასრულდა ვარშავის თასის გათამაშება, რომლის ფინალშიც მან იოლად დაამარცხა უკრაინელი **ალონა ბონდარენკო** და შეიქნა პირველი ქალი ჩოგბურთელი, ვინც ამ სეზონში სამი ტურნირის მოგება შეძლო. ფინალური შეხვედრა უამინდობის გამო, კვირის ნაცვლად გუშინ დასრულდა. თუმცა, ამას ჟუსტინისთვის თამაშის გამარჯვებამდე მიყვანაში ხელი არ შეუშლია.

ჟუსტინმა კარიერაში 32-ე ტურნირი მოიგო, ამ სეზონში კი ვარშავამდე მას დოჰასა და დუბაის ტურნირებიც აქვს მოგებული. გარდა ამისა, მაიამის პირველი კატეგორიის (კაცების მასტერსის სერიის) ტურნირის ფინალში ითამაშა, სადაც **სერენა უილიამსთან** დამარცხდა.

რაც შეეხება ბონდარენკოს, მან ვტა-ს ტურნირის ფინალში მესამედ ითამაშა. წინა ორიდან კი ერთი (ლუქსემბურგი, შარშან) მოგებული აქვს. ფინალში წაგების მიუხედავად, უკრაინელი მეჩოგნე მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებს ადგილს რეიტინგში - თუ ვარშავამდე ის მეორმოცე იყო, ვარშავის შემდეგ 29-ე ადგილზე გადავიდა.

*"მოლოდინი ძალიან ძნელი იყო. მაგრამ საბედნიეროდ, როგორც რამდენად კარგადაც გუშინ დავიწყე, ისევე კარგად დღეს გავაგრძელე. ბედნიერი ვარ, რომ ვარშავის ტურნირი მეორედ მოვიგე. თანაც, ამ სეზონში ეს ჩემთვის თიხნარზე მოპოვებული პირველი ტიტულია, რაც როლან გაროსის წინ ოპტიმისტურად განმაწყობს"*, - განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ვინც საერთო ჯამში, მეტოქის დასამარცხებლად საათზე ერთი წუთით მეტი იმყოფინა.

ბელგიელმა უკრაინელს პირველ სეტში ოდენ ერთი გეიმი დაუთმო. იმავე სეტის ბოლო სამ გეიმში კი მხოლოდ სამი ქულა დათმო. თავად კი ორჯერ აიღო ბონდარენკოს მოწოდება. მომდევნო სეტშიც ანენმა პირველი ორი გეიმი იოლად მოიგო, მაგრამ შემდეგ მოეშვა და მეტოქეს ზედიზედ ორი გეიმის მოგების საშუალება მისცა. უფრო მეტიც, მეხუთე გეიმში, ჟუსტინის სერვისზე უკრაინელი 40:0 დაწინაურდა. აქ ბელგიელი გამოფხიზლდა. მან სამივე ბრეიკ პოინტი გაქვითა, თავის სერვისზე ქულა დაიტოვა და მომდევნოში, მეტოქისა მშრალად მოიგო. ამჯერად კი მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია და თამაშიც მოგებამდე მიიყვანა.

*"მეორე სეტში მოვდუნდი, თამაშიდან გამოვეთიშე და შედეგიც შესაბამისი მივიღე. ყველაფერი იმდენად იოლად ხდებოდა, რომ უნებურად, ყურადღება მოვადუნე. კიდევ კარგი, მეხუთე გეიმში მას კიდევ ერთი ბრეიკის მოპოვების საშუალება არ მივეცი, თორემ საქმე ძალიან გართულდებოდა"*, - განაცხადა ჟუსტინმა. ვაკულენკომ კი ამ ფინალს კარიერაში მიღებული მეტად ფასეული გამოცდილება უწოდა. თანაც აღნიშნა, პირველ სეტში ძალიან ვინერვიულე და ამან ცუდი სამსახური გამიწიაო. მოკლედ, ჟუსტინთან თამაშით დიდი სიამოვნება მივიღე და ვიმედოვნებ, შემდეგ ჯერზე უკეთ ვითამაშებო.

ჟუსტინის მსგავსად, ამ სეზონში მესამე ტურნირის ჩემპიონი გახდა სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, რომელმაც ეშტორილის ღია პირველობის ფინალში ფრანგი **რიშარ გასკე** დაამარცხა. ეშტორილისვე ქალთა ტურნირის ჩემპიონი კი გერმანელი **გრეტა არნი** გახდა, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში აჯობა ბელარუს **ვიქტორია აზარენკას**.

ეშტორილამდე ჯოკოვიჩს ადელაიდასა და კი ბისკეინის (მაიამი) ტურნირები ჰქონდა მოგებული, გასკემ კი, ვინც შარშან სამი ტურნირის ჩემპიონი გახდა, ამ სეზონში პირველად მიაღწია ფინალს.

საწყის სეტში ორივე ჩოგბურთელმა ორჯერ შეძლო მეტოქის სერვისზე ქულის აღება. შემდეგ კი საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც უფრო სტაბილური სერბი იყო. მაგრამ მომდევნო ორ სეტში ბრძოლა პრაქტიკულად, არ ყოფილა. ჯერ გასკემ ივაჟკაცა, რომელმაც მშრალად მოიგო მეორე სეტი, მერე კი ჯოკოვიჩის ჯერი დადგა, რომელმაც გადამწყვეტ სეტში ოდენ ერთი გეიმი დაუთმო მეტოქეს.

კაცების ფინალისგან განსხვავებით, ქალებს ყველაზე დაძაბული გადამწყვეტი სეტი ჰქონდათ. ჯერ ბელარუსმა ჩოგბურთელმა იოლად მოიგო საწყისი სეტი, მომდევნო კი ასევე იოლად დათმო. გადამწყვეტი სეტის დასაწყისში კი არნი დაწინაურდა, რომელმაც მესამე ბრეიკ პოინტი ქულად აქცია. მომდევნო გეიმში უკვე აზარენკამ მიიღო სამი ბრეიკ პოინტი, მაგრამ გერმანელმა ყველა მოიგერია და მესამეში კვლავ ბრეიკს მიაღწია. თითქოს, სეტიც იოლად უნდა მოეგო, მაგრამ მომდევნო ექვს გეიმში აზარენკამ ორჯერ შეძლო მისი სერვისის მოგება და მეათე გეიმშიც (თავის სერვისზე) 40:15 დაწინაურდა. აქ კი არნის ჯერი დადგა. მან ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი მესამე მატჩ პოინტიც მოიგერია და სეტში ანგარიში გაათანაბრა. მომდევნო ორ გეიმში მეტოქეებმა თითო ბრეიკი გაცვალეს. საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც არნმა უფრო სტაბილური თამაშის წყალობით მიაღწია გამარჯვებას.

დაბოლოს, მიუნხენის "ბეემვეს" ღია პირველობის ჩემპიონი გერმანელი **ფილიპ კოლშრაიბერი** გახდა, რომელმაც ფინალში რუს **მიხაილ იუჟნის** მოუგო. აღსანიშნავია, რომ კოლშრაიბერმა თავის კარიერაში პირველად ითამაშა ატპ-ს ტურნირის ფინალში.

აქაც მეტოქეებმა პირველი ორი სეტიდან თითო იოლად მოიგეს. გადამწყვეტ სეტში კი, თავის პირველ სერვის-გეიმზე, გერმანელმა ბრეიკ პოინტის მოგერიება შეძლო. მანვე მეხუთე გეიმში თავად მოიგო მეტოქის სერვისზე. როცა 5:4-ზეს კოლშრაიბერი აწოდებდა, რომელმაც პირველი სამი მატჩ პოინტი გაანიავა, მაგრამ მეოთხე, რუსის შეცდომის წყალობით, ქულად და გამარჯვებად აქცია.

აღსანიშნავია, რომ 1994 წლის შემდეგ რაც ჩემპიონი **მიხაელ შტიხი** გახდა, მიუნხენის ტურნირი პირველად მოიგო გერმანელმა ჩოგბურთელმა. სხვათა შორის, კოლშრაიბერი მიუნხენის შემოგარენში ცხოვრობს და მისმა გამარჯვებამ ადგილობრივ მაყურებელს დიდი სიხარული მიანიჭა.

**ATP**

**ეშტორილის ღია**

ეშტორილი (პორტუგალია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 531 250 ევრო

**ფინალი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)-რიშარ გასკე (საფ, 5) 7:6 (7), 0:6, 6:1.

**BMW OPEN**

მიუნხენი (გერმანია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 353 450 ევრო

**ფინალი**

ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)- მიხაილ იუჟნი (რუს, 3) 2:6, 6:3, 6:4.

**WTA**

**J&S CUP**

ვარშავა (პოლონეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 600 000 დოლარი

**ფინალი**

ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)- ალიონა ბონდარენკო (უკრ) 6:1, 6:3.

**ეშტორილის ღია**

ეშტორილი (პორტუგალია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 145 000 დოლარი

**ფინალი**

გრეტა არნი (გერ)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 2:6, 6:1, 7:6 (3)



ჟუსტინ ანენი

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, ზურაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდებულიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა